

ჰენრი გუბრაშვილი

ევროპის პოლიტიკური
მმართველობის სისტემა

ლექციების კურსი



«ტექნიკური უნივერსიტეტი»

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჰენრი კუპრაშვილი

ევროპის პოლიტიკური
მმართველობის სისტემა

ლექციების კურსი



რეკომენდებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ 27.12.2016, ოქმი №3

თბილისი
2017

წარმოდგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების კურსი. ევროკავშირი ბევრად მეტადაა ინსტიტუციურად სისტემატიზებული, ვიდრე ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, თუმცა მას სახელმწიფოდ, როგორც ასეთს, ვერ განიხილავე, მითუმეტეს, კლასიკური ვესტფალიის ტიპის სახელმწიფოდ. მაგრამ, ამავე დროს, არსებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, შეიძლება ილაპარაკო ევროკავშირზე, როგორც სპეციფიკური პოლიტიკური მმართველობის სისტემის შესახებ. კურსი ეფუძნება ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომებს (გიორგი ალასანია, კლაუს ბუში, ირაკლი გაბისონია, ომარ გოგიაშვილი, მარიამ დეკანოზიშვილი, ქრისტოფი დემკე, ფრეიბერგა ვაირა-ვიკე, სერგი კაპანაძე და სხვ.), ასევე სხვადასხვა ინტერნეტ-რესურსებს, გაფორმებულია ინტერნეტიდან მოპოვებული ფოტო და სხვა ვიზუალური მასალით.

P.S. წიგნის გამოცემის მომენტში დიდი ბრიტანეთი ჯერ კიდევ ევროკავშირის ოფიციალური წევრი-სახელმწიფოა. მისი გასვლის პროცედურა 2019 წლის გაზაფხულამდე გაიწელება.

სამეცნიერო რედაქტორი

პროფესორი **მურმან პაპაშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები:

პროფესორი **ნუგზარ ბარდაველიძე**
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ასოცირებული პროფესორი **ხათუნა ჩაფიჩაძე**
სოციალური მეცნიერებების აკადემიური დოქტორი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016

ISBN 978-9941-20-763-1

<http://www.gtu.ge>



ყველა უფლება დაცულია, ამ წიგნის არცერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე

საავტორო უფლების დარღვევა ისჯება კანონით

შინაარსი

1. სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის ფორმები	6
სახელმწიფო მოწყობის ფორმა	7
სახელმწიფოს მართვის მოდელი	10
მართვის მეთოდები	13
პოლიტიკური რეჟიმი.....	15
სახელმწიფო მმართველობის ფორმა.....	21
2. ახალი ტიპის პოლიტიკური მმართველობის სისტემა	31
3. ევროპის პოლიტიკური მმართველობის ევოლუცია და გარდაქმნა	43
4. ევროპის ინტეგრაციული ასპექტები	56
5. ევროკავშირის ინსტიტუციური აგებულება – ინსტიტუციური ბალანსის პრინციპი	75
6. ევროპის პარლამენტი.....	84
7. ევროპული საბჭო (სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო) – European Council	103
8. ევროკავშირის საბჭო (მინისტრთა საბჭო) – Council of the European Union.....	114
9. ევროპული კომისია – European Commission.....	123
10. ევროპის სასამართლო ხელისუფლება	132
11. ევროპის ცენტრალური ბანკი.....	143
12. ევროპის პოლიტიკური მმართველობის საგარეო პრიორიტეტები	150
13. უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა ევროპის პოლიტიკური მმართველობის სისტემაში	159
14. ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა	172
15. საქართველო და ევროკავშირი	198
16. ევროპის საბჭო	209
17. ეუთო	224
საკუთარ სახელთა საძიებელი	235
გამოყენებული ლიტერატურა	238



1. სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის ფორმები

პოლიტოლოგიაში სახელმწიფოს სახელისუფლებო და სტრუქტურული ნიშნების გამოსახატავად, ზოგადად, გამოიყენება ცნება „სახელმწიფოს ფორმა“. ამ ცნებაში იგულისხმება სხვადასხვა შემადგენელი ელემენტი: სახელმწიფო მოწყობის ფორმა, სახელმწიფოს მართვის მოდელი, სახელმწიფოს მართვის მეთოდი, პოლიტიკური რეჟიმი და სახელმწიფო მმართველობის ფორმა.

ხშირად გაუგებრობის შედეგად მმართველობის ფორმა ერევათ სახელმწიფო მოწყობის ფორმასთან, სახელმწიფო (პოლიტიკურ) რეჟიმთან და სხვ. მაშინ, როდესაც:

სახელმწიფო მოწყობის ფორმა განსაზღვრავს სახელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიული ორგანიზაციისა და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების რეგიონულთან ურთიერთობის პრინციპებს.

სახელმწიფო მმართველობის ფორმა გამოიყენება უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის წესის, მისი ორგანოების ურთიერთობის პრინციპების, მათ ფორმირებაში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხის აღსანიშნავად.

მართვის მოდელში იგულისხმება მმართველობის საბაზო პრინციპები, სტრატეგიული ხედვა, მიზანდასახულობა და ამოცანები, ელემენტების სრუტქტურა და მათი ურთიერთქმედების წესი, ორგანიზაციული კულტურა, მოტივაციური პოლიტიკა, მონიტორინგი და კონტროლი.

მართვის მეთოდი არის წესებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ზემოქმედება მართვის ობიექტზე.

პოლიტიკურ რეჟიმში იგულისხმება იდეოლოგიური, ინსტიტუციური და სოციალური ხასიათის ელემენტების ერთობლიობა, რის მიხედვითაც ხდება პოლიტიკური მმართველობის ფორმირება ანუ პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების ხერხების, მეთოდების, წესების, საშუალებების (სისტემა) ერთობლიობა.

სახელმწიფო მოწყობის ფორმა

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო მოწყობის ფორმა განსაზღვრავს სახელმწიფოს ეროვნულ-ტერიტორიული ორგანიზაციისა და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების რეგიონულთან ურთიერთობის პრინციპებს. განახვავებენ სახელმწიფო მოწყობის სამ ძირითად ფორმას: უნიტარული სახელმწიფოს, ფედერაციასა და კონფედერაციას.

უნიტარული სახელმწიფო. თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ერთ-ერთი ფორმაა უნიტარული სახელმწიფო. ახასიათებს კონსტიტუციის ერთიანობა და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სისტემის ერთიანობა, ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (მხარეები, დეპარტამენტები, ოლქები, რაიონები და სხვ.) მართვის ცენტრალიზებულობის მაღალი ხარისხი. უნიტარულ ქვეყნებში ადმინისტრაციული დაყოფა გამოიყენება ადმინისტრაციული ფუნქციის განსახორციელებლად, არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები

უშუალოდ ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. თანამედროვე სახელმწიფოებში უნიტარული დაყოფისას ზოგიერ ერთეულს შესაძლებელია განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი ჰქონდეს ან ავტონომიით სარგებლობდეს. ასეთი ერთეულები ტერიტორიულ ავტონომიებად მოიხსენიება. განასხვავებენ **ცენტრალიზებულ** და **დეცენტრალიზებულ** უნიტარულ სახელმწიფოებს. უნიტარული ქვეყნებია: ირლანდია, ირანი, ისლანდია, საბერძნეთი, სამხრეთ კორეა, სომხეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი და სხვ. უნიტარულ სახელმწიფოთა შორის აღსანიშნავია ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ხელისუფლების მმართველობის მაღალი დეცენტრალიზაციით ხასიათდება. მაგალითად, საქართველო, ესპანეთი, ფილიპინები და ა.შ.

ზოგიერთ უნიტარულ სახელმწიფოში (დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, დანია, ფინეთი და სხვ.) ცალკეული ტერიტორიებზე არსებობს ადმინისტრაციული ავტონომიები. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში შეზღუდული ავტონომიები აქვთ შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას.

ფედერაცია. ფედერაცია გულისხმობს შიგა კავშირების სხვაგვარ ტიპს, რამდენიმე სახელმწიფოსა და ტერიტორიის (სუბიექტების) გაერთიანებას ერთიან საკავშირო სახელმწიფოში, თითოეული მათგანისათვის იურიდიული და ზოგიერთი პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. ფედერაციის თითოეული წევრის სუვერენულობის ნაცნობი მაჩვენებელია მათთვის საკუთარი კონსტიტუციის, კანონმდებლობის, ხელისუფლების წარმომადგენლობითი და

აღმასრულებელი ორგანოების, ზოგიერთ შემთხვევაში კი მოქალაქეობის, დროშის, ჰიმნის არსებობა. ფედერაციის სუბიექტებისთვის პირდაპირ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს ქვეყნის პარლამენტში მეორე პალატის არსებობა (მაგალითად, გერმანიაში – ბუნდესრატი, აშშ-ში – სენატი, რუსეთში – ფედერაციის საბჭო და სხვ.). თუმცა, ფედერაციული სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპია, საერთო ფედერალური კონსტიტუციისა და კანონმდებლობის უზენაესობა. მასში მნიშვნელოვან გამაერთიანებელ ფაქტორად გვევლინება ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცე, საერთო ფულის სისტემა და მოქალაქეობა. დღეისათვის მსოფლიოში ოცზე მეტი ფედერაციული სახელმწიფოა: ავსტრალია, ავსტრია, აშშ, ბელგია, ბრაზილია, გერმანია, ინდოეთი, კანადა, მექსიკა, რუსეთი და სხვ.

კონფედერაცია. კონფედერაცია არის კონკრეტული საერთო მიზნებისა და მოქმედებების განსახორციელებლად შექმნილი სუვერენული სახელმწიფოების კავშირი. კონფედერაცია თვითონაც მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც სუბიექტი და აქვს საერთაშორისო სამართალსუბიექტის ნიშნები, მაგრამ შეზღუდული სახით. კონფედერაციის ჩამოყალიბება ფორმდება საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც კონფედერაციას გადაეცემა უფლებამოსილება გარკვეულ სფეროებში, ასეთი სფეროებია: ომი და ზავი, საგარეო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალები.

შესაძლოა მათ ასევე განეკუთვნებოდეს საფინანსო პოლიტიკა და ა.შ. მაგრამ ამის გამო, რომ კონფედერაციის წევ-

რი სახელმწიფოები სუვერენიტეტს ინარჩუნებენ, გადაწყვეტილებები მათთვის გადაცემული კომპეტენციის ფარგლებშიც ყველა სუბიექტის თანხმობის შემთხვევაში მიიღება.

კონფედერაციის ორგანოები იქმნება იმის მიხედვით, თუ რა კომპეტენცია განუსაზღვრეს სუბიექტმა სახელმწიფოებმა, თუმცა კონფედერაციის ცენტრალური ორგანოები სრული სახით მაინც არ ემსგავსება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, რადგან მათი გადაწყვეტილებების განხორციელება დამოკიდებულია სუბიექტების ნებაზე, რომლებსაც შეუძლიათ უარი განაცხადონ კონფედერაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციაზე.

კონფედერაციული სახელმწიფო: შვეიცარია, მიუხედავად თავისი ოფიციალური სახელწოდებისა – შვეიცარიის კონფედერაცია, დღეისათვის წარმოადგენს კლასიკურ ფედერაციას, თუმცა მრავალი საუკუნე (1291-1848) ნამდვილად იყო კონფედერაცია. კონფედერაცია იყო რეჟ პოსპოლიტაც (1569-1795), რომელიც შექმნილი იყო პოლონეთის სახელმწიფოსა და ლიტვის დიდი სამთავროს გაერთიანების შედეგად. 1861-1865 წლებში არსებობდა ამერიკის კონფედერაციული შტატები და სხვ.

სახელმწიფოს მართვის მოდელი

ტერმინში „სახელმწიფოს მართვის მოდელში“ იგულისხმება ის, თუ როგორ და ვინ ახორციელებს უმაღლეს ხელისუფლებას სახელმწიფოში, როგორია ქვეყანაში ხელისუფლების ორგანოების უმაღლესი ინსტიტუტების ორგანიზაცია, მათი ურთიერთქმედების პოზიცია, ჩამოყალიბების

წესი და შემადგენლობა. ასევე, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ხალხის გავლენის ხარისხი უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების ორგანიზაციაში.

მართვის მოდელში იგულისხმება თეორიულად აგებული წარმოდგენების ერთობლიობა მართვის სისტემის შესახებ. თავისი არსით მართვის მოდელი არის მართვის სისტემის ასლი, რომელსაც აქვს მისი რეალური თვისებები. მართვის სხვადასხვა მოდელის შემუშავება ხდება იქიდან გამომდინარე, თუ როგორია დადგენილი კრიტერიუმები, პოლიტიკური და ეკონომიკური მიდრეკილებები, მიზანდასახულობა და ამოცანები.

მართვაში ჯერ არ არის შექმნილი ორგინალი, ის მხოლოდ წარმოსახვაშია, ამიტომ დაგროვილ ცოდნაზე, გამოცდილებაზე, ინტუიციაზე დაყრდნობით უნდა მოახდინო პროგნოზი იმისა, თუ მომავალში როგორი შესახედი იქნება ესა თუ ის სიტუაცია. ეს მოდელი დასაწყისში იქმნება წარმოსახვაში და მას უსადაგდება მართვის მოქმედი სისტემა.

რას მოიცავს თავის თავში მართვის მოდელი? პირველ ყოვლისა, ესაა მენეჯმენტის საბაზო პრინციპები, სტრატეგიული ხედვა, მიზანდასახულობა და ამოცანები, ელემენტების სტრუქტურა და მათი ურთიერთქმედების წესი, ორგანიზაციის კულტურა, სამოტივაციო პოლიტიკა, მონიტორინგი და კონტროლი.

მმართველის უმთავრესი ამოცანაა ჭკვიანურად შეარჩიოს მოცემული სიტუაციისათვის შესაფერისი მოდელი, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდება წარმოდგენა ყველაზე

მისაღები მოდელის შესახებ, შემდეგ იწყება რომელიმე მოქმედების არჩევა:

- აიღონ სამამულო ან უცხოური გამოცდილი მზა მოდელი, რომელსაც უკვე თავის დროზე მოაქვს დადებითი შედეგი;
- ააწყონ მოდელი იმ ბლოკებიდან, რომლებიც ეფექტურობით მართვის სხვადასხვა მოდელებში გამოირჩეოდნენ;
- აარჩიონ საბაზო მოდელი, რომლისგანაც გამორიხავენ არასასურველ ელემენტებს და ჩასვამენ ახალს;
- მმართველობის ახალ პარადიგმაზე დაყრდნობით შექმნიან პრინციპულად ახალ მოდელს.

ცნობილია სხვადასხვა ავტორის მიერ აღწერილი მართვის მოდელები:

წარმოების საშუალებებზე საკუთრების ბატონობის სახეობის მიხედვით: კაპიტალისტური, სოციალისტური, კორპორატიული;

ეკონომიკაზე ბაზრის გავლენის ხარისხის მიხედვით: საბაზრო (ლიბერალური), საბაზრო სახელმწიფო რეგულირების ელემენტებით, საბაზრო-სოციალური, სახელმწიფო მმართველობის მოდელი განვითარებული საბაზრო ურთიერთობებით, ცენტრალური მმართველობის მოდელი, ბაზრის ელემენტებით (გეგმური);

ხელისუფლების მიერ ძალაუფლების უფლებამოსილების რეალიზაციის ხასიათიდან გამომდინარე: ავტორიტარული, დემოკრატიული;

მენეჯმენტის სკოლებთან მიკუთვნებულობის შესაბამისად: სამეცნიერო მენეჯმენტის სკოლა, რაციონალური ბიუროკრატიის სკოლა, ადმინისტრაციული სკოლა, „კლასიკური სკოლა“, „ადამიანური ურთიერთობის“ სკოლა და სხვ.;

გარე და შიგა გარემოს ცვლილებებთან დამოკიდებულების მიხედვით: სტატიური (ტრადიციული, კონსერვატიული, მიმდინარე მდგომარეობის), ადაპტური (წინმსწრები, ინოვაციური), დინამიკური (პროგნოზირებადი, ალბათობითი, განვითარება);

შეიძლება არსებობდეს ქვეყნის ტრადიციებსა და კულტურაზე აღოცნებული ქართული მოდელები, რომელმაც ორგანულად უნდა შეახამოს ეროვნული გამოცდილების საფუძვლები მოწინავე მმართველობის თეორიებთან და პრაქტიკასთან, რომლებიც დამუშავებულია და გამოცდილია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ანალოგიური სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის დროს. ბრმად კოპირება კი საშიშია და არაეფექტურია.

მართვის მეთოდები

მართვის მეთოდები ეწოდება წესებისა და საშუალებების ერთობლიობას, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ზემოქმედება მართვის ობიექტზე, სრულდება მართვის სხვადასხვაგვარი ორგანიზაციული ფუნქცია. მართვის მეთოდები, ესა წესები, რომელთა დახმარებითაც ხდება მართვის ფუნქციის რეალიზება. მართვის ამა თუ იმ მეთოდის არჩევა დამოკიდებულია მოცემულ ეტაპზე მართვის ფუნქციის განსაზღვრებაზე, განხორციელებასა და

დროის ამ მომენტისათვის არსებულ და ხელმისაწვდომ მართვის საშუალებებზე.

მართვის მეთოდების კლასიფიკაცია. მართვის მეთოდების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სხვადასხვა ნიშანი (კრიტერიუმი):

გამოყენების მასშტაბები – ა) საერთო, რომელიც ვრცელდება, მაგალითად, კომპანიის მთელ საქმიანობაზე; ბ) კერძო, რომელიც გამოიყენება ამ კომპანიის ცალკეული შემადგენელი ნაწილების მიერ;

დარგები ან გამოყენების სფეროები – ცენტრალური რესპუბლიკური მმართველობა, ვაჭრობა, მრეწველობა, განათლება და სხვ.;

სხვადასხვა ეტაპზე ორგანიზაციის საქმიანობის როლი – კრიზისიდან გამოყვანის, დასტაბილურების, განვითარების მეთოდები და სხვ.;

შუამავლობითი (მედიაციური) ზემოქმედების ხარისხი – პირდაპირი და არაპირდაპირი;

მმართველობითი ცოდნის განზოგადების დონე – მართვის თეორიისა და პრაქტიკის მეთოდები;

მართვის ფუნქციები – პროგნოზირების, დაგეგმვის, ორგანიზაციის, კოორდინაციის, მოტივაციის, კონტროლისა და სხვ. მეთოდები;

მართვის კონკრეტული ობიექტებისა და წარმოების წინაშე მდგარი ამოცანების ხასიათის მიხედვით და სხვ.

კონკრეტული ობიექტისა და ამოცანების მართვის კრიტერიუმებთან დაკავშირებით არსებობს მართვის მეთოდების მთელი სპექტრი. შემუშავებულია ფინანსური, ანტიკრი-

ზისული, ინოვაციური მენეჯმენტის მეთოდები, რისკების, წარმოების, გასაღების, კომუნიკაციების, ხარისხის, კადრების, პროექტების. მცირე და მსხვილი საწარმოების მართვის მეთოდები და სხვ. აგრეთვე ბიზნესპროცესების, ბიზნეს-სტრუქტურების, როგორც ერთმანეთში, ისე კლიენტებთან ურთიერთქმედების მართვის მეთოდები და სხვ.

მართვის მეთოდების ტრადიციული კლასიფიკაცია. საყოველთაოდ აღიარებული ტრადიციული კლასიფიკაცია მართვის მეთოდებს აჯგუფებს ზემოქმედების თვისებების მიხედვით: ეკონომიკური, ადმინისტრაციული (ორგანიზაციულ-გამანაწილებელი) და სოციალურ-ფსიქოლოგიური. ასეთი დაჯგუფება საკმაოდ პირობითია, რადგანაც ამ მეთოდებს აქვთ ძალიან ბევრი მსგავსება და ურთიერთშეღწევადობა. ამავე დროს, მათ აქვთ გარკვეული განსხვავებებიც მართვის ობიექტებზე ზემოქმედების ხერხებში, რაც საშუალებას იძლევა თითოეული ცალკე-ცალკე იქნეს განხილული.

პოლიტიკური რეჟიმი

პოლიტიკური რეჟიმი. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ფორმა, პოლიტიკური ძალაუფლების რეალიზაციის მისთვის დამახასიათებელი მიზნებით, საშუალებებითა და მეთოდებით.

პოლიტიკური რეჟიმი იძლევა წარმოდგენას ქვეყანაში მისი ისტორიის გარკვეულ პერიოდში დამყარებული სახელმწიფო ხელისუფლების არსის შესახებ. ამიტომ ბევრად მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთქ-

მედების წესები, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მოცულობა, პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირების ხასიათი, მმართველობის სტილი და მეთოდები, ვიდრე სახელმწიფოს ან პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა.

მსგავსი ტიპის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს შეუძლიათ წარმოშვან თავისი არსით სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმი და, პირიქით, მსგავსი ტიპის პოლიტიკური რეჟიმები შეიძლება წარმოიქმნას თავისი სტრუქტურით სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემებში. მაგალითად, ევროპის მრავალი ქვეყანა წარმოადგენს კონსტიტუციურ მონარქიებს (ანდორა, ბელგია, დანია, ესპანეთი, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვეცია და სხვ.), მაგრამ პოლიტიკური რეჟიმი ამ ქვეყნებში შეესაბამება ხელისუფლების რესპუბლიკურ სტრუქტურას მმართველობის დემოკრატიული მეთოდებით. ამავე დროს, ირანის რესპუბლიკას აქვს სახელმწიფოს ორგანიზაციის სრულიად დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურა, სინამდვილეში კი არის ავტორიტარული სახელმწიფო.

მიღებული კონსტიტუცია ყოველთვის არ არის გარანტი იმისა, რომ ხელისუფლების ჭეშმარიტად დემოკრატიული რეჟიმი გამოარჩიოს არასპეციალისტმა, ჩვეულებრივმა ადამიანმა ავტორიტარული ან ტოტალიტარულიდან. მაგალითად, საბჭოთა კავშირი მსოფლიოს მრავალი ხალხისთვის კარგა ხანს განასახიერებდა რეალურ სახალხო მმართველობას და დემოკრატიული თავისუფლების ოაზისს. თვალი აეხილათ, მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში

ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ტოტალიტარული რეჟიმი დაემხო.

პოლიტიკური რეჟიმის ნიშნები და ბუნება.

პოლიტიკური რეჟიმის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ხელისუფლების ინსტიტუტების ორგანიზაციის პრინციპი, გათვალისწინებული პოლიტიკური მიზნები, მათი მიღწევის მეთოდები და საშუალებები. მაგალითად, ტოტალიტარულ რეჟიმებში პოპულარულია ლოზუნგები და დირექტივები "მიზანი ამართლებს საშუალებებს, გამარჯვება ნებისმიერ ფასად", და სხვ.

პოლიტიკური რეჟიმის ხასიათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხალხის ისტორიული ტრადიციები და საზოგადოების პოლიტიკური კულტურის დონე. პოლიტიკურ დიქტატორს ან მმართველ პოლიტიკურ ელიტას ძალაუფლების უზურპირება შეუძლიათ იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მისცემს ხალხი და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები. ძნელი წარმოსადგენია, ხანგრძლივი დემოკრატიული ტრადიციებისა და პოლიტიკური კულტურის მაღალი დონის მქონე ქვეყნებში ადვილად დამყარდეს ძალაუფლების ავტორიტარული ან ტოტალიტარული რეჟიმი. სამაგიეროდ, უმეტესწილად ტრადიციული პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმები ბუნებრივად წარმოიქმნება ხოლმე.

პოლიტიკური რეჟიმების ფორმები და სახეები

პოლიტიკური რეჟიმების უამრავი ნაირსახეობა არსებობს, მაგრამ პოლიტოლოგების მიერ, როგორც წესი, განიხი-

ლება სამი ძირითადი ფორმა: ტოტალიტარული, ავტორიტარული და დემოკრატიული.

ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი. ტოტალიტარიზმი (ლათინური *totalis* – ყოვლისმომცველი, საყოველთაო) არის პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი სახე, რომლის დროს სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და მოქალაქეთა ქცევის ყველა ასპექტს უკიდურესად ცენტრალიზებული ხელისუფლება წარმართავს. სახელმწიფოს სრული (ტოტალური) კონტროლის ქვეშაა საზოგადოების ყველა სფერო, ფაქტობრივად ლიკვიდირებულია კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები; იდეოლოგიური მრავალფეროვნების ნაცვლად გაბატონებულია ერთადერთი იდეოლოგია, ჩანასახშივე, იხშობა ნებისმიერი ოპოზიციური გამოსვლა და სხვაგვარად აზროვნება. ერთ პირის (ბელადის) ხელთ სრულად კონცენტრირებული სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ერთადერთი პარტიისა და სამხედრო დისციპლინის მეშვეობით. შენარჩუნებული დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმა და ინსტიტუტები (პარლამენტი, არჩევნები, რეფერენდუმი და სხვ.) მოკლებული არიან რეალურ შინაარსს, ასრულებენ მხოლოდ დეკორაციის როლს და გამოიყენება პროპაგანდისტული მიზნებისათვის.

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი. ავტორიტარიზმი (*Authoritarianism*) არის პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი სახე, რომლის დროს, გარკვეულად შეზღუდულია პოლიტიკური უფლებები, სახელმწიფო ძალაუფლება კონცენტრირებულია ძირითადად ერთი პირის (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მონარქი) ან ჯგუფის ხელში. რეფერენდუმისა და

არჩევნების პროცესი ექვემდებარება მთავრობის კონტროლს და ატარებს ფორმალურ ხასიათს. ხელისუფლებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების რეალური მექანიზმი განსხვავებულია საკონსტიტუციო ნორმებისაგან. ტოტალიტარიზმისაგან განსხვავებით ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი უფრო მეტად პოლიტიკურ სფეროს მოიცავს და ნაკლებად აისახება ეკონომიკის სფეროში - ავტორიტარიზმი მოსახლეობას თავისუფალი მოღვაწეობის გაცილებით უფრო ფართო არეალს უტოვებს, რადგანაც იგი ეგუება ეკონომიკურ ლიბერალიზმს და არ ზღუდავს კერძო სამეწარმეო თუ კომერციულ საქმიანობას. მაგალითებად გამოდგება: *ფრანსისკო ფრანკოს* (Francisco Franco Bahamonde) მმართველობა ესპანეთში (1939-1975) ან *აუგუსტო პინოჩეტის* (Augusto Pinochet) რეჟიმი ცივი ომის პერიოდში ჩილეში (1973 წლიდან).

ავტორიტარიზმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური სისტემის ტიპია. თავისი ხასიათით მას უფრო შუალედური პოზიცია უკავია ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას შორის. ამიტომაც იგი შეიძლება შეგვხვდეს ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაში ან, პირიქით, დემოკრატიიდან ტოტალიტარიზმში გადასვლის პერიოდში.

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმები საკმაოდ მრავალფეროვანია. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება მიზნებითა და პრობლემების გადაჭრის მეთოდებით, ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმით და შეიძლება იყოს რეექციული, კონსერვატული ან პროგრესულიც კი. მაგალითად, ჩილე, ბრაზილია, სამხრეთ კორეა ავტორიტარიზმის

გავლით მივიდნენ ხელისუფლების დემოკრატიულ რეჟიმებად.

დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი. ეს არის პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი სახე, რომლის როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით. დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნებია – არჩევითობა და მოკლევადიანობა. გარდა ამისა, ცნება დემოკრატია მოიცავს უფლებებსა და თავისუფლებას, რომელთაც ბუნება ანიჭებს ყოველ ადამიანს განურჩევლად მისი რასული, ეთნიკური, კონფესიური, რელიგიური, სოციალური, იდეოლოგიური თუ სხვა კუთვნილებისა.

დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების ფორმირებაში ხალხის რეალური მონაწილეობა, მოქალაქეთა ფართო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, მათი განხორციელების რეალური კონსტიტუციური გარანტიების არსებობა; ასევე პოლიტიკური პლურალიზმი და მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნების გარანტია.

სახელმწიფოს საზოგადოებრივი წესწყობილების დემოკრატიული განვითარება სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე იძლევა დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის სრულიად განსხვავებულ მოდელებს.

იმის მიხედვით, თუ ხალხი რა სახით ახორციელებს თავის უფლებას ძალაუფლებაზე, შეიძლება გამოიყოს დემოკრატიის განხორციელების სამი ძირითადი საშუალება: **პირდაპირი დემოკრატია** – ხმის უფლების მქონე ყველა ადა-

მიანი უშუალოდ იღებს გადაწყვეტილებას და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას. დემოკრატიის ამგვარი ფორმა ყველაზე მეტად დამახასიათებელია დემოკრატიის ადრეული ხანის ფორმებისათვის, მაგალითად, გვაროვნული თემისთვის. პირდაპირი დემოკრატია არსებობდა ანტიკური ხანის ათენში. პლემბიცისტური დემოკრატია – ხალხი გადაწყვეტილებას იღებს განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, რეფერენდუმზე. წარმომადგენლობითი დემოკრატია – ხალხი ირჩევს საკუთარ წარმომადგენლებს, ხოლო ისინი მათი სახელით მართავენ სახელმწიფოს ან ხელისუფლების რომელიმე ორგანოს.

სახელმწიფო მმართველობის ფორმა

მმართველობის ფორმა ვიწრო გაგებით – ესაა, საკუთრივ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მოწყობის წესი (სახელმწიფოში ზედა ხელისუფლების ორგანიზების წესი).

მმართველობის ფორმა ფართო გაგებით – ესაა, სახელმწიფოს ყველა ორგანოს მოწყობისა და თანამოქმედების წესი.

ჩვენ შემთხვევაში, მმართველობის ფორმაში იგულისხმება: სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ორგანიზების სისტემა, მათი ფორმირების წესი, კომპეტენცია, თანამოქმედება და ურთიერთობა მოსახლეობასთან.

მმართველობის ფორმა გვიჩვენებს:

- როგორ იქმნება სახელმწიფოში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

- როგორია მათი სტრუქტურა.
- რა პრინციპები უდევს საფუძვლად სახელმწიფო ორგანოებს შორის თანამოქმედებას.
- როგორ ეწყობა თანამოქმედება უზენაეს ხელისუფლებასა და რიგით მოქალაქეებს შორის.
- რამდენად იძლევა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის საშუალებას სახელმწიფო ორგანოების მოწყობის წესი...

სხვადასხვა პერიოდში მმართველობის ფორმას სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა.

მმართველობის შესახებ შეხედულებები, ალბათ, უკვე პირველყოფილი თემური წყობილების დროს ჩაისახა, როდესაც ადამიანები ერთიანდებოდნენ ტომებად საერთო მიზნების მისაღწევად.

ყოველ შემთხვევაში, მმართველობის ფორმა სახელმწიფოს მოწყობის დახასიათებაში ნამდვილად უძველეს ელემენტს წარმოადგენს, რომელსაც ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში სწავლობდნენ.

აგრარულ საზოგადოებაში მმართველობის ფორმის მნიშვნელობა დაყვანილი იყო იმის გარკვევამდე, თუ როგორ განწყობულიყო სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა – მემკვიდრეობის თუ არჩევის წესით.

ფეოდალიზმის რღვევისა და **ინდუსტრიული საზოგადოებაში** გადასვლის კვალად, რასაც თან ახლდა მონარქების ხელისუფლების შესუსტება, სახალხო წარმომადგენლობის გაჩენა და განმტკიცება, მართველობის ფორმებიც ვითარდებოდა.

უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა არა იმან, თუ როგორ ხდება ხელისუფლების გადაცემა (ქვეყანაში მემკვიდრეობითი ან არჩევითი სახელმწიფოს მეთაური), არამედ როგორ არის ორგანიზებული ურთიერთობა სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტს, მთავრობას შორის, როგორ არის შეთანასწორებული მათი უფლებამოსილებანი, ანუ როგორაა მოწყობილი ხელისუფლების დანაწილება.

მმართველობის ფორმების განსაზღვრის კრიტერიუმები:

- ხელისუფლების გადაცემის წესი (მემკვიდრეობითი თუ არჩევნების გზით).

- სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე (რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურისაგან განსხვავებით, მონარქიაში სახელმწიფოს მეთაურს არ გააჩნია იურიდიული პასუხისმგებლობა).

- სახელისუფლებო უფლებამოსილებათა გამიჯვნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის.

მმართველობის მონარქიული ფორმა და სახეები:

1. აბსოლუტური მონარქია;
2. შეზღუდული მონარქია;
 - 2.1. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია;
 - 2.2. კონსტიტუციური მონარქია;
 - 2.2.1. დუალისტური მონარქია;
 - 2.2.2. საპარლამენტო მონარქია.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმა და სახეები:

1. საპრეზიდენტო რესპუბლიკა;

2. საპარლამენტო რესპუბლიკა;
3. შერეული რესპუბლიკა.

მმართველობის არატიპური (შერეული) ფორმები:

1. მონარქია რესპუბლიკური ელემენტებით
(„რესპუბლიკური მონარქია“, არჩევითი);
2. რესპუბლიკა მონარქიული ელემენტებით;
3. თეოკრატიული რესპუბლიკა (მაჰმადიანური რესპუბლიკა)

მონარქია

მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლება ერთპიროვნულად სამუდამოდ ეკუთვნის სახელმწიფოს მეთაურს – მონარქს, რომელსაც მემკვიდრეობით უკავია ტახტი და აკისრია პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე.

მონარქიის დამახასიათებელი ნიშნები:

- სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაურია მონარქი;
- ძალაუფლება გადაეცემა მემკვიდრეობით;
- მონარქს იურიდიული პასუხისმგებლობა არ გააჩნია (მონარქის ხელისუფლებიდან გადაყენება შეუძლებელია)

მონარქიის სახეები

1. **აბსოლუტური მონარქია** (შეუზღუდავი) – სახელმწიფო, სადაც მონარქი არის სახელმწიფოში ერთადერთი უმაღლესი ორგანო და მის ხელში მთელი სისრულით თავმოყ-

რილია სახელმწიფო ძალაუფლება (საუდის არაბეთი, ომანი).

- განსაკუთრებული სახესხვაობაა თეოკრატიული მონარქია (ვატიკანი).

2. შეზღუდული მონარქია – სახელმწიფო, სადაც მონარქთან ერთად არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები, რომლების ანგარიშვალდებულები არ არიან მის წინაშე, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლება გაშორიშორებულია ხელისუფლების ყველა უმაღლეს ორგანოებს შორის. მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია სოციალური აქტის (კონსტიტუცია) ან ტრადიციის საფუძველზე. თავის მხრივ, შეზღუდული მონარქია იყოფა:

- წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიად;
- კონსტიტუციურ მონარქიად.

2.1. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია – მონარქია, სადაც მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია გარკვეული წოდებასთან კუთვნილების კრიტერიუმების შესაბამისად (კორტესები ესპანეთში, საეროზო კრება რუსეთში და სხვ.) ორგანოების ფორმირების ტრადიციით და როგორც წესი, თამაშობდა სათათბირო ორგანოს როლს. ამჟამად ასეთი მონარქიები მსოფლიოში აღარ არსებობს.

2.2. კონსტიტუციური მონარქია - მონარქის უფლებამოსილება შეზღუდულია კონსტიტუციით, სადაც არსებობს ხელისუფლების სხვა უმაღლესი ორგანო, რომლის ფორმირებაც ხდება ხალხის წარმომადგენლების (პარლამენტის) არჩევის გზით. თავის მხრივ კონსტიტუციური მონარქია იყოფა:

- დუალისტურ მონარქიად;
- საპარლამენტო მონარქიად.

2.2.1. დუალისტური მონარქია – სახელმწიფო, სადაც მონარქი მთელი სისრულით ფლობს აღმასრულებელ ხელისუფლებას, აგრეთვე აქვს საკანონმდებლო და სასამართლო უფლებამოსილებათა ნაწილი. ასეთ სახელმწიფოში წარმომადგენლობითი ორგანო არსებობს და ახორციელებს საკანონმდებლო ფუნქციებსაც, მაგრამ მონარქს შეუძლია ვეტო დაადოს აქტებს და შეხედულებებისამებრ დაითხოვოს წარმომადგენლობითი ორგანო (იორდანია, მაროკო).

2.2.2. საპარლამენტო მონარქია – სახელმწიფო, სადაც მონარქი წარმოადგენს ტრადიციის ხარკს და არ გააჩნია რაიმე არსებითი უფლებამოსილება. ასეთ მონარქიებში სახელმწიფო მოწყობილია ხელისუფლების დანაწილების პრინციპებზე (დიდი ბრიტანეთი, იაპონია, დანია).

რესპუბლიკა

მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები აირჩევა ხალხის მიერ, ან ფორმირდება განსაკუთრებული წარმომადგენლობითი დაწესებულებების მიერ გარკვეული დროით და აკისრიათ სრული პასუხისმგებლობა ამომრჩევლებისადმი.

რესპუბლიკური მმართველობის ფორმის დამახასიათებელი ნიშნები:

- ყოველთვის არსებობს ხელისუფლების რამდენიმე უმაღლესი ორგანო, ამასთან უფლებამოსილებანი მათ შორის

დანაწილებულია იმგვარად, რომ ერთი ორგანო დამოუკიდებელია მეორისგან (ხელისუფლების დანაწილების პრინციპი).

- ქვეყნის მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს ხალხის სახელით.
- ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან მოსახლეობის მიმართ, რაც შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:
 - 1) ისინი აირჩევიან განსაზღვრული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ უფლებამოსილება შეიძლება არ გაუგრძელდეს.
 - 2) შესაძლებელია უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა.

რესპუბლიკის სახეები

რესპუბლიკები უმთავრესად განსხვავდება იმით, თუ ხელისუფლების რომელი ორგანო პარლამენტი ან პრეზიდენტი აყალიბებს მთავრობას და წარმართავს მის მუშაობას, აგრეთვე რომელი მთავრობის წინაშეა პასუხისმგებელი.

საპრეზიდენტო რესპუბლიკა

სახელმწიფო, სადაც პარლამენტარიზმთან ერთად პრეზიდენტის ხელში ერთდროულად თავმოყრილია სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებანი. მთავრობას უშუალოდ თვითონ პრეზიდენტი აყალიბებს და შლის, ამასთან პარლამენტს არ შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა. აქ ყველაზე სრულად ვლინდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპი (აშშ, ეკვადორი).

საპარლამენტო რესპუბლიკა

სახელმწიფო, სადაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ორგანიზაციაში უდიდესი როლი აკისრია პარლამენტს. პარლამენტი აყალიბებს მთავრობას და უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადააყენოს. სახელმწიფოში პრეზიდენტს არ გააჩნია რაიმე არსებითი უფლებამოსილება. (ისრაელი, საბერძნეთი, გერმ.).

შერეული რესპუბლიკა

ასეთი ფორმის მმართველობის სახელმწიფოებში ძლიერი საპრეზიდენტო ძალაუფლება ერთდროულად შეხამებულია პარლამენტის კონტროლის ეფექტური ზომებით აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის) საქმიანობაზე, რომელსაც აყალიბებს პრეზიდენტი პარლამენტის აუცილებელი მონაწილეობით. ამდენად, მთავრობა პასუხს აგებს ერთდროულად როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის წინაშე (პორტუგალია, საფრანგეთი).

მმართველობის არატიპური (შერეული) ფორმები

- მონარქია რესპუბლიკური ელემენტებით („რესპუბლიკური მონარქია“, არჩევითი);
- რესპუბლიკა მონარქიული ელემენტებით;
- თეოკრატიული რესპუბლიკა (მაკმადიანური რესპუბლიკა).

მონარქია რესპუბლიკური ელემენტებით

მონარქიას რესპუბლიკური ელემენტებით („რესპუბლიკური მონარქია“, არჩევითი) აქვს მთავარი რესპუბლი-

კური ნიშანი, სახელმწიფოს მეთაურის სისტემატური არჩევითობა, მაგრამ ვერ აირჩევა ნებისმიერი მოქალაქე, თუნდაც აკმაყოფილებდეს საარჩევნო კვალიფიკაციებს და პრეზიდენტობისთვის საჭირო მოთხოვნებს, არამედ აირჩევა ფედერაციის შემადგენელი ნაწილების მმართველებიდან, ანუ რამდენიმე მონარქიდან მხოლოდ ერთი.

ამგვარი მმართველობის არატრადიციული ფორმები აქვთ მაღაიზიასა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს (აგს). სახელმწიფოებრივი მოწყობის მიხედვით ისინი ფედერაციებია, ამასთან, თითოეული შემადგენელი ნაწილი (აგს – 7 საამირო) ან სახელმწიფოს ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი (მაღაიზიაში 13 შტატიდან 7) წარმოადგენს მემკვიდრეობით მონარქიებს. მთლიანობაში სახელმწიფოს მეთაურის ფორმირება ხდება ფედერაციის ამა თუ იმ სუბიექტის სათავეში მყოფ მონარქებს შორის არჩევნების გზით. ამასთანავე, მისი უფლებამოსილების ვადა დათქმულია მკაფიოდ (ორივე სახელმწიფოში 5 წელს შეადგენს) და უფლებამოსილების მითითებული ვადის გასვლის შემდეგ მონარქი აირჩევა ხელახლა.

რესპუბლიკა მონარქიული ელემენტებით

თანამედროვე მსოფლიოში ტოტალიტარული სისტემების პირობებში გაჩნდნენ რესპუბლიკები მონარქიული ელემენტებით (მონარქიული რესპუბლიკა, სუპერსაპრეზიდენტო), რომელთათვისაც დამახასიათებელია მონარქიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი – სახელმწიფოს მეთაურის შეუცვლელობა. ასეთ რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაური შეიძ-

ლება აირჩეს ფორმალურად, შეიძლება დაინიშნოს, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის ფორმირებაში ხალხი რეალურად არ იღებს მონაწილეობას. ამას გარდა, ასეთი სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება არაა შეზღუდული, იგი არის სამუდამო მმართველი, მმართველი მთელი სიცოცხლის მანძილზე, უფრო მეტიც, შესაძლებელია ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემაც. პირველი სამუდამო პრეზიდენტი გახდა *აჰმედ სუკარნო* (1901-1970) ინდონეზიაში. შემდეგ სიკვდილამდე პრეზიდენტი ჰყავდა *იოსებ ბროზ ტიტოს* (1892-1980) სახით იუგოსლავიას. ამჟამად გვხვდება აზიისა და აფრიკის ქვეყნების ზოგიერთ სახელმწიფოში (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, გამბია და სხვ.).

თეოკრატიული რესპუბლიკა (მაჰმადიანური რესპუბლიკა)

თეოკრატიული რესპუბლიკა (მაჰმადიანური რესპუბლიკა) არის რესპუბლიკის განსაკუთრებული ფორმა, სადაც მმართველობას ახორციელებენ მაჰმადიანი სასულიერო პირები. აქ შეხამებულია ტრადიციული ისლამური სახალიფოს ძირითადი ნიშნები და თანამედროვე რესპუბლიკური წყობის ნიშნები. მაგალითად, ირანი.

2. ახალი ტიპის პოლიტიკური მმართველობის სისტემა

ევროკავშირი ბევრად მეტადაა ინსტიტუციურად სისტემატიზებული, ვიდრე ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, თუმცა მას სახელმწიფოდ, როგორც ასეთს, ვერ განიხილავ, მით უმეტეს, კლასიკური ვესტფალიის ტიპის სახელმწიფოდ. მაგრამ, ამავე დროს, არაერთი კრიტერიუმიდან გამომდინარე, შეიძლება ილაპარაკო ევროკავშირზე, როგორც სპეციფიკური პოლიტიკური მმართველობის სისტემის შესახებ:

პირველი, ევროკავშირს აქვს მმართველობის ინსტიტუტების გამართული და განვითარებული სისტემა;

მეორე, რიგ სფეროში ინტეგრაციის პროცესი ითვალისწინებს კომპეტენციის დელეგირებას ეროვნული დონიდან ზეეროვნულ დონემდე. ამრიგად, განმანაწილებელ და მარეგულირებელ ინსტანციად გვევლინება ევროკავშირის ორგანოები და არა, წევრი-სახელმწიფოები;

მესამე, ევროკავშირის მმართველობის სისტემა ახდენს სერიოზულ გავლენას საკუთარი წევრების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე. ამასთან, მუდმივად ფართოვდება მისი კომპეტენციის სფერო. ევროკავშირის სამართლებრივი ნორმები პირდაპირ შედის მოქმედებაში, ანუ არ მოითხოვს ეროვნულ კანონმდებლობაში ინკორპორაციას;

მეოთხე, ევროკავშირში სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებსა და მისი პოლიტიკური მმართვე-

ლობის ინსტიტუციურ სისტემას შორის არსებობს მდგრადი უკუკავშირები. მაგალითად, ყველაზე არსებითი ცვლილებები დამფუძნებელ ხელშეკრულებებში შეაქვთ დამატებების ან სამთავრობათშორისო კონფერენციის მექანიზმის მეშვეობით. ტაქტიკური ადაპტაციები ხორციელდება ევროპული საბჭოს (The European Council) მიერ, აგრეთვე ევროკავშირის კომისიებში კონსულტაციებისა და შეთანხმებების მჭიდრო სისტემის გზით.

ფაქტობრივად მხოლოდ ერთი კრიტერიუმია, რომლის არარსებობის გამოც შეიძლება დაეჭვდე, ჩათვალო თუ არა ევროკავშირი პოლიტიკურ სისტემად: ევროკავშირის ინსტიტუტები არ ფლობენ ლეგიტიმური ძალის გამოყენების უფლებას. ეს უფლება რჩება წევრი-სახელმწიფოების უფლებამოსილების სფეროში ანუ იძულების ინსტრუმენტები, პირველ ყოვლისა, ძალოვანი ორგანოები რჩებიან ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე. ამიტომაც ევროკავშირს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „სამოქალაქო ძალას“ (Civilian power), რადგან იგი ზემოქმედებისთვის იყენებს ეკონომიკურ მექანიზმებსა და ინსტიტუტებს, თუმცა ახლა მკვლევართა ნაწილი აღარ თვლის ძალისმიერ იძულებასა და სახელმწიფო აპარატს პოლიტიკური სისტემის არსებობის უდავოდ აუცილებელ პირობად. სახელმწიფო როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა წარმოიქმნა გარკვეულ გეოგრაფიულ, კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში და ეტყობა, რომ იგი არაა საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზაციის ერთადერთი ფორმა.

ევროპის პოლიტიკური მმართველობის სისტემის უნიკალურობა ყველაზე მეტად ასახულია ევროკავშირის პოლიტიკური სისტემის შინაარსში. იგი განსხვავდება სახელმწიფოებისა და არსებული სხვა ორგანიზაციებისაგან. **მას აქვს სახელმწიფოთშორისი, სახელმწიფოსზედა და მრავალპარტიული საპარლამენტო დემოკრატიის ელემენტები.**

ევროკავშირი ერთგვარად წააგავს კონფედერაციას, სადაც პოლიტიკის მრავალი სფერო ფედერალიზებულია კანონის მიღებაში უფლებამოსილ საერთო ინსტიტუტებში. მაგალითად, განსხვავებულია ევროკავშირის საგარეო, თავდაცვითი და პირდაპირი საგადასახადო პოლიტიკა. ეს სფეროები, პირველ ყოვლისა, ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების კონტროლქვეშაა, თუმცა, ამავე დროს, ადგილი აქვს გარკვეულ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ თანამშრომლობასა და კოორდინაციას. ამ სფეროებში ევროკავშირი არსებით გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს წევრი სახელმწიფოების თანხმობის გარეშე.

ევროკავშირის პოლიტიკური მმართველობის სისტემის მდგრად განვითარებას განსაზღვრავს ყოველდღიური მმართველობა, რომელშიც მონაწილეობენ არა მარტო ინტეგრაციული ინსტიტუტები და ეროვნული მთავრობები, არამედ არასამთავრობო აქტორებიც. სისტემის გაღრმავებული დიფერენციაციის პირობებში, რაც ძირითადად გამოწვეულია მისი ელემენტების განსხვავებულობით სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ფასეულობათა დაცვა მიიღწევა მოლაპარაკებებსა და ურთიერთსწავლებაზე დაფუძნებული მართვის არაიერარქიული მეთოდების გამოყენების ხარჯზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოში პოლიტიკა ფაქტობრივად კონცენტრირებულია ორი სექტორის გარშემო – ხელისუფლებასა და ბაზარს შორის. ევროკავშირის სპეციფიკა ისაა, რომ მისი პოლიტიკური სისტემა აგებულია არა ორი, არამედ სამი, პრაქტიკულად თანაბარუფლებიანი სექტორის გარშემო – ხელისუფლებაზე, ეკონომიკასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. ორ სექტორიანი სისტემიდან სამიანზე გადასვლა დიდ ნაბიჯს წარმოადგენს პოლიტიკური სისტემის ევოლუციური განვითარების გზაზე, რომელიც იძლევა ნათელ წარმოდგენას, თუ როგორი სახით უნდა იყოს ის ორგანიზებული. ევროკავშირი ფაქტობრივად პირველი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელმაც პოლიტიკური მმართველობის პროცესში ოფიციალურად აღიარა ისინი თანაბარუფლებიანი პარტნიორის რანგში. ევროკავშირი სამოქალაქო ორგანიზაციას განიხილავს, როგორც „მესამე კომპონენტს“ საკუთარ პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც ასრულებს შუამავალ ფუნქციას სახელმწიფოს, ბაზარსა და მოსახლეობას შორის.

როგორც აღინიშნა, ევროკავშირი არ არის სახელმწიფო, მაგრამ იმავე დროს, ევროპული ინტეგრაციის განვლილ პერიოდში, შექმნილმა გაერთიანებამ შეიძინა დამოუკიდებელი პოლიტიკური სისტემის სახე. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი არის საზოგადოებრივი მოწყობის განსაკუთრებული ტიპი, პოლიტიკური მმართველობის ახალი სისტემა:

- მრავალდონიანი მმართველობის თეორია ნათელს ხდის ეროვნული სახელმწიფო სტრუქტურების „ევ-

როპეიზაციის“ პროცესს. ევროკავშირში აქცენტების გადანაცვლება ხდება პოლიტიკის შემუშავების იერარქიულიდან საკოორდინაციო მეთოდებზე. ფართოვდება კოლექტიურ გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვანი გავლენა, რომლებიც კომუნიტურ¹ დონეზე მიიღება, ეკონომიკური რესურსების განაწილება და სოციალურ-პოლიტიკური ფასეულობების გავრცელება მთელი სისტემის ჩარჩოებში;

- კოორდინაციის ღია მეთოდი წარმოადგენს ერთიანი შიგა ბაზრის პირობებში მოქმედი წევრი სახელმწიფოების სოციალური უზრუნველყოფის ეროვნული სისტემების რეფორმირების მოქნილ საშუალებას. მნიშვნელოვანია უკუკავშირის არსებობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შორის ანუ მუდმივი ურთიერთქმედება მთელი სისტემის ჩარჩოებში ეკონომიკური რესურსების განაწილებასა და სოციალური და პოლიტიკური ფასეულობების გავრცელებაში.
- ევროკავშირში დემოკრატიის ერთგვარი დეფიციტი გამოწვეულია მასში საერთო ევროპული დემოსის არარსებობასთან, მისი გადალახვა ხდება მოქალაქეთა ასოციაციის კომუნიტურ მმართველობაში ჩართვისა და ევროკავშირში ტრანსეროვნული საზოგადოებრივი სფეროს განვითარების გზით, მოქალაქეებისათვის საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზების შესაძლებლობების მინიჭების ან უშუალოდ, არჩევნებში მონაწილეობის ან არჩეული წარმომადგენლე-

¹ ადგილობრივი გაერთიანება (community).

ბის საშუალებით, რომლებიც არიან გამარჯვებული პარტიის, და ინტერესთა ჯგუფების წევრები.

- დღეისათვის მოქალაქეთა ასოციაციების ზეეროვნულ ინსტიტუტებთან ურთიერთქმედების პრაქტიკის ინსტიტუციონალიზება ხდება და ბევრ რამეში იგი უკვე შეესაბამება კომუნიკაციურ-დელიბერაციულ² მიდგომას, რომელიც გამოკვეთავს გადაწყვეტილებათა მიღების ნათელ და გამჭვირვალე პროცედურებს დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანი ინფრასტრუქტურის სახით.
- ევროკავშირისათვის დამახასიათებელია ტრანსნაციონალური შინაარსის აგრეირებადი და ინტეგრირებადი პოლიტიკური ქსელები, რაც მათ განასხვავებს ეროვნული პროტოტიპებისაგან. ამასთანავე, ევროკავშირის პოლიტიკურ ქსელებში ყველა მონაწილე იზიარებს და დიდი მნიშვნელობა ანიჭებს ეროვნულ ფასეულობებს, ხოლო მათ შორის განსხვავებულობის შემთხვევაში აქცენტი კეთდება მათში საერთო ნიშნების მოძიებაზე.
- ევროკავშირს აქვს გადაწყვეტილებებისა და წესების კოლექტიურად მიღებისათვის სტაბილური და მკაფიოდ განსაზღვრული ინსტიტუტები, აქვს საკუთარი პოლიტიკური სისტემა, რომელიც, ამავე დროს, არის დეცენტრალიზებული, ასიმეტრიული და დიფერენცირებული;

² დელიბერაციული – მსჯელობაზე დაფუძნებული.

დეცენტრალიზაცია იმაში გამოიხატება, რომ არ არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღების ერთიანი ცენტრი. სახელისუფლებო რესურსი გაზიარებულია ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ეროვნულ სახელმწიფო ორგანოებს შორის. ამასთან, ევროკავშირის პოლიტიკურ სისტემას აქვს დეცენტრალიზაციის თვისებრივად სხვა ხარისხი იმასთან შედარებით, რაც დამახასიათებელია ეროვნული ფედერაციებისათვის. ევროკავშირში წევრი-სახელმწიფოები ფორმალურად ინარჩუნებენ საკუთარ სუვერენიტეტს, მაშინ როდესაც ეროვნულ ფედერაციებს პრინციპულ



ლად ეს არ გააჩნიათ.

ევროპის კავშირის პოლიტიკური სისტემის ასიმეტრიულობა გამოხატულია პოლიტიკის ცალკეული სექტორების ინტეგრაციის სხვადასხვა ხარისხში. მისგან განსხვავებით კომუნიტარულ ინსტიტუტებს სხვადასხვა უფლებამოსილება აქვს. თუ ერთიანი შიგა ბაზრის რეგულირების სფეროში ზეეროვნულ ინსტიტუტებს აქვს ფართო კომპეტენციები, საერთო საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების პოლიტიკის შემუშავების პროცესს ისინი უფრო აკვირდებიან, ვიდრე მასში აქტიურად მონაწილეობენ. ამ სფეროში პრიორიტეტი ეძლევა ევროკავშირის ჩარჩოებში სამთავრობათშორისო თანამშრომლობას.

დიფერენციაცია წარმოადგენს ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების იმ ხაზს, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია ეროვნულ პოლიტიკურ სისტემებში. დიფერენციაციაში იგულისხმება სამართლებრივი სივრცის სხვადასხვაგვარობა. მის საილუსტრაციოდ გამოდგება ევროზონა, რომელშიც გაერთიანებულია ევროკავშირის 19 წევრი-ქვეყანა. მათთვის საერთო ვალუტაა ევრო. დიფერენციაციის სხვა ნათელი მაგალითია, შენგენის ხელშეკრულებით დადგენილი განსაკუთრებული სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმები. ისინი არ ვრცელდება ევროკავშირის ყველა წევრ-ქვეყანაზე. შენგენის ხელშეკრულება ძალაშია იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში.

ევროკავშირის განსაკუთრებული პოლიტიკური სისტემა იმართება განსხვავებულადაც. მასში გადაწყვეტილებათა მიღების დონეები ყოველთვის მკაცრი იერარქიულობით არ

არის განლაგებული. მათი ურთიერთქმედება გაფორმებულია ინტეგრაციული³ მართვის სხვადასხვა მეთოდების სახით. მათ შორის, ორი საბაზისოა გაერთიანებისა და სამთავრობათშორისო თანამშრომლობის მეთოდები. მაგრამ თითოეულ ამ მეთოდს აქვს თავისებური მოდიფიკაცია. მაგალითად, გაერთიანების მეთოდი ზოგიერთ სფეროში (შიგა ბაზარი, მაგალითად) ევოლუციის პროცესში გარდაიქმნა, ეგრეთ წოდებულ, მარეგულირებელ მოდელად. სამთავრობათშორისო თანამშრომლობის მეთოდმა გამოყენების პროცესში განიცადა ევოლუცია და ამჟამად იგი არის ინტენსიური ტრანსსამთავრობათშორისო მეთოდი. გარდა ამისა, ევროკავშირში პოლიტიკის შემუშავების პროცესში კიდევ უფრო გახშირდა რეგიონების მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს რეგიონული ხელისუფლების მონაწილეობით მრავალდონიანი მმართველობის წარმოქმნასა და განვითარებას.

როგორც აღინიშნა, ევროკავშირი არ არის სახელმწიფო, მაგრამ ახორციელებს მასირებულ პოლიტიკურ მმართველობას. შესაბამისად აჩენს კითხვას მისი დემოკრატიულობის ხარისხის შესახებ. **სპეციალისტები განასხვავებენ დემოკრატიის დეფიციტის ორ სახეს. პირველი, ინსტიტუციურს, მეორე, სოციალურ-ფსიქოლოგიურს.** ინსტიტუციური დეფიციტი წარმოიქმნება, ძირითადად, იმასთან დაკავშირებით, რომ საკანონმდებლო უფლებამოსილების გადატანა ეროვნული პარლამენტებიდან ევროკავშირის აღმასრულებელ

³ ინტეგრაცია – ინტეგრაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ეროვნული ეკონომიკის ურთიერთმეღწევასა და შერწყმას საერთაშორისოში.

ორგანოებში (საბჭო/კომისია) არ შეესაბამება ამ ორგანოებისადმი ევროპარლამენტის კონტროლს.

დემოკრატიის სოციალურ-ფსიქოლოგიური დეფიციტი, რაც დაკავშირებულია ევროკავშირში საკუთარი „დემოსის“ (თავისუფალი და თანასწორი მოქალაქეების ერთობა) არარსებობასთან, პირველადია ინსტიტუციურ დეფიციტთან შედარებით, რომელიც გამოწვეულია ევროპული პარლამენტის მხრიდან არასაკმარისი კონტროლით ინტეგრაციული პოლიტიკის შემუშავების პროცესზე. მთლიანობაში დემოკრატიის ამგვარი დეფიციტის გადალახვა შესაძლებელია ევროკავშირში ტრანსნაციონალური სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და გადაწყვეტილებათა შემუშავების პროცესში მისი ჩართვის გზით. მაგრამ იმისათვის, რათა ამადლდეს ინტეგრაციული მართვის დემოკრატიულობა, უნდა იყოს რეგულარულობის საფუძველზე ორგანიზებული პოლიტიკური ქსელები, როგორც პოლიტიკის დაგეგმვასა და შესრულებაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაში ჩართულობის ფორმა.

სოციალურ-ფსიქოლოგიური დეფიციტი, თავის მხრივ, ჩნდება იმის გამო, რომ არ არსებობს თავისუფალი და თანასწორი მოქალაქეების ერთიანობის გრძნობის საფუძველზე წარმოშობილი ერთიანი ევროპული ნაცია.

დემოკრატიის ამ ორი სახის დეფიციტის გადასალახვად ევროკავშირი ახორციელებს სხვადასხვა სტრატეგიას. ევროკავშირის ინსტიტუციური მექანიზმის დემოკრატიზაციის სტრატეგიას განეკუთვნება:

1) ზეეროვნული ინსტიტუტების კონტროლი ეროვნული საშუალებების დახმარებით;

2) დემოკრატიული მექანიზმების გადატანა ეროვნული სახელმწიფოს დონიდან ინტეგრაციული სისტემის დონეზე.

მაგრამ მოცემული დემოკრატიზაციის სტრატეგიის პრაქტიკული განხორციელების გზაზე ევროკავშირის ფუნქციონერები აწყდებიან მნიშვნელოვან სიძნელეებს. ისინი გამოწვეულია ევროკავშირში ტრანსნაციონალური პარტიების განუვითარებლობით, რაც დაკავშირებულია ევროკავშირში ერთიანი „დემოსის“ არარსებობით.

ამრიგად, ევროკავშირის მთავარ თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს არა იმდენად კონკრეტულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნს საკუთარი პოლიტიკური სისტემით, არამედ იგი განასახიერებს პოლიტიკური მმართველობის გარკვეულ სპეციფიკურ ტიპს.

ევროკავშირის ფენომენი მომხდარი ფაქტია, რომელმაც მტკიცედ დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი შემდგომი განვითარება კვლავაც მოახდენს სერიოზულ გავლენას მთლიან მსოფლიო პოლიტიკურ პროცესზე.


ევროკავშირმა მმართველობის კონცეფციაც ახალი დაამკვიდრა, შექმნა მმართველობის თანამედროვე მეთოდები და მოდელები. ევროკომისიის გადაწყვეტილებებით (ოფიციალური დოკუმენტები: 2002/47/EC, ECSC; 2004/563/EC და SEC(2009)1643, 29.11.2009) შემუშავდა გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი ამოქმედების ახალი კლასიკური პრო-

ცედურები (ე.წ. „თანამეგობრობის კლასიკური მეთოდი“), შეიქმნა მართვის ახალი ფორმები და კანონების მიღების ახალი მეთოდები ევროკავშირში, რამაც საშუალება მისცა ამ საერთოევროპული სტრუქტურის „აპარატს“ ეფექტურად იმუშაოს კავშირის წევრი-ქვეყნების რაოდენობის კიდევ უფრო ზრდის შემთხვევაშიც და ევროპის მოსახლეობისათვის კიდევ უფრო ნათელი და „მისაღები“ გახადა ევროპული კავშირის იდეა.

3. ევროპის პოლიტიკური მმართველობის ევოლუცია და გარდაქმნა

თანამედროვე ევროპას პოლიტიკური მართველობის სისტემის შესახებ საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ დიდი ფრანგი მწერლის *ვიქტორ ჰიუგოს* (Victor-Marie Hugo, 1802–1885) მიერ 1849 წელს წარმოთქმული წინასწარმეტყველური სიტყვები: „დადგება ჟამი, როდესაც ამ კონტინენტის ყველა ერი, თავისი გამორჩეული ხასიათითა და ინდივიდუალობით, გაერთიანდება უმაღლეს ერთობაში და ჩამოაყალიბებს ევროპულ ძმობას... მოვა დრო, როდესაც მხოლოდ გონება იქცევა იდეებისთვის ბრძოლის ველად და ბაზრები – სავაჭრო ურთიერთობებისთვის... იქნება ეპოქა, როდესაც ჭურვები შეიცვლება კენჭისყრებით...“. საუკუნეზე მეტი ხნის წინადელი მისი ეს წინასწარმეტყველება თანდათანობით რეალობა ხდება.

ტერმინ „ევროპაში“ ისტორიულად მოიაზრება არა მხოლოდ გეოგრაფიული ტერიტორიული ერთეული, მატერიკი,



არამედ იდეალები, გარკვეული ცივილიზაცია, ხოლო უშუალოდ თანამედროვე ევროპული იდეა ეფუძნება არა კონტინენტს, როგორც ასეთს, არამედ ინდივიდუალიზმისა და ლიბერალიზმის კონცეფციას.

ევროპის ტერიტორიაზე, ისტორიულად ცნობილია ევროკავშირის მასშტაბებთან შედარებითი ერთიანი სახელმწიფო გაერთიანებები იყო: დასავლეთ რომის იმპერია, ფრანკების სახელმწიფო, საღვთო რომის იმპერია. გასული ათასწლეულის განმავლობაში ევროპა დანაწევრებული იყო, მაგრამ იდეა მისი გაერთიანების შესახებ მუდამ არსებობდა. ამერიკული რევოლუციის შემდეგ კი გაჩნდა იდეა ევროპის შეერთებული შტატების შესახებ, რომელიც ხელახლა გაცოცხლდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ევროპაში მე-20 საუკუნის ორი უსასტიკესი მსოფლიო ომის გადატანის შემდეგ, რამაც მრავალ ქვეყანაში დატოვა კვალი – ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები. ევროპელმა პოლიტიკოსებმა თანდათან გააცნობიერეს ერთიანობისა და მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროება და დაიწყეს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება.

დასახული მიზნების განხორციელების გზაზე ევროპის სახელმწიფოებმა შეძლეს გვერდი აევლოთ სერიოზული კრიზისებისა და დაბრკოლებებისათვის, შეენარჩუნებინათ იდეების ხელშეუხებლობა და ურღვევობა. ევროკავშირის ძირითადად მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი მშვი-

დობის უზრუნველყოფა წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ჩათრეული იყვნენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტში, და დემოკრატიული თანხმობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საერთო მიზნები.

თავისი არსებობის ექვსი ათეული წლის გადასახედიდან ევროკავშირმა განსაცვიფრებელ წარმატებებს მიაღწია. მან დაამყარა მშვიდობა თავის წევრ სახელმწიფოებს შორის და კეთილდღეობა მოუტანა საკუთარ მოქალაქეებს. ევროკავშირმა დააარსა საერთოევროპული ფულადი ერთეული (ევრო) და „საერთო ბაზარი“ საზღვრებს გარეშე. ამ ბაზარზე ფართო მოხმარებისა თუ საწარმოო დანიშნულების საქონელი, ადამიანები, მომსახურება და კაპიტალი თავისუფლად მოძრაობს.

ევროკავშირი გაიზარდა ექვსიდან 28 წევრ-სახელმწიფომდე და კიდევ მრავალი ქვეყნაა მასში გაერთიანების მსურველი. იგი უმთავრესი სავაჭრო ძალა და მსოფლიო მასშტაბის ლიდერი გახდა ისეთ სფეროებში, როგორცაა გარემოს დაცვა და განვითარებისაკენ მიმართული დახმარება.

ევროკავშირის წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა მისმა პოლიტიკურმა შინაარსმა, სტრუქტურამ და მუშაობის მექანიზმმა. ევროკავშირი არ არის ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსი ფედერაცია, არც მთავრობებს შორის თანამშრომლობის უბრალო საორგანიზაციო ფორმაა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ის ქვეყნები, რომლებიც შეადგენენ ევროკავშირს (მისი „წევრი სახელმწიფოები“), დამოუკიდებელი სუვერენული ქვეყნებია, მაგრამ ისინი აერთიანებენ თავთავიანთ სუვერენიტეტს, რათა


მიაღწიონ ისეთ ძლიერებასა და მსოფლიო გავლენას, რომლებსაც ცალ-ცალკე ვერც ერთი მათგანი ვერ მიაღწევდა.

რეალობაში სუვერენიტეტის გაერთიანება გულისხმობს წევრი-სახელმწიფოების მიერ გადაწყვეტილების მიღების საკუთარი უფლებამოსილების ნაწილის გადაცემას მათ მიერვე შექმნილი ევროპული ინსტიტუტებისადმი, რაც მიზნად ისახავს საერთო ინტერესის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა ევროპულ დონეზე დემოკრატიულად მიღების შესაძლებლობას.

თანამედროვე ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მიუხედავად ქვეყნებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტისა, კეთილმეზობლური თანაცხოვრების მისაღწევად სახელმწიფოებმა და ხალხებმა გამოავლინეს ეფექტური მშვიდობიანი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების ძიების ჯერარნახული სურვილი და მისწრაფება.

არადა წარსულში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როდესაც ევროპის საზღვრები იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ სახელმწიფოებრივ ძლიერებას აღწევდა რომის იმპერია, ინგლისი, პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია და სხვ.

ევროპული გაერთიანების იდეა, როგორც რეალისტური და იდეალისტური მოტივების ნაზავი, იყო „მწარე“ გამოცდილების მქონე წარსულთან გამოთხოვების სურვილით ნაკარნახევი პოლიტიკურ-ეკონომიკური რეკონსტრუქციის რადიკალური პროგრამა.



ევროპაში ფედერალური გაერთიანების ინსტიტუციური მოდელი შეისწავლებოდა განმანათლებლობის ცნობილი ინტელექტუალების მიერ. მაგალითად, ევროპულ ფედერაციის შექმნის იდეას, ასევე მხარს უჭერდა *ჟან-ჟაკ რუსოე (Jean-Jacques Rousseau, 1712–1778)*.

შუა საუკუნეების პროგრესულად მოაზროვნეთა ყურადღება მიიპყრობილი იყო არა მხოლოდ სამხედრო სიძლიერის, არამედ, ზოგადად, მშვიდობის, აღორძინებისა და სტაბილურობის უფრო მაღალი მიზნებით გაერთიანებული ევროპის მოდელისაკენ.

ეს პრობლემა უფრო ადრეული ხანის ევროპელ ენთუზიასტებსაც აწუხებდათ. მაგალითად, ფრანგმა სამართალმცოდნემ და პუბლიცისტმა *პიერ დუბოისიმ (Pierre Dubois, 1255 – 1321)* თავადების მუდმივი ასამბლეის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1306 წელს წამოაყენა, რომელსაც მშვიდობის დასამყარებლად ქრისტიანული პრინციპების გამოყენებით უნდა ემუშავა.



ამ იდეას მხარს უჭერდა ინგლისელი სამართალმცოდნე, სოციოლოგი, ფილოსოფოსი, უტილიტარიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი *ჯერემი ბენტამი (Jeremy Bentham; 1748–1832)*, რომელიც, იმეორებდა ევროპული ასამბლეის შექმნის მოთხოვნას, ასევე უნდოდა საერთო არმიის შექმნა.

მოგვიანებით საფრანგეთის მეფის ანრი IV–ის მთავრობის მეთაურს, სალის პირველ ჰერცოგს *მაქსიმილიან დე ბეთუნის (Maximilien de Béthune, 1560 –1641)* სურდა შეექმნა

სახელმწიფოების ფედერაცია, რათა ევროპას უკეთ შეძლებოდა თავის დაცვა თურქული აგრესიისაგან.

იმდროინდელი პროექტები და იდეები მიმართული იყო, ძირითადად, ამა თუ იმ სახელმწიფოს ან დინასტიისათვის უფრო დიდი პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად, მოიცავდნენ ქრისტიანულ ევროპას, ითვალისწინებდა წარჩინებულთა უფლებებს და ხშირად უზენაეს ხელისუფლებას მოიაზრებდნენ იმპერატორის ან პაპის ხელში.

წარსულის მოაზროვნეებთან კავშირი შენარჩუნებული იქნა **სენ-სიმონისა** და მისი მიმდევრების დომინანტური ლაიტმოტივით: „მშვიდობა ევროპის შეერთებული სახელმწიფოების მეშვეობით“. ეს უკანასკნელი იყო სწორედ ის ფრაზა, რომელიც კარგად გაიაზრეს და გამოიყენეს მე-19 საუკუნის ინტელექტუალებმა.



ფრანგი ფილოსოფოსი,
ეკონომისტი,
ჟურნალისტი,
სოციოლოგი,
სოციალური რეფორმატორი,
უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებელი

ანრი სენ-სიმონი
Claude Henri de Rouvroy, Comte
de Saint-Simon, 1760–1825

მე-20 საუკუნეში ინტეგრაციის ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა ახალი ფაქტორები. ორი მსოფლიო ომის გატანის შემდეგ, რასაც მოჰყვა ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განად-

გურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები, ევროპელმა ლიდერებმა დაიწყეს გზებისა და საშუალებების ძიება ევროპის სახელმწიფოებისთვის მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებისათვის.

ინტეგრაციისთვის ზიზგის მიმცემი ფაქტორები მე-20 საუკუნეში

<p>მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის გაერთიანებისთვის მოპრაობის გააქტიურება გამოიწვია, როგორც გარე, ისე შიგნით ფაქტორებმა:</p>	<ul style="list-style-type: none">• საბჭოთა კავშირიდან მოსალოდნელი თავდასხმის შიში და აშშ-ის მიერ გამოცხადებული მხარდაჭერა ევროპის დაცვაში.• გერმანიის ხელახალი პოლიტიკური და სამხედრო გაძლიერების (როგორც ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან ორ ათწლეულში) თავიდან აცილება.
--	---

ევროპული ინტეგრაციის პირველ ინსტიტუციურ კავშირს საფუძვლად უდევს იმდროინდელი სამხედრო სიძლიერის გამოხატულების – ქვანახშირისა და ფოლადის გერმანული ინდუსტრიების საფრანგეთთან ინტეგრაციის იდეა, რომელიც განხორციელდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის *რობერ შუმანის* (1886-1963) გეგმით.

პროექტის განხორციელება დაიწყო 1951 წელს, როდესაც შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება 6 ქვეყნის (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდი, ბელგია, ლუქსემბურგი) მონაწილეობით. ამით ევროპული ინტეგრაციის პირველმა ნაბიჯებმა ერთგვარად

გადაჭრა საფრანგთა და გერმანიას შორის არსებული ტრადიციული წინააღმდეგობის პრობლემა.

ამასთანავე, აშშ-ის აქტიური მონაწილეობა ევროპული ინტეგრაციის პროცესში მარშალის გეგმისა თუ ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნით გულისხმობდა ამ სახელმწიფოს მიერ ევროპის კონტინენტზე საკუთარი პროდუქციის გასაღების შეძლებული ბაზრის შექმნას.



9 მაისი დღე, როდესაც შუმანმა წარმოთქვა თავისი სიტყვა ევროპაში ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც ევროპის დღე, ხოლო თავად რობერტ შუმანი ევროპის კავშირის ერთ-ერთ მამამთავრად მიიჩნევა.

გარდა ამისა, მსოფლიო არენაზე ერთმანეთს ებრძოდა რა ორი სუპერსახელმწიფო აშშ-ისა და სსრკ-ის სახით, აშშ-მა ამ გეოგრაფიულ არენაზე „შექმნა მოკავშირე“ და დაინტერესებული იყო მისი გაძლიერებით. ამერიკელები მხარს უჭერდნენ ევროპის უნიფიკაციის პროცესს, იმედოვნებდნენ ამით

ერთგვარად შეიმსუბუქებდნენ იმ ტვირთს, რომელიც მათზე მოდიოდა, როგორც მსოფლიო ზესახელმწიფოზე.

ევროპული ინტეგრაციის თეორიული ასპექტები

თუ როგორ უნდა განხორციელდეს ევროპული ევროპის მშენებლობის პროცესი, იმის შესახებ, ევროპაში ჩამოყალიბდა პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების სამი ძირითადი მიმართულება:

ფედერალისტური;

პლურალისტური (რომელიც ასევე ცნობილია ლიბერალურ-ინსტიტუციონალიზმის სახელით);

რეალისტური.

ფედერალისტური. ფედერალიზმის მომხრეთა აზრით უნდა შექმნილიყო საერთო ევროპული საკავშირო სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, ყველა თანამდევნი სამართლებრივი შედეგებით:

სუვერენული ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა,

ფედერალური სამართლისა და ფედერალური ორგანოების ფორმირება,

ფედერაციისა და მისი სუბიექტების გამგებლობის სფეროთა გამიჯვნა და ა.შ.

პლურალისტური. პლურალისტური ანუ ლიბერალ-ინსტიტუციური მიდგომა ევროპაში საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის გარდაქმნას განიხილავს, როგორც იმ ფრაგმენტირებული სისტემის მოშლას, რომელშიც ურთიერთობები ემყარებოდა ძალმომრეობასა და მუქარას. ისინი ხედავენ სისტემის ჩამოყალიბებას, რომელშიც თამა-

შის წესი არის არა ომის მუქარა, არამედ დიპლომატია და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა.

პლურალისტებში მოიაზრებიან, ასევე ფუნქციონალისტები:

პლურალისტური მიმართულება ემხრობოდა ევროპის სახელმწიფოების მჭიდრო თანამშრომლობას, კერძოდ, ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ დარგში, მაგრამ არსებითად ეწინააღმდეგებოდა ევროპის ფედერალიზაციას.

ასეთ მიდგომას სხვადასხვაგვარი საფუძველი ჰქონდა. ერთ შემთხვევაში ისინი ეფუძნებოდნენ ეროვნული სუვერენიტეტისა და ეროვნული იდეის ერთგულების პრიმატის მყარ საფუძველს, ზეეროვნული სუვერენული წარმონაქმნის შექმნით სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვის დაუშვებლობას. სხვა შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ ქვეყნის განსაკუთრებულ პოლიტიკურ პოზიციასა და ადგილს, რომელიც ეკავა მას საერთაშორისო ურთიერთობებსა და ევროპის რეგიონში.

ნეოფუნქციონალისტები:

სექტორული ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებიდან უფრო ფართო ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ გადანაცვლების შემდეგ, ალტერნატიულ მიმართულებად წარმოიშვა ნეოფუნქციონალური თეორია, რათა აეხსნა განვითარებადი ინტეგრაციული პროცესი.

ფუნქციონალისტები იწყებენ იმ წინაპირობიდან, რომ სახელმწიფოებს შორის ფუნქციური თანამშრომლობის ხელშეწყობის მეშვეობით შესაძლებელი იქნება, რომ თავი შეაკა-

ვებინონ მათ მწირი რესურსებისათვის კონკურენციის სადა-
ვო აგრესიული გზით გადაწყვეტისაგან.

ურთიერთდამოკიდებულებისა და რეჟიმის თეორიები.
ინტეგრაციის საფუძვლების ძიებისა და კვლევის მიმდინა-
რეობისას, წარმოიშვა და განვითარდა ურთიერთდამოკიდე-
ბულებისა და რეჟიმის თეორიები. აღნიშნული მიმდინარეო-
ბები აქცენტს აკეთებენ სახელმწიფოების ეგოისტურ თვი-
თინტერესზე, როგორც წამყვან ძალაზე საერთაშორისო რეჟი-
მების შექმნაში.

რეალისტური. პლურალისტებისაგან განსხვავებით,
რეალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლები ითვალის-
წინებენ რა ევროპის ისტორიას 400 წლის მანძილზე, ვერ ხე-
დავენ სისტემის პროგრესს. ისინი აქცენტირებენ და მნიშვნე-
ლობას ანიჭებენ მხოლოდ ორ გამძლე ელემენტს:

ეროვნულ სახელმწიფოს;

უფლებამოსილებათა განხორციელებას.

ამდენად, მათთვის რეგულარული ომი ჩვეულებრივი
მოვლენაა, როდესაც იკვეთება ორი ან მეტი სახელმწიფოს ინ-
ტერესი. რეალისტებისათვის მთავარი ამოსავალია: ომში
ჩართვის შეზღუდვა.

რეალისტურში მოიაზრება ასევე:

ალიანსის თეორია – ალიანსის თეორიის თანახმად, და-
სავლეთის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა აღქმუ-
ლი იყო როგორც საბჭოთა მუქარის წინააღმდეგ მოქმედი
ფუნქცია. თანამშრომლობა გამოწვეული იყო იმ აუცილებ-
ლობით, რომ გაეერთიანებინა რესურსები, რათა გლობალუ-
რად შეეკავებინა საბჭოთა აგრესია ცივი ომის დროს.

ჰეგემონური სტაბილურობის თეორია – რეალისტური ტრადიციების მეორე მიდგომა, ჰეგემონური სტაბილურობის თეორია ამტკიცებს, რომ თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის ჩნდება, როდესაც წამყვანი (ჰეგემონური) ძალა იცავს წესრიგს სისტემაში. უფრო სუსტ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა გამომდინარეობს ჰეგემონური ძალაუფლების არსებობიდან.

სხვადასხვა. მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, დასავლეთის ევროპულ სახელმწიფოებს შორის ომის შემდგომ უახლოეს პერიოდში თანამშრომლობის ფორმების წარმოქმნა უკავშირდება ამ სახელმწიფოების ექსტრემალურ ეკონომიკურ და სამხედრო სისუსტეს სუპერძალაუფლების მქონეთა მიმართ. იტალიელი მეცნიერი *ენცო გრილი* ევროპული მოძრაობის დასაწყისში ხედავს ევროპულ ასოციაციონიზმს.

ამერიკელი მეცნიერი *ენდრიუ მორავესიკი* ვარაუდობს, რომ ევროინტეგრაცია 1980-იან წლებში წინ წამოიწია ორი ფენომენით: პირველი, ზეეროვნული ინსტიტუციონალიზმი (ევროგაერთიანების ინსტიტუტები, როგორცაა, სასამართლო და ევროპარლამენტი), ტრანსნაციონალური ბიზნეს-ლობი და სხვ. და მეორე, სახელმწიფოთაშორისი ინსტიტუციონალიზმი, რომელიც გულისხმობს ვაჭრობის პროცესს ხელისუფლებებს შორის, რომელიც აღინიშნა საერთო მნიშვნელობის აღმოჩენით, რათა დაცულ იქნეს სუვერენული უფლებები.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია ევროპის კონტინენტზე ევროპელ ხალხთა შორის ინტეგრაციის უნიკალური პროცე-

სები მიმდინარეობს. მან თავის მხრივ გამოიწვია სხვა დიდი ინტეგრაციული ტალღები. ევროპული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციასთან ერთად გაჩნდა სხვა “რეგიონული ინტეგრაციის” მაგალითებიც: ჩრდილოეთ ამერიკა (კანადა, აშშ და მექსიკა - თავისუფალი ვაჭრობის სფეროში), ლათინურ ამერიკა (ბრაზილია, პარაგვაი, ურუგვაი), ევროპის ჩრდილოეთი (დანია, ფინეთი, ისლანდია, ნორვეგია და შვედეთი) – ჩრდილოეთის საბჭო და სხვ.

4. ევროპის ინტეგრაციული ასპექტები

ევროკავშირი დემოკრატიული სახელმწიფოების⁴ უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა (ფართობი – 4,475,757 კვ. კმ.), რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, სამართლიანობის, კეთილდღეობის, თავისუფლებისა და უშიშროების უზრუნველყოფას მისი 510 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის.⁵ ევროკავშირის, რომლის მოსახლეობა მსოფლიოს მთელი მოსახლეობის 7,3%, გაეროს მონაცემებით მთლიანმა შიგა პროდუქტის მოცულობამ 2015 წელს 18.518 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მსოფლიოს მშპ–ს 24%–ია.

იგი მუდმივად ავითარებს პოლიტიკურ და სამართლებრივ სტრუქტურას, რომელსაც ისტორიული პრეცედენტი არ გააჩნია. ევროკავშირის ძირითად კანონმდებლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები. ეს დოკუმენტები საფუძველს უყრის ევროკავშირის პოლიტიკას, აფუძნებს მის ინსტიტუციურ წყობას, საკანონმდებლო პროცედურებსა და უფლებამოსილებებს.

⁴ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლაზე რეფერენდუმი 2016 წლის 23 ივნისს ჩატარდა. Brexit-ს (დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა Britain + Exit) მხარი დაუჭირა მონაწილე ბრიტანელების ნახევარზე მეტმა. ამის შემდეგ პრემიერმინისტრი *დევიდ კამერონი* (David Cameron) გადადგა, ხოლო მისი ადგილი *ტერეზა მეიმ* (Theresa May) დაიკავა. წიგნის გამოცემის მომენტში დიდი ბრიტანეთი ჯერ კიდევ ევროკავშირის ოფიციალური წევრის სახელმწიფოა. მისი გასვლის პროცედურა 2019 წლის გაზაფხულამდე გაიწელება, მანამდე კი შეიძლება რამე შეიცვალოს.

⁵ მონაცემები 2017 წლის მდგომარეობით.

ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა *რობერ შუმანმა* (Robert Schuman, 1886-1963) წამოაყენა იდეა გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები. უნდა შექმნილიყო მაღალავტორიტეტული (High authority), დამოუკიდებელი, ზეეროვნული (სუპრანეროვნული) ორგანო, რომელიც გაუძღვებოდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამგვარი იდეალური დამოკიდებულება 50-იანი წლების დასაწყისში არ გაიზიარეს დიდ ბრიტანეთში. იქ 50-იანი წლების ბოლომდე სჯეროდათ, რომ ევროპის გაერთიანება უტოპიური იდეა იყო, ამიტომ ექვსი ქვეყნის ინიციატივას დიდი ბრიტანეთი არ შეუერთდა.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის სკეპტიკურ დამოკიდებულებას შუმანის გეგმისადმი რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

- ბრიტანეთის მთავრობის მაშინდელი მოუქნელი სტრუქტურა
- ბრიტანეთის მთავრობის სიფრთხილე ახალი ინიციატივის მიმართ.
- ევროპის საკითხების არაპრიორიტეტულობა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა დღის წესრიგში.

ბრიტანეთის ასევე არ ჰქონდა სურვილი გამხდარიყო წევრი ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც მიიჩნეოდა, რომ იმეორებდა ეუთოს და ევროსაბჭოს ფუნქციებს. ანუ არ სურდა უკვე არსებული ორგანიზაციების (ეუთო და ევროსაბჭო) მსგავსი ორგანიზაციის წევრობა.

ჟან მონე
Jean Monnet, (1888–1979), ფრანგი მეწარმე და სახელმწიფო მოღვაწე



რობერ შუმანი
Robert Schuman, (1886–1963), ფრანგი და ევროპელი პოლიტიკოსი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, ევროკავშირის, ევროსაბჭოს და ნატოს ერთ-ერთი ფუძემდებელი

ბრიტანეთის პოლიტიკურმა კულტურამ, რომელიც მეტწილად ეფუძნება ეროვნულ სუვერენიტეტს მნიშვნელოვნად განაპირობა ბრიტანელ პოლიტიკოსებში ახალი სახის ევროპის ჩამოყალიბების მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება.

პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ევროპის მშენებლობის პროექტის მეორე ფრანგი ინიციატორი *ჟან მონე* (Jean Monnet, 1888–1979). იგი *რობერ შუმანთან* ერთად დიდ ხანია ცდილობდა, მოეფიქრებინა საერთაშორისო დონის ისეთი ინიციატივა, რომელიც შეძლებდა სიტუაციის შემსუბუქებას და მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას, თუკი აღნიშნულ პროცესში სათანადო როლს აღორძინებული, განახლებული ევროპა შეასრულებდა.

ევროპული ინტეგრაციის ეტაპები ერთი თვალის გადავლევით

ხელშეკრულება	ხელი მოეწერა	ძალა შივესა	შედეგი
ბრიუსელის პაქტი	1948	1948	ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება
პარიზის ხელშეკრულება	1951	1952	
პარიზის შეთანხმება	1954	1955	
რომის ხელშეკრულებები	1957	1958	ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპული ატომური ენერჯის გაერთიანება, „საერთო ბაზარი“ – 6 წვერი,
„შემწყობელი ხელშეკრულება“ ¹	1965	1967	ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპული ატომური ენერჯის გაერთიანება
ევროპის ეკონომიკური გაერთიანების I გაფართოება	1973		შუერთდა დანია, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი – 9 წვერი
ევროპის საგაულტო სისტემა	1978		
I საერთოევროპული არჩევნები – პარლამენტი	1979		
II გაფართოება	1981		შუერთდა საბერძნეთი – 10 წვერი
შენგენის ხელშეკრულება	1985		
III გაფართოება	1986		ესპანეთი და პორტუგალია – 12 წვერი
ერთიანი ევროპული აქტი	1986	1987	პირველი არსებითი ცვლილებები დამფუძნებელ ხელშეკრულებებში
მასტრიხტის ხელშეკრულება	1992	1993	ევროკავშირის შექმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საფუძველზე
IV გაფართოება	1995		შუერთდა ავსტრია, ფინეთი, შვეიცია – 15 წვერი
ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღება	1999		ფულად მიმოქცევაში 2002 წლიდან
ამსტერდამის ხელშეკრულება	1997	1999	
ნიცის ხელშეკრულება	2001	2003	
V გაფართოების პირველი ტალღა	2004		შუერთდა ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, კვიპროსი, მალტა – 25 წვერი
ლისაბონის ხელშეკრულება	2007	2009	რეფორმების შესახებ
V გაფართოების მეორე ტალღა	2007		შუერთდა ბულგარეთი, რუმინეთი – 27 წვერი
VI გაფართოება	2013		შუერთდა ხორვატია – 28 წვერი

ჟან მონეს სჯეროდა, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის საწინდარი იყო მომავალი პოლიტიკური ინტეგრაციისა,

რისი მიღწევის შემთხვევაშიც გამოირიცხებოდა ევროპის კონტინენტზე მომავალი სისხლისღვრა და ომები.

ამ დროს ევროპაში გავრცელებული იყო ე.წ. ნეოფუნქციონალისტური თეორია, რომელიც ეფუძნება ე.წ. გადაღვრის იდეას, ანუ ინტეგრაციის პროცესები ერთ სფეროში (ფოლადი, ნახშირი) გამოიწვევს ინტეგრაციის პროცესების დაწყებას (გადაღვრას) სხვა სფეროებში (საერთო ბაზარი, საბაჟო ტარიფების შემცირება, საერთო სოფლის მეურნეობა და ა.შ.) ანუ ევროპული ინტეგრაციის პროცესები კიდევ უფრო უნდა გაღრმავებულიყო.

ამჟამად სამი ხელშეკრულება მოქმედებს, რომელიც არეგულირებს ინტეგრაციის სხვადასხვა ხარისხს ევროკავშირის შიგნით:

- ევროკავშირის წევრობა;
- ევროს ზონაში წევრობა;
- შენგენის ხელშეკრულებაში მონაწილეობა.

ევროკავშირის წევრობა არ არის აუცილებელი შენგენის ხელშეკრულებაში მონაწილეობისათვის. ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა არ შედის ევროს ზონაში.

სხვადასხვა ხარისხის ინტეგრაციის მაგალითები:

- დიდმა ბრიტანეთმა და ირლანდიამ შენგენის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს შეზღუდული წევრობის პირობებით.
- დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვა ევროს ზონაში შესვლაზე.
- დანიამ და შვეციამ რეფერენდუმების შემდეგ შეინარჩუნეს ეროვნული ვალუტა.

- ნორვეგია, ისლანდია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი არ არიან ევროკავშირის წევრები, მაგრამ შედიან შენგენის ზონაში.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში შექმნილი ევროგაერთიანებები (მოკლე მიმოხილვა)

ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების ხელშეკრულება (ECSC). 1951 წლის 18 აპრილს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის *რობერტ შუმანის* მცდელობითა და გეგმით ხელმოწერილ იქნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების ხელშეკრულება (ECSC). იგი შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის საერთო ბაზრის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ერთობლივი კონტროლისა და ამ ნედლი მასალის საბადოების დამუშავების საშუალებას იძლეოდა. ამ ხელშეკრულებით, მანამდე მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს ექსკლუზიური საქმე გადავიდა ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ხელში.

შუმანის გეგმის უმთავრესი მიზანიც სწორედ ევროპაში ომების თავიდან აცილება იყო. სუპრაეროვნული ორგანიზაციისათვის უმნიშვნელოვანესი რესურსების – ნახშირისა და ფოლადის ჩაბარება ემსახურებოდა ერთ მიზანს – უზრუნველყო გერმანიისა და საფრანგეთის მშვიდობიანი თანაცხოვრება და გაეღრმავებინა ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური და შემდგომში პოლიტიკური დამოკიდებულება.

ევროპული თავდაცვის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას (EDC). 1952 წლის 27 მაისს, ECSC-ის წევრმა

ქვეყნებმა ხელი მოაწერეს **ევროპული თავდაცვის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას (EDC)**. ამ ხელშეკრულების მიზანი იყო საერთო ევროპული არმიის დაარსება.

აღნიშნული ECSC-ის წარმატებისა და EDC-ის შექმნის მცდელობას მოჰყვა ევროპული პოლიტიკური კავშირის შექმნის დამატებითი ინიციატივები. ამ უკანასკნელი გაერთიანების შექმნით განზრახული იყო წევრი ქვეყნების საგარეო ურთიერთობების კოორდინირება და თავდაცვით საქმეებზე პასუხისმგებლობის აღება, შემდგომ კი საერთო ბაზრის განვითარებისათვის, ცხოვრების დონის ამაღლებისა და დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა. მასში შემდგომში ინტეგრირდებოდა ECSC და EDC. თუმცა, შესაბამის მოლაპარაკებებზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვერ შეძლეს შეთანხმების მიღწევა, თუ რა დოზით უნდა

1951 წლის 18 აპრილს ხელი მოეწერა პარიზის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპული თანამეგობრობა



დაეთმოთ სახელმწიფოებს სუვერენიტეტი და 1954 წელს საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში ევროპული პოლიტიკური კავშირის გეგმა ჩავარდა.

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება აყალიბებდა მოდელს, რომელიც უცვლელი დარჩა 7 წლის შემდეგ შექმნილი ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა (EEC) და ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანების ფარგლებში (Euratom). თითოეულ მათგანს ჰყავდა მინისტრთა საბჭო და აღმასრულებელი (უმაღლესი ხელისუფალი ECSC-ში, კომისია დანარჩენი ორი გაერთიანებისათვის). მაგრამ მათ საზიაროდ ჰყავდათ სასამართლო და საპარლამენტო ორგანო, რომელიც ცნობილი იყო ასამბლეის სახით.

1987 წელს მოხდა ამ **სამი გაერთიანების შერწყმა** და არსებობა განაგრძეს ევროგაერთიანების შიგნით. შეიქმნა ერთი კომისია და ერთი მინისტრთა საბჭო, სასამართლოსა და საერთო ასამბლეის გვერდით. ორგანიზაციული ნიმუში გამოხატავდა, ერთი მხრივ, პირველი ექვსი საპარლამენტო დემოკრატიის ცნობილი ფილოსოფოსებისა (საერთო ასამბლეა), და, მეორე მხრივ, პოლიტიკური და ორგანიზაციული რეალობის მოთხოვნებს (მთავრობის წარმომადგენელთა შეთანხმების აუცილებლობა – მინისტრთა საბჭო).

როგორც ზემოთ აღინიშნა, 7 წლით გვიან, 1957 წლის 25 მარტს დადებულმა რომის ხელშეკრულებამ დააფუძნა **ევროპის ეკონომიკური გაერთიანება** და **ევროპული ატომური ენერჯის გაერთიანება**. EEC-ის ჩარჩოებში ECSC-ის დამფუძნებელ წევრ ქვეყანას სურდა, შეექმნა საბაჟო კავშირი და საერთო ბაზარი, რათა ნებადართულიყო პირთა, მომსახურე-

ბისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. ხოლო **Euratom** დაარსდა, რათა წახალისებინა ატომური ინდუსტრიის განვითარება დამფუძნებელ სახელმწიფოებში.

1965 წლის 8 აპრილს ხელმოწერილი ე.წ. „შემრწყმელი ხელშეკრულებით“ **ECSC, EEC** და **Euratom** ინსტიტუტები გაერთიანდა, შეიქმნა ერთიანი ინსტიტუციური სისტემა სამივე ამ გაერთიანებისათვის.

1960-იან წლებში გაერთიანების სტაგნაციამ და კრიზისებმა ბიძგი მისცა ახალ იდეებს. დაარსდა **ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობა (EPC)**, რომელიც წარმოადგენდა მთავარ ინსტრუმენტს ევროპული გაერთიანებების წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის კოორდინირებისათვის.

ჰააგის სამიტმა და ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებამ 1971 და 1972 წლებში ნათელი გახადა სურვილი, საერთო ბაზარს შეჰმატებოდა საერთო ეკონომიკური და ფულადი პოლიტიკა, რომლის მიზანიც იყო **ეკონომიკური და ფულადი კავშირის (EMU)** დაფუძნება 1980 წლისათვის. ამით უნდა შექმნილიყო მყარი სავალუტო კურსის სტრუქტურა ვალუტის შეუზღუდავი კონვერსიით. წევრ ქვეყნებს უნდა გადაეცათ ცენტრალური ეკონომიკური და ფულადი ძალაუფლება გაერთიანების ინსტიტუტებისათვის.

კრიზისმა და ფუნდამენტურად განსხვავებულმა შეხედულებებმა ინტეგრაციაზე, გამორიცხა ეკონომიკური და ფულადი პოლიტიკის კოორდინირების ნებისმიერი შესაძლებლობა და შესაბამისად, გაერთიანების ვალუტის კურსის სისტემის შექმნა. ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლამ მოგვიანებით გამოიწვია ეკონომიკური და ფულადი პოლიტიკის

დამთხვევა. 1979 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა **ევროპული ფულადი კავშირის ხელშეკრულება**.

მიმდინარე ინტეგრაციის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა **ერთიანი ევროპული აქტი (SEA)**, რომელსაც ხელი მოეწერა ლუქსემბურგის სამიტზე სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა მიერ. **SEA**-ს პრინციპული მიზანი იყო ერთიანი ბაზრის დასრულება-დაგვირგვინება, რომელიც გაერთიანებების დამაარსებელ ხელშეკრულებებში იყო ჩადებული.

ერთიანი ბაზრის შედეგებმა, როგორც შიგა, ისე საგარეო პოლიტიკაში, მნიშვნელოვნად გაზარდა ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება. გაერთიანებებს რეაგირება უნდა მოეხდინათ ფულადი კავშირის, გარემოსთან დაკავშირებული უფლებამოსილებების, საგარეო პოლიტიკის, შიგა და საგარეო უშიშროების საკითხებზე. ასევე საჭირო იყო გაერთიანებების ინსტიტუტები. საჭირო იყო ეფექტიანი პოლიტიკური ხელმძღვანელობის, გამჭვირვალობის, მაკონტროლებელი საპარლამენტო სისტემისა და უფლებამოსილებათა დანაწილების ფედერალური სისტემის არსებობა.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხელშეკრულებათა შესწორებების მოსამზადებლად სათანადო სამუშაოების დაწყებაზე.

ევროკავშირი

მაასტრიხტში 1992 წლის 7 თებერვალს ხელმოწერილ იქნა ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც მიიჩნევა რომის ხელშეკრულების ყველაზე მრავლისმომცველ რეფორმად.

1999 წლის პირველ მაისს ძალაში შევიდა **ამსტერდამში ხელმოწერილი ხელშეკრულება**, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ევროკავშირის შესახებ 1992 წლის ხელშეკრულებაში.

აღნიშნულმა ხელშეკრულებამ ძირითადი აქცენტი გადაიტანა მოქალაქეობასა და ადამიანის უფლებებზე, ევროპარლამენტის უფლებამოსილებების გაზრდის თვალსაზრისით დემოკრატიაზე, თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სფეროზე კავშირის ფარგლებში, საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის დასაწყისსა და იმ პერიოდისათვის მიმდინარე გაფართოების კვალდაკვალ ინსტიტუციურ რეფორმაზე, თუმცა, ზოგადად ევროპული ინტეგრაციის განვითარებით დაინტერესებული სახელმწიფოების მოლოდინი და მისწრაფებები ამ ხელშეკრულებით მაინც დაუკმაყოფილებელი დარჩა.

სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურებოდა 2003 წელს ძალაში შესული **ნიცის ხელშეკრულების** მიღება, რომლითაც ძირითადად განხორციელდა ის ინსტიტუციური ცვლილებები, რაც გადაუჭრელი დარჩა ამსტერდამის ხელშეკრულებით.

სახელმწიფოთა ინტერესების წარმომადგენლობა (ევროკავშირის საბჭო) გადაწყვეტილების შექმნის მექანიზმში ორმაგი უმრავლესობის პრინციპით განისაზღვრა. ამან გააუმჯობესა წევრი ქვეყნის ინტერესების წარმომადგენლობის ადაპტაცია და ოპერატიული თავსებადობა კავშირის მართვისა და ინსტიტუციურ სისტემასთან.

გარდა აღნიშნულისა, კავშირის მმართველობისათვის არსებითი არც სხვა ინტერესთა წარმომადგენლობა დარჩენილა გაუმჯობესების გარეშე.

გაიზარდა ევროპარლამენტის წევრთა, როგორც კავშირის წევრი სახელმწიფოების ხალხის წარმომადგენლების რაოდენობა და შემცირდა კავშირის ინტერესთა წარმომადგენლობითი ორგანოს, ევროკომისიის წევრთა რაოდენობა.

ბოლო უმნიშვნელოვანესი სახელშეკრულებო რეფორმა განხორციელდა 2007 წლის 13 დეკემბერს ხელმოწერილი ე.წ. **ლისაბონის ხელშეკრულებით**, რომელიც ამოქმედდა 2009 წლის პირველ დეკემბერს.

აღნიშნულმა ხელშეკრულებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მოქმედი დამფუძნებელი ხელშეკრულებები, რომის ხელშეკრულება ევროგაერთიანების შესახებ დასათაურდა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების სახელწოდებით.

ლისაბონის ხელშეკრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ უფრო დახვეწილია ევროკავშირის, როგორც თეორიულად უკეთ იდენტიფიცირებული წარმონაქმნისადმი მიდგომა, და საბოლოოდ შესძინა კავშირს იურიდიული პირის მანამდე სადავო სტატუსი.

როგორც აღინიშნა, ამჟამად ევროკავშირის ძირითადი დოკუმენტია 2003 წლის „მიერთების შეთანხმება“ (Treaty of Accession), რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს.

ამასთანავე, იყო კონსტიტუციის შემოღების მცდელობა. რომლის მიხედვითაც უნდა განსაზღვრულიყო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი, პოლიტი-

კური, ეკონომიკური და სხვა სახის ვალდებულებები ამ ერთიან დოკუმენტში. შემუშავდა ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტიც (სრული სახელწოდება: „შეთანხმება ევროპაში საერთო კონსტიტუციის შექმნის თაობაზე“). ხელშეკრულებას ხელიც მოეწერა 2004 წელს კავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ, რომში, თუმცა ორმა ქვეყანამ რეფერენდუმით ეს პროექტი უარყო, რაც შესაბამისად განუხორციელებელ საერთაშორისო ხელშეკრულებად დარჩა.

სტრუქტურულ-ინსტიტუციური ევოლუცია

ტრადიციული საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ევროპის კავშირს განასხვავებს მისი უნიკალური ინსტიტუციური სტრუქტურა. შექმნილია დამოუკიდებელი ინსტიტუტები, რომლებიც ავსებენ ერთიმეორეს და ყოველ მათგანს გარკვეული როლი აკისრია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

ევროპის კავშირის სისტემის საერთო ორგანოები და ინსტიტუტები:

ევროპის კავშირის საბჭო;

ევროპული საბჭო;

ევროპის პარლამენტი;

ევროკომისია;

ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო;

ევროპის აუდიტორთა სასამართლო.

ევროკავშირის საფინანსო ორგანიზაციები:

ევროპის ცენტრალური ბანკი;

ევროპის საინვესტიციო ბანკი.

ევროკავშირის სხვა დამხმარე ორგანოები:

ევროპის რეგიონთა კომიტეტი;

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი;

ევროპის პოლიტიკისა და უშიშროების კომიტეტი.

ევროკავშირის ინსტიტუტები სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქშია განთავსებული: ბრიუსელი (ბელგია), სტრასბურგი (საფრანგეთი), ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი), მაინის ფრანკფურტი (გერმანია). ევროკავშირს ოფიციალური პოლიტიკური ცენტრი არა აქვს, თუმცა დე-ფაქტო „დედაქალაქად“ ბრიუსელი ითვლება.

ევროკავშირის სიმბოლოები

ევროკავშირის დევიზი. დევიზი „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ შეიქმნა 2000 წელს ჩატარებული არაოფიციალური სასკოლო კონკურსის შედეგად და მიღებულ იქნა ნიკოლ ფონტენის (Nicole Fontaine, დ. 1942) მიერ, რომელიც იმ დროს ევროპის პარლამენტის პრეზიდენტი იყო.

შემდგომში იგი გაჩნდა ევროპის კონსტიტუციის ტექსტში და ევროკავშირის ვებ-საიტზე მოდიფიცირებული ფორმით: „მრავალფეროვნებით გაერთიანებულნი“.

ევროკავშირის დროშა. ევროპის კავშირის დროშა წარმოადგენს ლურჯ ფონზე წრიულად განლაგებული 12 ოქროსფერი ვარსკვლავის ერთობლიობას. ვარსკვლავების რაოდენობას არავითარი კავშირი არა აქვს გაერთიანების წევრთა რიცხვთან. წრიულად განლაგებული ვარსკვლავები სრულყოფილებას და სისრულეს აღნიშნავს, ხოლო რიცხვი

12 ტრადიციულია ევროპული კულტურისა და ცივილიზაციისათვის, კერძოდ:

- 12 - ზოდიაქოს ნიშანი;
- 12 - დღის საათი;
- 12 - წლის თვე;
- 12 - ქრისტეს მოციქული;
- 12 - ოლიმპიური ღმერთი;
- 12 - დაფის კანონები (Leges Duodecem Tabularum)

დროშა შექმნა ევროპის საბჭომ 1955 წლის 8 დეკემბერს ირლანდიის წარმომადგენლის მიერ შემოთავაზებული დიზაინის საფუძველზე. ევროპის საბჭოს თავიდან სურდა, რომ დროშა გამოყენებული ყოფილიყო ევროპული ინტეგრაციის მიზნებისათვის, ამიტომ ევროკავშირის წინამორბედმა, ევროპის თანამეგობრობამ, დაამტკიცა იგი 1986 წლის 26 მაისს. მიუხედავად იმისა, რომ დროშა გამიზნული იყო მთელი ევროპისათვის, დღეს იგი არის მხოლოდ ევროპის კავშირის სიმბოლო. მასტრიხტის შეთანხმების შემდეგ იგი ოფიციალურად იქნა აღიარებულია ევროკავშირის დროშად. ვალუტის კურსების ცხრილებში ეს დროშა ევროს გრაფიკულ სიმბოლოდაც გამოიყენება.

ევროკავშირის დღესასწაული. 1950 წლის 9 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი *რობერ შუმანი* პარიზში გამოვიდა განცხადებით, სადაც მან წამოაყენა ევროპული ინტეგრაციის იდეა. ამიტომ 9 მაისი აღინიშნება, როგორც ევროპის კავშირის დაბადების დღე.

სხვა წყაროების თანახმად, ევროპის გაერთიანების დღედ 5 მაისიც მიიჩნევა, ვინაიდან 1949 წლის 5 მაისს

ლონდონში ხელი მოეწერა ევროპის საბჭოს წესდებას. იგი ძალაში შევიდა იმავე წლის 3 აგვისტოს და დღეისათვის ევროპის ყველაზე წარმომადგენლობით საკონსულტაციო ორგანიზაციად ითვლება. ევროპის საბჭოში 50-ზე მეტი ქვეყანაა გაერთიანებული, მათ შორის საქართველოც.

ევროკავშირის ენები. ევროკავშირის ოფიციალური ენებია: ბერძნული - საბერძნეთი, კვიპროსი; ბულგარული - ბულგარეთი; გერმანული - გერმანია, ავსტრია, ლუქსემბურგი; დანიური - დანია; ესპანური - ესპანეთი; ესტონური - ესტონეთი; ინგლისური - დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, მალტა; იტალიური - იტალია; ლატვიური - ლატვია; ლიტვური - ლიტვა; მალტური - მალტა; ნიდერლანდური - ნიდერლანდი, ბელგია; პოლონური - პოლონეთი; პორტუგალიური - პორტუგალია; რუმინული - რუმინეთი; სლოვაკური - სლოვაკეთი; სლოვენური - სლოვენია; უნგრული - უნგრეთი; ფინური - ფინეთი; ფრანგული - საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი; შვედური - შვედეთი, ფინეთი; ჩეხური - ჩეხეთი; ხორვატული - ხორვატია.

ყველა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება ევროკავშირის ოფიციალური ორგანოების მიერ, ითარგმნება ყველა ოფიციალურ ენაზე და ევროკავშირის მოქალაქეები უფლებამოსლი არიან თავის შეკითხვებზე პასუხები მიიღონ ნებისმიერ ოფიციალურ ენაზე. უმაღლესი დონის შეხვედრებზე უზრუნველყოფილია მონაწილეთა გამოსვლების თარგმანი ყველა ოფიციალურ ენაზე (საჭიროებისამებრ). ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს სესიები ყოველთვის ტარდება სინქრონული თარგმანის თანხლებით.

ევროკავშირის სხვა ენები:

ირლანდიური ენა. მიუხედავად იმისა, რომ ირლანდია ევროკავშირის მიუერთდა 1973 წელს და მისი პირველი ოფიციალური ენა ირლანდიური იყო, იგი არ იქნა აღიარებული ევროკავშირის ოფიციალურ ენად (თუმცა ევროკავშირის შეთანხმებები ქვეყნებოდა ამ ენაზეც). 2005 წლის 13 ივნისს ხარვეზი შეივსო და იგი 21-ე ოფიციალურ ენად გამოცხადდა.

კატალანური, გალისიური და ბასკური ენები. აღნიშნული ენები სახელმწიფო დონეზე ოფიციალურად არ ითვლება თვით ესპანეთში, მაგრამ ევროპის კავშირის საბჭოს 2005 წლის 13 ივნისის რეზოლუციით ევროკავშირის ინსტიტუტებს უფლება მიეცათ მათი გამოყენებისა. ეს რეზოლუცია არ გულისხმობს მათ გამოცხადებას ევროკავშირის ოფიციალურ ენებად.

უელსური და შოტლანდიური ენები. ზემოთაღნიშნული რეზოლუციის კვალდაკვალ გამოჩნდა საპარლამენტო მოთხოვნა დიდი ბრიტანეთის ეროვნულ უმცირესობათა ამ ენების სტატუსის თაობაზე. ამ საკითხის გადაწყვეტა მომავლის საქმეა.

ევროკავშირის ვალუტა. ევროკავშირის ოფიციალური ვალუტაა ევრო შემდეგი 18 ქვეყნისთვის: ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია, კვიპროსი, ლატვია, მალტა, სლოვაკია, სლოვენია, ესპანეთი და ესტონეთი.

ორმხრივი შეთანხმებების შედეგად ევრო ასევე ოფიციალური ვალუტაა შემდეგი არაწევრი ქვეყნების-

თვის: ანდორა, მონაკო, სან-მარინო, ვატიკანი, მონტენეგრო, კოსოვო. აგრეთვე, არაევროპელებისთვის: სენ-ბერტელემი, სენ-პიერი და მიკელონი და აკროტიტი და დეკელი. ევრო დე-ფაქტო ვალუტაა ანდორაში, კოსოვოსა და მონტენეგროში.

ევრო მსოფლიო სავაჭრო ბაზრებზე როგორც სააღრიც-

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ჰიქონი

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის უკანასკნელი ნაწილი (1824 წ.).

ბეთჰოვენმა ჰიქონი შექმნა ფრიდრიხ შილერის ლირიკული პოემის „ოდ სინარულს“ მიხედვით.

იგი ევროპულ ჰიქონად აღიარებულ იქნა 1972 წელს ევროპის საბჭოს მიერ ჰერბერტ ფონ კარაიანის ოფიციალური საორგესტრო არანჟირებით.

ევროკავშირის ქნებს შორის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად ჰიქონს ოფიციალური ტექსტი არ აქვს და, მამასადამეარ იმღერება.



ლუდვიგ ვანბეთჰოენი
1770–1827





ჰერბერტ ფონ კარაიანი
1908–1989

ფრიდრიხ შილერი
1759–1805

ხვო ვალუტა შემოვიდა 1999 წელს, ფიზიკური ბანკნოტები და მონეტები კი შემოღებულ იქნა 2002 წელს.

ევროს მართავს და ადმინისტრირებას უწევს ფრანკფურტში მდებარე ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ) და ევროპის ცენტრალურ ბანკთა სისტემა (რომელშიც წევრ ქვეყანათა ცენტრალური ბანკები შედის).

ევროკავშირის ჰიმნია *ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის* მე-9 სიმფონიის უკანასკნელი ნაწილი (1824 წ.).

ბეთჰოვენმა ჰიმნი შექმნა *ფრიდრიხ შილერის* ლირიკული პოემის „ოდა სიხარულს“ მიხედვით.

იგი ევროპულ ჰიმნად აღიარებულ იქნა 1972 წელს ევროპის საბჭოს მიერ *ჰერბერტ ფონ კარაიანის* ოფიციალური საორკესტრო არანჟირებით.

ევროკავშირის ენებს შორის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად ჰიმნს ოფიციალური ტექსტი არა აქვს და, მასასადამე, არ იმღერება.

5. ევროკავშირის ინსტიტუციური აგებულება – ინსტიტუციური ბალანსის პრინციპი

ევროკავშირის მმართველობის ორგანოებია:

1. ევროპის პარლამენტი (The European Parliament);
2. ევროპის კავშირის საბჭო (The Council of the European Union, სხვანაირად კიდევ, მინისტრთა საბჭო);
3. ევროპული კომისია (The European Commission);
4. ევროპული საბჭო (The European Council, სახელმწიფო მეთაურთა საბჭო);
5. ევროპის ცენტრალური ბანკი (The European Central Bank);
6. ევროკავშირის სასამართლო (The Court of Justice of the European Union);
7. ევროპის აუდიტორთა სასამართლო (The European Court of Auditors).

ინსტიტუციური სამკუთხედი

განსაკუთრებით ყურადსაღებია ევროკავშირის ინსტიტუციური სამკუთხედი. ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიმღებ ამ სამკუთხედს ქმნის სამი ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს ყველა სექტორის ინტერესს:

1. უშუალოდ ევროკავშირის ინტერესებს წარმოადგენს ევროკომისია, რომელიც სუპრანაციონალური ხასიათისაა და, შესაბამისად, მისი წევრები ვალდებული არიან არა თავიანთი ქვეყნის, არამედ ევროკავშირის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ;

2. წევრი სახელმწიფოების ინტერესებს უშუალოდ წარმოადგენს ევროპული საბჭო, რომელიც შედგება წევრი

ქვეყნების მინისტრებისაგან, მთავრობათაშორისი ხასიათის ინსტიტუტია;

3. მოქალაქეთა ინტერესებს უშუალოდ წარმოადგენს ევროპარლამენტი, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტია.


ევროკავშირის ინსტიტუციური ბალანსის პრინციპი შეიძლება განვიხილოთ როგორც **სამართლებრივი, ისე პოლიტიკური** კუთხით.

სამართლებრივ კონტექსტში ევროკავშირის აგებულების ინსტიტუციური ბალანსი ეფუძნება კონსტიტუციურ პრინციპს, რომელსაც პატივს სცემენ, როგორც ევროკავშირის ინსტიტუტები, ისე წევრი-ქვეყნები, ხოლო ინსტიტუტების მიერ ევროკავშირის კანონის დარღვევის შემთხვევაში სანქცირება სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა წევრი ქვეყნების კანონმდებლობას აღემატება.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ევროკავშირის ინსტიტუციურ ბალანსში განიხილება ინსტიტუტების ურთიერთდამოკიდებულება, რაც ევროკავშირის შექმნის დღიდან, ყოველი ხელშეკრულების შედეგად, დინამიკურად ვითარდება.

ევროპის კავშირისთვის არ არის დამახასიათებელი ტრადიციული სახელმწიფოებრივი დანაწილება: საკანონმდებლო, აღმსრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად.

თუ ევროკავშირის სასამართლო შეგვიძლია თამამად ვადიაროთ „წმინდა“ სასამართლო ორგანოდ, სამაგიეროდ სა



კანონმდებლო ფუნქცია მიკუთვნებული აქვთ ერთდროულად ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭოს, ევროკომისიას და ევროპარლამენტს, ხოლო აღამსრულებელი – ევროკომისიასა და ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭოს.

აქედან, როგორც აღინიშნა, მთავრობებს წარმოადგენს ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭო, მოქალაქეებს – პარლამენტი და ევროპის ინტერესებს – ევროკომისია.

ევროკავშირის ინსტიტუციურ სამკუთხედში ფუნქციები შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

ევროკომისია კანონპროექტს განსახილველად წარუდგენს ევროკავშირის საბჭოს (მინისტრთა საბჭოს) და ევროპარლამენტს (ლისაბონის ხელშეკრულებით, კანონპროექტი ეგზავნება ქვეყნის პარლამენტებსაც).

შემდგომ ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას კანონის მიღებასთან დაკავშირებით.

ამ პრინციპით ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება ორმაგ ლეგიტიმურობას:

1. ხალხს (წარმოდგენილს დეპუტატების მიერ ევროპარლამენტში);
2. წევრ ქვეყნებს (წარმოდგენილს ევროკავშირის საბჭოში მინისტრთა მიერ).

ფუნქციური პრინციპი

ევროკავშირში საკანონმდებლო ფუნქციას ინაწილებს საბჭო და ევროპარლამენტი.

ევროკავშირის აღმასრულებელ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, ევროკომისია. ამასთან, როგორც კანონპროექტების წარმდგენს, მასაც აქვს მინიჭებული საკანონმდებლო ფუნქცია.

ევროკომისია

მეთვალყურეობას უწევს ევროკავშირის ხელშეკრულებათა სათანადო შესრულებას.

პასუხისმგებელია წევრ ქვეყნებში ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებასა და ევროკავშირის კანონების გატარებაზე.

საჭიროებისამებრ, ასევე აქვს ევროკავშირს სასამართლოში წევრი ქვეყნის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის უფლება.

ევალეზა ევროკავშირის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვაც.

საკანონმდებლო ფუნქციის ფარგლებში კანონპროექტების ინიცირების უფლებას ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის, ფაქტობრივად, მხოლოდ ევროკომისია ფლობს.

თუმცა, ლისაბონის ხელშეკრულების შემდეგ, ეს უფლება გარკვეულწილად გაზიარებული იქნა სხვა ინსტიტუტების მიერ. კერძოდ, საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში საკანონმდებლო აქტი არაა დაშვებული, მაგრამ სხვა დანარჩენ საკითხში ევროკავშირის საბჭოსა და პარლამენტს უკვე შეუძლია სთხოვოს ევროკომისიას კანონპროექტის ინიცირება. ამ შემთხვევაშიც ევროკომისიის პრეროგატივად რჩება კანონპროექტის სამუ-

შაო ვერსიის შედგენა. ამასთან, ევროკომისიას აქვს უარის თქმის უფლება.

აღსანიშნავია, რომ ლისაბონის ხელშეკრულებით მილიონი ხელმოწერის მქონე პეტიციის საფუძველზე ევროკავშირის მოქალაქეებსაც შეუძლიათ, ევროკომისიას სთხოვონ კანონპროექტის წარდგენა, თუმცა ევროკომისიას ამ შემთხვევაშიც მინიჭებული აქვს უარის თქმის უფლება.

ევროპის ცენტრალური ბანკი

ევროპის ცენტრალური ბანკი წარმოადგენს საფინანსო და სავალუტო ინსტიტუტს. რაც შეეხება ევროკავშირის ინსტიტუტების კონტროლის ფუნქციას, ის ეკისრება სამართლებრივ ინსტიტუტს - ევროპულ სასამართლოს და, ასევე, ევროპის აუდიტორთა სასამართლოს.

ევროპული სასამართლოს ძირითადი მოვალეობაა, უზრუნველყოს ევროკავშირის კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენება ყველა წევრ ქვეყანაში. ამასთან ერთად, სასამართლო იხილავს ევროკავშირის ინსტიტუტებსა და წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის წამოჭრილ დავას. გარდა ამისა, ინდივიდებს, კომპანიებსა და ორგანიზაციებსაც შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, თუ მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის ინსტიტუტებმა მათი უფლებები დაარღვიეს.

ევროპის აუდიტორთა სასამართლო

ევროპის აუდიტორთა სასამართლო ამოწმებს ევროკავშირის ფინანსებს. მისი მთავარი მიზანია, გააუმჯობესოს ევროკავშირის ფინანსური მართვა და მოამზადოს ანგარიში

სახელმწიფო ფონდებიდან თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით, თუმცა მას აქვს იურიდიული უფლებამოსილება.

ევროპული საბჭო

ევროპული საბჭო სამთავრობოთაშორისო ხასიათის ინსტიტუტია, მაშასადამე, იგი იცავს წევრი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს.

ის არ წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოს, თუმცა სწორედ ის **განსაზღვრავს ევროკავშირის პოლიტიკურ ორიენტაციას და პრიორიტეტებს.**

პრეზიდენტობის ინსტიტუტი

ევროკავშირის თითოეულ ინსტიტუტს თავისი პრეზიდენტი ჰყავს. **ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიის** გარდა, ყველა ინსტიტუტი თვითონ ირჩევს თავის პრეზიდენტს.

ყველა წევრ სახელმწიფოს განსაზღვრული დროით **როტაციის** პრინციპით ავტომატურად უწევს **ევროკავშირის საბჭოს** პრეზიდენტობა. ხოლო **ევროკომისიის** პრეზიდენტს ევროპარლამენტი ირჩევს (თუმცა კანდიდატის წარდგენა ევროპული საბჭოს პრეროგატივაა).

პროტოკოლით, **პრეზიდენტებს შორის პირველი** ევროპარლამენტის პრეზიდენტი, რადგან მხოლოდ ევროპარლამენტი პირდაპირი გზით არჩეული ინსტიტუტი.

ამავე პრინციპის გათვალისწინებით, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებებში **ინსტიტუტებს შორის პირველი** ევროპარლამენტი მოხსენიებული.

ევროკავშირის ფუნქციობის სამართლებრივი პრინციპი

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი ეფუძნება ორ ხელშეკრულებას:

1. „ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება“ (The Treaty on the European Union - TEU) და
2. „ევროგაერთიანების ფუნქციობის შესახებ ხელშეკრულება“ (The Treaty on the Functioning of the European Union - TFEU).

ლისაბონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცვლილებების შედეგად, პირველი ხელშეკრულების სახელწოდება უცვლელი დარჩა, ხოლო მეორეს დაერქვა „ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციობის შესახებ“.

ინსტიტუტების უფლებების ზრდის დინამიკა

ათეული წლების განმავლობაში, ევროკავშირი კრიტიკის საგანი იყო დემოკრატიის, ისევე, როგორც საგარეო საქმეებსა და უშიშროების პოლიტიკაში კონსოლიდირებული ქმედებების დეფიციტის გამო. მაგრამ ლისაბონის ხელშეკრულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა არაერთი მიმართულებით.

საგრძნობლად გაიზარდა ევროპარლამენტის როლი და, ასევე, ამოქმედდა კანონების მიღებისას ეროვნული პარლამენტების მონაწილეობის მექანიზმი.

ამას გარდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამიერიდან ევროკავშირის მოქალაქეებს (მილიონი ხელმოწერის შემთხვევაში) უფლება აქვთ, ევროკომისიას მიმართონ კანონპროექ-

ტის წარდგენის თხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისიას უფლება აქვს, არ დააკმაყოფილოს თხოვნა, ამ ცვლილებებით გარკვეულწილად მაინც გაიზარდა ევროკავშირის წარმომადგენლობითი თუ მონაწილეობითი დემოკრატია.

გარდა ამისა, შეიქმნა ახალი, კერძოდ, საგარეო საქმეთა და უშიშროების სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობა (ამჟამად ამ თანამდებობას ფლობს იტალიელი **ფედერიკა მოგერინი –Federica Mogherini**), რომელიც, ამავდროულად, არის ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი და, ასევე, ევროკავშირის საბჭოში, საგარეო საქმეთა საბჭოს პრეზიდენტი. ეს ინიციატივა ემსახურება ევროკავშირის კონსოლიდირებულ და ერთიან ქმედებებს საგარეო საქმეებში.

ასევე, შეიქმნა **ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პოსტი**, რომლის მოვალეობაა საბჭოს კოორდინირებული მუშაობისა და კონსენსუსის მიღწევის ხელშეწყობა.

ლისაბონის ხელშეკრულების შედეგად მიღებული ცვლილებები ევროკავშირს ხდის უფრო დემოკრატიულს, ეფექტურს და გამჭვირვალეს. გაიზარდა არა მარტო მოქალაქეების წარმომადგენლობითი ორგანოს ძალაუფლება, არამედ შესაძლებელი გახდა თვით მოქალაქეების მონაწილეობაც ევროკავშირის დონეზე მიმდინარე პროცესებში.

გარდა ამისა, ლისაბონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცვლილებები ზრდის და აძლიერებს ევროკავშირის როლს მსოფლიო არენაზე, ამასთანავე, ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს.

6. ევროპის პარლამენტი



European Parliament

ევროპის კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია ევროპის პარლამენტი (European Parliament). იგი წარმოადგენს ერთადერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრებიც პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით არიან არჩეულნი. ევროპარლამენტს ირჩევენ 5 წლის ვადით.

ევროპარლამენტი შეადგენს უნიკალური და ისტორიულად უპრეცედენტო ინსტიტუციური სისტემის ნაწილს ევროკავშირის ზესახელმწიფოებრივი საკანონმდებლო უფლებამოსილებისა და სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის შეხამებით.

ევროპარლამენტის ადგილსამყოფელი სამი სხვადასხვა ქალაქის ცხრა შენობაშია განაწილებული – სტრასბურგი (საფრანგეთი), ბრიუსელი (ბელგია), ლუქსემბურგი.

ევროპარლამენტის შექმნა

ევროპარლამენტის შექმნას საფუძველი ჩაეყარა 1952 წლის 10 აგვისტოს, როდესაც სტრასბურგში ჩატარდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის წარმოების გაერთიანების პირველი საპარლამენტო ასამბლეა. მისი თავმჯდომარე იყო *ჟაკ მონე*. ეროვნული პარლამენტებიდან წარმოდგენილი იყო 78 პარლამენტარი სარეკომენდაციო უფლებამოსილებით.

1957 წლის 25 მარტის რომის მოლაპარაკებების შემდეგ ევროპარლამენტი 142 დეპუტატისაგან დაკომპლექტდა. ისი-

ნი წარმოდგენილი იყვნენ მოლაპარაკებაში მონაწილე ექვსი სახელმწიფოს ეროვნული პარლამენტებიდან. შემდგომში ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად იზრდება ევროპარლამენტის დეპუტატთა რაოდენობაც: 1973 წელი - 198, 1979 წელი (უშუალოდ პირველად ჩატარდა) არჩეული - 410, 1981 წელი - 434, 1986 წელი - 518, 1994 წელი - 567, 1995 წელი - 626, 2004 წელი - 732. 2009 წელი - 751, 2014 წელი - 751.

ევროპარლამენტის სტრუქტურა

ევროპარლამენტის სტრუქტურა ასევე აგებულია და ვითარდება კლასიკური საპარლამენტო ნიმუშით. ევროპარლამენტი უფლებამოსილების ვადის დასაწყისსა და შუალედში (ყოველი ორ-ნახევარი წლის შემდეგ) ირჩევს თავის ოფიციალური თანამდებობის პირებს: თავმჯდომარეს, 14



ფრაქციები – პოლიტიკური ჯგუფები

- EPP (217)** – ევროპის სახალხო პარტია
- S&D (189)** – სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი
- ECR (74)** – ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები
- ALDE (68)** – ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისათვის
- GUE-NGL (52)** – მემარცხენეების ევროპული გაერთიანება/ჩრდილოეთის მემარცხენე მწვანეები
- Greens-EFA (51)** – მწვანეები – ევროპის თავისუფალი ალიანსი
- EFDD (42)** – ევროპა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის
- ENF (40)** ერთა და თავისუფლებათა ევროპა
- Non-Inscrits (18)** დამოუკიდებელი დეპუტატები

მოადგილესა და 5 ქვესტორს.

ამავე დროს გამოიყენება შესაძლებლობა, გადახალისდეს პოლიტიკური ჯგუფების ხელმძღვანელობაც. თუმცა, ისინი ჯგუფის შიგნით აირჩევა და არა მთლიანი პარლამენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელები მთავარ როლს ასრულებენ პარლამენტის მმართველ სტრუქტურებში. ამის გარ-

არჩევითი ორგანოს ტიპი	ქვედაპალატა
ევროპარლამენტის ხელმძღვანელები	
პრეზიდენტი	 <p>მარტინ შულცი სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი (S&D) 2014 წლის 1 ივლისიდან</p>
ვიცე პრეზიდენტი	<p>14 2014 წლის 1 ივლისიდან</p>
ყველაზე დიდი პოლიტიკური ჯგუფის ლიდერი	 <p>მანფრედ ვებერი ევროპული სახალხო პარტია 2014 წლის 4 ივლისიდან</p>
სიდიდით მეორე პოლიტიკური ჯგუფის ლიდერი	 <p>ჯანი პეტლო სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი 2014 წლის 1 ივლისიდან</p>

და, ზემოაღნიშნულ ვადებში აირჩევა კომიტეტის თავმჯდომარეები.

ევროპარლამენტში ორი მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, (მთლიანი შემადგენლობის გარდა): თავმჯდომარეთა კონფერენცია, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და პოლიტიკური ჯგუფების ხელმძღვანელებისაგან, და

ბიურო, რომელიც აერთიანებს თავმჯდომარესა და მის 14 მოადგილეს. ამას გარდა, მოქმედი ხუთი ქვესტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი საკითხების წარმართვაში, რომლებიც პირდაპირ ეხება წევრი-ქვეყნების ინტერესებს. ისინი პასუხისმგებელი არიან ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებზე, რომლებიც ეხება ინდივიდუალურად წევრებს.

თავმჯდომარეთა კონფერენცია პასუხისმგებელია პარლამენტის ძირითად პოლიტიკურ მიმართულებაზე, როგორც საშინაო, ისე საგარეო თვალსაზრისით. იგი წამოაყენებს საპარლამენტო კომიტეტებისა და დელეგაციების წევრობის კანდიდატურებს, იღებს გადაწყვეტილებებს კომიტეტებს შორის კომპეტენციის შესახებ დავის თაობაზე. საგარეო თვალსაზრისით, თავმჯდომარეთა კონფერენცია იღებს გადაწყვეტილებას ინსტიტუტთა შორის ურთიერთობებზე და წევრ ქვეყნებთან და ეროვნულ პარლამენტებთან ურთიერთობებზე, ხელმძღვანელობს საქმეებს, რომლებიც უკავშირდება არაწევრ ქვეყნებთან და არაკავშირის ორგანოებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობას და იღებს გადაწყვეტილებას მესამე ქვეყანაში დელეგაციის შესახებ.

ბიურო ხელმძღვანელობს შიგა ფინანსურ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ საქმეებს, ასევე საშტატო პოლიტიკასა და სხდომების მენეჯმენტს. თავისი ფინანსური უფლებამოსილების შესაბამისად, იგი ადგენს ორგანოს ბიუჯეტის წინასწარ პროექტს და სხვ. ერთი თვის განმავლობაში, ჯერ, როგორც წესი, იმართება სასესიო სხდომები, რომლებიც გრძელდება ერთი კვირას. მას მოსდევს საკომიტეტო ორკვი-

რეული, ხოლო ბოლო კვირა ეთმობა პოლიტიკური ჯგუფების სხდომებს.

ევროპარლამენტში შექმნილია 22 დარგობრივი კომიტეტი, რომლებიც თავიანთი საკურაციო სფეროების მიხედვით, მონაწილეობს საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელებაში.

პარლამენტი ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. იგი ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი დებატების ფორუმაა, ადგილი, სადაც ყველა წევრი ქვეყნის პოლიტიკური და ეროვნული შეხედულებები იყრის თავს და ერწყმის ერთმანეთს. ამდენად, პარლამენტი ბუნებრივად აძლევს დასაბამს მრავალ კარგ პოლიტიკურ ინიციატივას. საპარლამენტო დებატები ძირითადად პოლიტიკურ ჯგუფებში იმართება.



სხდომათა დარბაზი (სტრასბურგი, საფრანგეთი)

არჩევნები	
საარჩევნო სისტემა	პარტიული სიის მიხედვით, ერთი შეცვლადი ხმის სისტემა და ხმის უმრავლესობით არჩევანი (პრეფერენციული ხმის მიცემა, მაჟორიტარის ვარიანტი, ამომრჩეველი ხმას აძლევს რამდენიმე სასურველს 1,2,3 და ა.შ.)
ბოლო არჩევნები	2014 წლის 22-25 მაისი
სხდომების ადგილი	
სტრასბურგი (საფრანგეთი), ბრიუსელი (ბელგია) სამდივნო: ლუქსემბურგი და ბრიუსელი	

ევროპარლამენტი – არჩევნები, შემადგენლობა





























ევროპარლამენტი 1979 წლამდე ეროვნული ევროპარლამენტების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, ამჟამად კომპლექტდება პირდაპირი საყოველთაო არჩევნებით. ევროპარლამენტის შემადგენლობა ტრადიციულია სახალხო წარმომადგენლობითი კუთხით. კერძოდ, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ევროპარლამენტი შედგება კავშირის მოქალაქეების წარმომადგენლებისაგან. ამდენად, ევროპარლამენტი უშუალოდ ევროკავშირის მოქალაქეების წარმომადგენლობითი ორგანოა.

ლისაბონის ხელშეკრულების აღნიშნული დებულება მნიშვნელოვანი სიახლეა, რომელმაც შეცვალა ადრე არსებული, სახელმწიფო პარლამენტებისაგან განსხვავებული მიდგომა, რომლის თანახმად, ევროპარლამენტი შედგებოდა გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების ხალხთა წარმომადგენლებისაგან. ახალმა კონსტიტუციურმა მიდგომამ ერთგვარად გვერდი აუარა ევროინტეგრაციის თეორიაში ცნობილ დავის საგანს იმის თაობაზე, რომ არსებობს არა გაერთიანების ხალხი, არამედ მისი წევრი ქვეყნების ხალხი.

ლისაბონის ხელშეკრულების შესაბამისად ევროპარლამენტი შედგება 751 დეპუტატისაგან, რომლებიც აირჩევიან პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების მეშვეობით, 5 წლის ვადით. თითოეული წევრი ქვეყნის წარმომადგენელთა რაოდენობა შეფარდებით პროპორციულია, მისი მოსახლეობის რიცხოვნობასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზებულია ტრანსეროვნული ფორმით, ევროპარლამენტის არჩევნები ჯერ კიდევ არ

წევრი ქვეყნების მიხედვით წარმომადგენლობის კვოტა

 1. ავსტრია – 18 (2.4%);	 15. მალტა – 6 (0.8%);
 2. ბელგია – 21 (2.8%);	 16. ნიდერლანდები – 26 (3.5%);
 3. ბულგარეთი – 17 (2.3%);	 17. პოლონეთი – 51 (6.8%);
 4. გაერთიანებ. სამეფო – 73 (9.7%);	 18. პორტუგალია – 21 (2.8%);
 5. გერმანია – 96 (12.8%);	 19. რუმინეთი – 32 (4.3%);
 6. დანია – 13 (1.7%);	 20. საბერძნეთი – 21 (2.8%);
 7. ესპანეთი – 54 (7.2%);	 21. საფრანგეთი – 74 (9.9%);
 8. ესტონეთი – 6 (0.8%);	 22. სლოვაკეთი – 13 (1.7%);
 9. ირლანდია – 11 (1.5%);	 23. სლოვენია – 8 (1.1%);
 10. იტალია – 73 (9.7%);	 24. უნგრეთი – 21 (2.8%);
 11. კვიპროსი – 6 (0.8%);	 25. ფინეთი – 13 (1.7%);
 12. ლატვია – 8 (1.1%);	 26. შვედეთი – 20 (2.7%);
 13. ლიტვა – 11 (1.5%);	 27. ჩეხეთი – 21 (2.8%);
 14. ლუქსემბურგი – 6 (0.8%);	 28. ხორვატია – 11 (1.5%);

21

იმართება ერთგვაროვანი სისტემით ყველა წევრ სახელმწიფოში. ხელშეკრულებით მათ ეძლევათ უფლება, გამოიყენონ ეროვნული სისტემები ერთიანი სისტემის შემუშავებამდე.

ერთიანი საარჩევნო სისტემის შემუშავების პროცედურაც უნიკალურია. გაერთიანების სამართლის სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, სადაც ინიციატივა ეკუთვნის კომისიას, ამ შემთხვევაში ევროპარლამენტი თავად ფლობს საკანონმდებლო ინიციატივის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას. მისი წინადადება შემდგომ საბჭომ ერთსულოვნად უნდა მიიღოს.

თუმცა, ინდივიდუალური წევრი ქვეყნების მიერ ევროპარლამენტის ასარჩევად გამოყენებული სისტემები არაა ეროვნული საარჩევნო სისტემების იდენტური. საფრანგეთი ევროპული არჩევნებისათვის იყენებს პროპორციულ საარ-

ჩვენო სისტემას მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც ერთი საარჩევნო ოლქი, 5-პროცენტისანი საარჩევნო ბარიერით, ხოლო შიგა არჩევნებისათვის გამოიყენება ტრადიციული მაჟორიტარული სისტემა ორი ტურით, თითო ოლქში – თითო წევრით. ამჟამად ევროპარლამენტის წევრთა ასარჩევად კავშირის წევრი ყველა ქვეყანა პროპორციულ საარჩევნო სისტემას იყენებს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ რჩება თვალსაჩინო განსხვავებები მათ შორის.

ზოგ ქვეყანას ერთი ეროვნული ოლქი აქვს, ზოგს - რამდენიმე რეგიონული ოლქი. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს დე იურე საარჩევნო ბარიერი (5% საფრანგეთსა და გერმანიაში), რომლის ქვემოთ ადგილის მოპოვებისათვის უფლება არ წარმოიშობა. რამდენიმე ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობა ადგენს დახურულ პარტიულ სიას, რომლის წყობა ვერ შეიცვლება ამომრჩევლის მიერ (გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, პორტუგალია და გაერთიანებული სამეფო), სხვები კი ადგენენ პრეფერენციულ კენჭის ყრას, რომლის მიხედვით კანდიდატთა რიგითობა შეიძლება მოდიფიცირებულ იქნეს ამომრჩევლის მიერ. ირლანდიელ და ლუქსემბურგელ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმა მისცენ ინდივიდუალურ კანდიდატებს სხვა სიებიდან. ასევე განსხვავებულია ევროპარლამენტის წევრობის კანდიდატობის ცენზის მარეგულირებელი ნორმები. თავდაპირველად მათ მოეთხოვებოდათ იმ წევრი ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც სურდათ კენჭისყრა, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში – მუდმივი ცხოვრება.

ევროკავშირის საბჭოს 1993 წლის 6 დეკემბრის დირექტივამ (93/109/EC) ნება დართო კავშირის ნებისმიერი წევრი

ქვეყნის მოქალაქეს, დარეგისტრირდეს კანდიდატად ქვეყანაში, სადაც ცხოვრობს, იმავე პირობებით, რომლებიც ამ ქვეყნის მოქალაქეებისათვისაა დადგენილი. 2000 წლამდე, აღნიშნული რეგულაციით 5 კანდიდატი არჩეულ იქნა საკუთარი “ეროვნული ქვეყნის ფარგლებს“ გარეთ. აღნიშნულის გარდა, საარჩევნო ქმედუნარიანობა სხვა ასპექტებშიც განსხვავებულია, როგორცაა ასაკობრივი შეზღუდვები, ქონებრივი ცენზი და სხვ. არჩევნები მიდრეკილია, რომ უპირატესად ატარებდეს საშინაო მოვლენის ბუნებას და მისი მეშვეობით ხორციელდება ხელისუფლების (და ოპოზიციის) პოპულარულობის ტესტირება.

ევროპარლამენტის უფლებამოსილებანი და ფუნქციები

1987 წლამდე ევროპარლამენტს მხოლოდ კონსულტაციების უფლება ჰქონდა. მართალია, პარლამენტს შეეძლო ჩაეგდო კანონპროექტი ან შესწორებები შეეტანა მთელ რიგ მუხლებში, მაგრამ ევროკავშირის საბჭო იტოვებდა უფლებას, ანგარიში არ გაეწია მისი შეხედულებებისათვის.

ერთიანი ევროპული აქტის შემოღების შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ ორ ინსტიტუტს შორის „თანამშრომლობის პროცედურის“ შესახებ, რამაც შესამჩნევად გააფართოვა პარლამენტის უფლებამოსილებანი. მასტრიხტის მოლაპარაკებების შემდეგ პარლამენტმა მიიღო ახალი უფლებამოსილებანი.

ამჟამად ევროპარლამენტის უფლებამოსილებისა და კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება: კანონმდებლობა, ბიუჯეტი და აღმასრულებელ ორგანოებზე კონტროლი,

საერთაშორისო ურთიერთობები, აღმასრულებლის ფორ-
მირება–დათხოვნა და საკადრო უფლებამოსილებანი.

საკანონმდებლო პროცედურები

ცნობილია, რომ ყველა კლასიკური ტიპის პარლამენტი საკანონმდებლო ხელისუფლებაა და შესაბამისად საკანონ-
მდებლო უფლებამოსილებაც მისი სახელმწიფო სახელისუფ-
ლებო პრეროგატივაა. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის ინ-
სტიტუციურ სისტემაში ერთგვარად განსხვავებული სურა-
თია. ევროპარლამენტი, პრაქტიკულად, „დაიბადა“ როგორც
არასაკანონმდებლო ორგანო და მთელი ნახევარი საუკუნის
განმავლობაში „იზრდებოდა“ და ყალიბდებოდა პარლამენ-
ტად.

1980-იან წლებში ერთიანი ევროპული აქტის ამოქმედე-

ევროპარლამენტის უფლებამოსილებანი და ფუნქციები

ევროპარლამენტის ფუნქციები

ევროპარლამენტს
აქვს ოთხი
ძირითადი
ფუნქცია:

- ევროკავშირის საბჭოსთან ერთად კანონების განხილვა და დამტკიცება;
- ევროკავშირის საბჭოსთან ერთად ბიუჯეტის განხილვა და მიღება;
- იმის დასადგენად, თუ რამდენად დემოკრატიულად მუშაობენ ევროკავშირის სხვა ინსტიტუტები, განსაკუთრებით კი კომისია, მათი საქმიანობის შემოწმება;
- ევროკომისიის შემადგენლობის დამტკიცება ევროპის საბჭოსთან ერთად.

ბამდე, ევროპარლამენტს მხოლოდ საკონსულტაციო უფლებამოსილება ჰქონდა. ერთიანმა ევროპულმა აქტმა შემოიღო თანამშრომლობის პროცედურა, რამაც განაპირობა ევროპარლამენტის საკანონმდებლო პროცესში უფრო ქმედითად ჩართვა. ხელშეკრულებამ მოგვიანებით შემოიღო თანაგადაწყვეტის პროცედურა და დღეს იგი გამოიყენება კავშირის ყველა მნიშვნელოვანი კანონის მისაღებად. ამ მუხლით ევროპარლამენტმა შეიძინა ჭეშმარიტი კანონმდებლის სახე.

„ევროკავშირის შესახებ“ ხელშეკრულების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ევროპარლამენტი, საბჭოსთან ერთად ასრულებს საკანონმდებლო და საბიუჯეტო ფუნქციებს. იგი ახორციელებს პოლიტიკურ კონტროლსა და კონსულტაციას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში საკანონმდებლო უფლებამოსილებები განსხვავებულია კლასიკური საპარლამენტო მოსმენების სტადიებისაგან იმ გაგებით, რომ მათი სრულფასოვანი წარმართვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებაზეა დამოკიდებული, როგორცაა, მისაღები გადაწყვეტილების (საკანონმდებლო აქტის) ბუნება. აქ არ იგულისხმება ისეთი ანალოგიები, როგორცაა, კანონი, დადგენილება, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება, საკადრო გადაწყვეტილებები და ა.შ., რომლებიც სახელმწიფოებში მოქმედი პარლამენტების რეგლამენტებით გათვალისწინებული ურთიერთგანსხვავებული პროცედურების გამოყენების საფუძველია.

პირველი, რაც ევროპარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილების განხილვისას გვხვდება თვალში, არის ამ

პროცესის საწყისი ნაბიჯის, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არარსებობა. ევროპარლამენტს, მის წევრებს, კომიტეტებსა თუ მასში შექმნილ პოლიტიკურ ჯგუფებს არ შეუძლიათ, ამა თუ იმ საკითხზე პირდაპირ, უშუალოდ და სხვა ინსტიტუციებისაგან დამოუკიდებლად „დაძრან“ საკანონმდებლო პროცესი. ამგვარი ინიციატივის უფლება ექსკლუზიურად მხოლოდ ევროკომისიას აქვს.

„ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ ხელშეკრულებამ ევროპარლამენტი მხოლოდ ირიბი საკანონმდებლო უფლებამოსილებით აღჭურვა და ამით მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული გახადა ევროკომისიაზე.

კერძოდ, აღნიშნული ხელშეკრულების 225-ე მუხლის თანახმად, ევროპარლამენტს თავის წევრთა უმრავლესობით შეუძლია მოსთხოვოს კომისიას სათანადო საკანონმდებლო წინადადებების წარმოდგენა საკითხებზე, რომლებშიც გაერთიანების აქტის მიღება მას დამფუძნებელი ხელშეკრულების იმპლემენტაციის მიზნით აუცილებლობად მიაჩნია. თუ ევროკომისია უარს იტყვის ინიციატივაზე, იგი ვალდებულია, აცნობოს ევროპარლამენტს აღნიშნულის მიზეზები.

ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ევროპარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილების არეალი. ნორმაშემოქმედებით პროცესში მისი მონაწილეობის ფორმები განსხვავებულია უბრალო, ზოგ შემთხვევაში არაფრისმეტყველი კონსულტაციიდან დაწყებული, ჭეშმარიტი კანონმდებლისათვის დამახასიათებელი, კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საბოლოო

სიტყვის თქმის უფლებით დასრულებული, როგორცაა, მაგალითად, ევროკავშირის ბიუჯეტი.

ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებები, საკანონმდებლო პროცესში ევროპარლამენტის მონაწილეობის ხარისხის კუთხით, იცნობს ორი სახის საკანონმდებლო პროცედურას. ეს არის **ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცესი** და **სპეციალური საკანონმდებლო პროცესი**. რაც უფრო მეტადაა ჩართული ამ პროცესში ევროპარლამენტი, პროცესი მით უფრო გართულებული და დროში გაწელილია. ხელშეკრულებები ასევე ადგენს, თუ როდის რომელი პროცედურა მოქმედებს.

საერთაშორისო ურთიერთობები

დამფუძნებელი ხელშეკრულებების მიხედვით, ევროკავშირი უფლებამოსილია, იყოს სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე. ამ შეთანხმებებზე მოლაპარაკებებს ახდენს კომისია (ევროკავშირში გაწევრიანების გარდა).

ევროპარლამენტის როლი თანდათანობით ფართოვდება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში. პარლამენტის როლი ხელშეკრულების შემუშავებაში შეზღუდული რჩება იმ თვალსაზრისით, რომ იგი ერთვება მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმების სტადიაზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ამ შეთანხმებაზე ზეგავლენის შესაძლებლობას. თუმცა, აღნიშნულის საკომპენსაციოდ არაოფიციალური პროცედურების მთელი წყება მექანიზმია შექმნილი, იმისათვის, რომ პარლამენტს მიეცეს შესაძლებლობა, „რეგულარულად და

სრულად იყოს ინფორმირებული“, და რომ მისი შეხედულებები იქნეს გაზიარებული.

ფორმალურად, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 219-ე მუხლი ადგენს წესებს, თუ როდის და რა ტიპის საერთაშორისო შეთანხმებების გასაფორმებლად ესაჭიროება ევროკავშირის საბჭოს ევროპარლამენტის თანხმობა. გამონაკლისს წარმოადგენს ექსკლუზიურად საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ევროკავშირის საბჭო მხოლოდ კონსულტაციას გადის ევროპარლამენტთან.

საბიუჯეტო უფლებამოსილება

ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურა ორი მოსმენისაგან შედგება. შემთანხმებელ კომისიას იწვევენ პირველი მოსმენის შემდეგ, ერთობლივ ტექსტზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში.

ინსტიტუციური წონასწორობა უზრუნველყოფილია იმ პრინციპით, რომ შემთანხმებელი კომისიის მიერ შეჯერებული ტექსტის ბიუჯეტის სახით დამტკიცება არ არის დამოკიდებული ექსკლუზიურად პარლამენტის ან საბჭოს წინადადებაზე. ბიუჯეტი მტკიცდება ერთ-ერთი მათგანის მიერ დამტკიცების, და მეორე მათგანის მიერ გადაწყვეტილების მიუღებლობის პირობებში. სხვაგვარი კომბინაციები იწვევს ბიუჯეტის პროექტის კომისიისათვის დაბრუნებას.

საბიუჯეტო პროცესი უკავშირდება ინსტიტუციური ძალაუფლების ზოგად საკითხებს და ამიტომ არ შეიძლება გავმიჯნოთ ისინი ერთმანეთისაგან. ისტორიაში ბევრია ერო-

ვნულ დონეზე საკანონმდებლო ორგანოების მაგალითები, რომელთაც უფლებები გამოიყენეს ფინანსურ სახსრებზე, როგორც თავიანთი პოზიციის გაძლიერების ბერკეტი საერთო კონსტიტუციურ იერარქიაში. ევროპარლამენტი ამ კუთხით არ არის გამონაკლისი.

საპარლამენტო კონტროლის ფუნქცია

საპარლამენტო კონტროლის ფუნქცია კლასიკური პარლამენტის, როგორც პირდაპირი წესით არჩეული წარმომადგენლობითი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უმნიშვნელოვანესი პრეროგატივაა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი, საზედამხედველო უფლებამოსილება. ევროპარლამენტიც ინსტიტუციური განვითარების სწორედ ამ გზას დაადგა და თანდათანობით გააძლიერა თავისი ანალოგიური ძალაუფლება. პირველი, რაც აუცილებლად უნდა იქნეს განხილული, ევროპული კომისიისა და ევროპარლამენტის ურთიერთობაა ამ ასპექტში. ევროპარლამენტს აკისრია მნიშვნელოვანი როლი ევროპული „აღმასრულებლის“ კრიტიკულ განხილვაში, ევროპული კომისიის ფორმატში.

საკანონმდებლო პროცედურები

აღმასრულებლის ფორმირება.ლისაბონის ხელშეკრულების მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ევროპარლამენტი ირჩევს საბჭოს მიერ ნომინირებულ ევროკომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას. თუმცა, ეს არ ანიჭებს ევროპარლამენტს უფლებას, თავად შეარჩიოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა. მას პასიური როლი აკისრია,

მაგრამ სრული უფლება აქვს, არ მოიწონოს წამოყენებული კანდიდატურა. დამფუძნებელი ხელშეკრულება არ ადგენს, რომ ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება ნომინირებულ იქნეს რამდენჯერმე, რაც ამ საკითხში პოლიტიკური ვაჭრობის პროცესისათვის აწესებს სიხისტისა და უმაღლეს დონეზე ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმებს.

მას შემდეგ, რაც ევროპარლამენტი აირჩევს ევროპული კომისიის თავმჯდომარეს, საბჭოს მიერ (კომისიის თავმჯდომარესთან ერთად) შედგენილი ევროკომისიის წევრთა სია ასევე გადაეცემა ევროპარლამენტს დანიშვნის მიზნით თანხმობის გამოსაცხადებლად. ამ შემთხვევაში არა მხოლოდ კომისიის წევრები, არამედ კომისიის თავმჯდომარეც, ანუ მთლიანობაში ევროკომისია, როგორც ერთი მთლიანი ინსტიტუტი, ექვემდებარება საპარლამენტო ნდობის გამოცხადებას.


აღმასრულებლის დათხოვნა. ფორმირების პროცესის გარდა, ევროპარლამენტი ასევე ფლობს პრეროგატივას ევროპული კომისიის უფლებამოსილების შეწყვეტის მხრივ, და ამით აძლიერებს ამ უკანასკნელის მის მიმართ ანგარიშვალდებულების ელემენტს.

დამფუძნებელი ხელშეკრულება დეტალურად არ ადგენს საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში ევროპარლამენტი უფლება მოსილია, ევროპულ კომისიას ვადამდე შეუწყვეტოს უფლებამოსილება. ევროპარლამენტი უფლებამოსილია, ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგად დასვას კომისიის გაკიცხვისა და დათხოვნის საკითხი. ამავე

დროს, რადგან მუხლები ერთმანეთისგანაა გამიჯნული და არ არის მითითებული, რომ ანგარიშის განხილვას შეიძლება მოჰყვეს კომისიის გაკიცხვა, ევროპარლამენტს აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების უფლება აქვს ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ამის აუცილებლობა დადგება.

ევროპული კომისია კოლეგიალურადაა ანგარიშვალდებული ევროპარლამენტის წინაშე. პარლამენტს არ აქვს ინდივიდუალური კომისიონერების გაწვევის უფლება. ყურადსაღებია, რომ კომისიის ინვესტიტურის პროცედურისაგან განსხვავებით, კომისიის გაკიცხვის შემთხვევაში ევროპული საბჭო აღარ ერთვება დამატებით რგოლად (ინვესტიტურისას კი საბოლოო კენჭისყრას პარლამენტის შემდეგ ახორციელებს ევროპული საბჭო).

პარლამენტის კონტროლი მინისტრთა საბჭოზე:
ევროპარლამენტის მხრიდან მინისტრთა საბჭოზე კონტრო-



ლი პრაქტიკულად ნომინალურია. ამას სამი მიზეზი აქვს:

პარლამენტს რომ საბჭოს გაკონტროლების უფლება ჰქონდეს, მოხდება სუპრანაციონალიზმის დამკვიდრება, რასაც შეიძლება არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვეს წევრსახელმწიფოებს შორის. ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის იარსებებს ორისამი სახელმწიფო, რომელიც კატეგორიულად წინააღმდეგი იქნება ასეთი პრაქტიკის დამკვიდრებისა.

მთელი რიგი საკითხებისა, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში და სავალუტო საქმეებში, მიიღება საბჭოს მიერ კონფიდენციალურად, სუპრანაციონალური ორგანოების ჩარევის გარეშე. შესაბამისად, კონფიდენციალურ პროცესში ევროპარლამენტის ჩართვა ეწინააღმდეგება ევროკავშირში მიღებულ პრაქტიკას.

საბჭოს მობილურობის და კომპლექსურობის გამო ძნელია დამყარდეს განგრძობადი კავშირი საბჭოს და პარლამენტს შორის, მიუხედავად ამისა, პარლამენტს და საბჭოს შორის მაინც არსებობს არაფორმალური კავშირები.

მაგალითად, ყოველი პრეზიდენტობის დასაწყისში და დასასრულს პრეზიდენტი ქვეყანა ანგარიშს აბარებს პარლამენტს, ჯერ პრიორიტეტების, ბოლოს კი მათი შესრულების სტატუსის შესახებ. ასევე პრეზიდენტი სახელმწიფოს მინისტრები ხშირად ესწრებიან პარლამენტის სხდომებს და ანგარიშს აბარებენ მას მიღწევებისა და წარუმატებლობების შესახებ.

პარლამენტის კონტროლი ევროპულ საბჭოზე:
პარლამენტის მხრიდან კონტროლი ევროპულ საბჭოზე პრაქტიკულად არ არსებობს. ევროპული საბჭოს სამიტის გახსნი-

სას ევროპარლამენტის პრეზიდენტი სიტყვით მიმართავს ევროპულ საბჭოს და ტოვებს შეხვედრას.

სამიტის დასრულების შემდეგ პრეზიდენტი ქვეყანა, როგორც წესი, წარდგება პარლამენტის წინაშე და ევროპარლამენტს მოხსენებას აბარებს ევროპული საბჭოს შედეგების შესახებ.

7. ევროპული საბჭო (სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო) – European Council




ევროპული საბჭო ეწოდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების რეგულარულ შეხვედრებს. ევროპული საბჭო არის ევროკავშირის უმაღლეს პოლიტიკური ორგანო, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს, მათ მოადგილეებს – საგარეო საქმეთა მინისტრებს.

მის შემადგენლობაში შედიან, აგრეთვე, ევროკომისიის თავმჯდომარე და ევროპის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც სხდომებს ხელმძღვანელობს. შეხვედრებში მონაწილეობს, აგრეთვე, საგარეო საქმეთა და უშიშროების სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, თუმცა ის არ არის საბჭოს წევრი.

ევროპული საბჭოს შექმნა

ევროპული საბჭოს შექმნას საფუძვლად დაედო საფრანგეთის პრეზიდენტის *შარლ დე გოლის* იდეა – ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურების არაფორმალური შეხვედრების ჩატარების შესახებ, რაც, მისი აზრით, ინტეგრაციული წარმონაქმნის ჩარჩოებში შეაფერხებდა ეროვნული სახელმწიფოების როლის დაქვეითებას.



არაფორმალური შეხვედრები ტარდებოდა 1961 წლიდან. საბოლოოდ ევროპული საბჭო შეიქმნა 1974 წლის 10 დეკემბერს, პარიზში, როდესაც ასევე საფრანგეთის პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დესტენის წინადადებით სახელმწიფოთა მეთაურებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ჩაეტარებინათ რეგულარული შეკრებები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდნენ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები, ევროპის თანამეგობრობის კომისიების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები.

თერთმეტი წლის შემდეგ, 1985 წელს მილანში, ევროპული საბჭოს მუშაობამ სამართლებრივი აღიარება მიიღო ერთიანი ევროპული აქტით.

1992 წელს კი 12 სახელმწიფოს (ბელგიის, დანიის, გერმანიის, ესპანეთის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის,

ნიდერლანდის, პორტუგალიის, საბერძნეთის, საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს) წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილმა **მაასტრიხტის ხელშეკრულებამ** (ევროპის კავშირის შექმნის შესახებ) საბოლოოდ დაუსვა წერტილი ევროპული საბჭოს ინსტიტუციონალიზაციას, როდესაც აღიარა მისი შემადგენლობა და შეხვედრების სიხშირე.

ევროპული საბჭოს თავმჯდომარე (პრეზიდენტი)

ევროპული საბჭოს თავმჯდომარე მსოფლიო არენაზე მთავარი წარმომადგენელია **ევროკავშირისა**. ზოგჯერ მას **ევროკავშირის** თავმჯდომარესაც კი უწოდებენ ხოლმე.

1975 წლიდან 2009 წლამდე ეს თანამდებობა ფორმალური იყო, ხშირად ოფისის თავმჯდომარედაც მოიხსენიებოდა. მაგრამ ლისაბონის ხელშეკრულებით (2007, 2009) შემოღებულ იქნა შტატის თავმჯდომარე 2,5 წლიანი ვადით.

2009 წლის 1 დეკემბრიდან თავმჯდომარე იყო **ჰერმან ვან რომპუი** (ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი). იგი პრეზიდენტობის პირველი ვადის ამოწურვის შემდეგ (2012 წლის 31 მაისს) მეორე (და ბოლო) ვადით იქნა არჩეული (2012 წლის 1 ივნისიდან 2014 წლის 30 ნოემბრამდე). 2014 წლის პირველი დეკემბრიდან იგი შეცვალა ახალმა არ-



ჩეულმა თავმჯდომარემ **დონალდ ტუსკიმ** (პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი). 2017 წლის 9 მარტს იგი მეორე ვადით იქნა არჩეული 2019 წლის 30 ნოემბრამდე.

ევროპული საბჭოს უფლებამოსილებანი და ფუნქციები

ლისაბონის ხელშეკრულებაში (2007, 2009) ჩაიწერა, რომ ევროპული საბჭო წარმოადგენს ევროკავშირის ოფიციალურ დაწესებულებას. ორგანოს, რომელმაც კავშირის განვითარებას ახალი იმპულსი უნდა მისცეს.

არსებითად ევროპული საბჭო განსაზღვრავს ევროკავშირის პოლიტიკის დღის წესრიგს და ამგვარად ითვლება ევროპული ინტეგრაციის გენერატორად. ამას აკეთებს რაიმე ოფიციალური უფლებამოსილების გარეშე ნაციონალური ლიდერების გავლენის საშუალებით.

მიუხედავად ამისა, ევროპული საბჭო არ მოიაზრება ევროკავშირის რომელიმე ხელისუფლებად (აღმასრულებელი ან საკანონმდებლო). ამის მიზეზი ძირითადად ისაა, რომ ევროპული საბჭოს როლი სცდება უბრალოდ საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ფუნქციას, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებები, რომელთაც ევროპული საბჭო იღებს, ხშირად საკანონმდებლო ხასიათსაც ატარებს.

ევროპული საბჭოს საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანია და თანამეგობრობის წინაშე მდგარი პრობლემების ფართო სპექტრს მოიცავს:

- წარმოადგენს სათათბიროს ევროპის „კონსტიტუციური არქიტექტურის“ შემუშავების საკითხებში;

- ამუშავებს რეკომენდაციებს და მითითებებს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე;
- იხილავს თანამეგობრობის ფინანსურ, ინსტიტუციურ და სხვა სახის დისკუტებს, რაც პრაქტიკულად განსაზღვრავს ევროკავშირის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების შინაარსს.

ევროპულ საბჭოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. მისი ერთ-ერთი ფუნქციაა **სახელმწიფო მეთაურების შეკრება არაფორმალურ ვითარებაში აზრების გასაცვლელად.** შეხვედრის არაფორმალური ხასიათი და გადაწყვეტილების მიღებაზე წნეხის არარსებობა ხშირად განაპირობებს მნიშვნელოვან კომპრომისებს, რომელთა წყალობითაც ხდება ევროგაერთიანების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვე-



ტილებების მიღება.

ასევე მნიშვნელოვანია ევროპული საბჭოს მეორე, არა-ნაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ახლა უკვე ფორმალურ ნაწილთანაა დაკავშირებული. ეს არის ევროკავშირის **გრძელვადიანი განვითარების გეგმების დასახვა და ევროკომისიისთვის დირექტივების მიცემა.**

ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც როდესმე მიღებულა ევროკავშირში, იქნებოდა ეს აგრარული სექტორის რეფორმები, სტრუქტურული ფონდების რეფორმები, სავალუტო კავშირის შექმნა და ევროს შემოღება, კონსტიტუციის მიღება, თუ ევროკავშირის გაფართოება, მიიღებოდა ევროპულ საბჭოზე, თუმცა მანამდე, ასევე ევროპულ საბჭოზე ხდებოდა პოლიტიკური ნების დაფიქსირება ამ საკითხებზე მუშაობის დასაწყებად.

მაგალითად, ლუქსემბურგის 1997 წლის და ჰელსინკის 1999 წლის ევროპულმა საბჭოებმა საფუძველი ჩაუყარეს ევროკავშირის გაფართოებას, რომელიც 2004 წლის 1 მაისს შედგა, ხოლო 1974 წლის ევროპულმა საბჭომ გზა გაუხსნა ევროკავშირის სავალუტო კავშირის შექმნისაკენ, რაც, საბოლოოდ, 2000 წელს ერთიანი ვალუტის - ევროს შემოღებით დაგვირგვინდა და სხვ.

ევროპული საბჭოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ახალი პოლიტიკური მიმართულებების შემუშავება და ამა თუ იმ სფეროში ინტეგრაციის გაღრმავების შესახებ პოლიტიკური ნების დაფიქსირება.

1974 წელს პარიზის ევროპულმა საბჭომ შექმნა რეგიონული განვითარების ფონდი, რაც საფუძვლად დაედო

ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბებას. იგივე შეიძლება ითქვას კოპენჰაგენის 1993 წლის ევროპულ საბჭოზე, სადაც პირველად იქნა დაფიქსირებული ის კრიტერიუმები, რომელიც სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად და სხვ.

ევროპულ საბჭოს აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია - იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც ვერ გადა-

ევროპული საბჭო ლისაბონის ხელშეკრულების
ხელმოწერის შემდეგ. 2007.



წყდა მინისტრების მიერ. ძალიან ხშირად მინისტრების დონე ვერ ყოფნის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სოციალურ პრობლემატიკას, ან როდესაც ამ საკითხებს შეუძლია გავლენის მოხდენა სხვა სფეროებზე (ე.წ. cross-cutting issues). ასეთი საკითხები, როგორც წესი, გადაეცემა ევროპულ საბჭოს, რადგან საბჭოში წარმოდგენილ სახელმ-

წიფოთა მეთაურებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა აქვთ.

სულ ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ საბჭოს ეკისრება საგარეო პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელოვანი ფუნქცია. იმის გამო, რომ საგარეო და უშიშროების პოლიტიკა ევროკავშირში ჯერ ისევ სახელმწიფოების უშუალო კომპეტენციის ფარგლებში რჩება, საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სწორედ ევროპულ საბჭოებზე მიიღება.

ევროპული საბჭო იკრიბება ყოველ ექვს თვეში ორჯერ (ბრიუსელში), თუმცა პრეზიდენტი უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ სპეციალური შეხვედრა დანიშნოს.

მიუხედავად ამისა, ევროპული საბჭო არ მოიაზრება ევროკავშირის რომელიმე ხელისუფლებად (აღმასრულებე-

ევროსაბჭოს სხდომის მონაწილენი. ბრიუსელი. 2011.



ლი ან საკანონმდებლო). ამის მიზეზი ძირითადად ისაა, რომ ევროპული საბჭოს როლი სცდება უბრალოდ საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ფუნქციას, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებები, რომელთაც ევროპული საბჭო იღებს, ხშირად საკანონმდებლო ხასიათსაც ატარებს.

ევროპული საბჭოს შემადგენლობა

გარდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების, ევროკომისიის პრეზიდენტის (ხმის უფლების გარეშე), ევროპის საბჭოს პრეზიდენტის (რომელიც სხდომებს ხელმძღვანელობს) ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობებისა ევროპულ საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობს, აგრეთვე, საგარეო საქმეთა და უშიშროების სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი (იგი არ არის საბჭოს წევრი). საბჭოს სხდომებზე შეიძლება საჭიროების მიხედვით დაესწრონ სხვა მოწვეული სტუმრები, მაგალითად, ცენტრალური ევროპული ბანკის პრეზიდენტი. საბჭოს მდივანი ესწრება და პასუხს აგებს ორგანიზაციულ საკითხებზე. ევროპული პარლამენტის პრეზიდენტიც, აგრეთვე ესწრება და გამოდის შესავალი სიტყვით.

გარდა ამისა მონაწილეობენ დიდი რაოდენობა სხვა ადამიანებისა, რომლებიც „კულისებს მიღმა“ საქმიანობენ. მათგან უმეტესობას კონფერენც-დარბაზში არ უშვებენ, გარდა იმ შემთხვევებისა, თითოეული სახელმწიფოდან ორ-ორი დელეგატი შეტყობინებათა რეტრანსლიაციისთვის. მუდმივ წარმომადგენელს შეუძლია კონსულტაციისათვის ღილაკზე თითის დაჭერით დაუკავშირდეს მეზობელ ოთახში წინაწარ შეკრე-

ბილ საკონსულტაციო ჯგუფს. ჯგუფი შედგება დიპლომატებისა და თანაშემწეებისაგან. ასევე შეიძლება თარჯიმნების ყოფნაც, რადგან ყველა მონაწილეს უფლება აქვს ისაუბროს მშობლიურ ენაზე.

რადგან შემადგენლობა ზუსტად არ არის განსაზღვრული, ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლებაში ზუსტად არ არის გამოიჯნული თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი გაურკვეველია ვინ უნდა წარადგინოს ქვეყანა ევროპული საბჭოს სხდომაზე ხშირად პრობლემატურ ხასიათს იძენს და კურიოზული სიტუაცია იქმნება.

ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი *ალექსანდერ სტუბი*, ჯერ კიდევ ევროპარლამენტარობის დროს ამტკიცებდა, რომ ევროპულ სამიტებზე ფინეთი უნდა წარედგინა მხოლოდ პრემიერ მინისტრს და არ იყო საჭირო, მას თან ხლებოდა ან მის ნაცვლად წასულიყო ქვეყნის პრეზიდენტიც. 2008 წელს საქართველო-რუსეთის ომთან დაკავშირებით საგანგებო სამიტი იქნა მოწვეული. ფინეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, პრემიერ მინისტრთან ერთად, სამიტზე თავად წასულიყო. ამიტომ საგარეო საქმეთა მინისტრი *სტუბი* ამოღებულ იქნა ფინეთის დელეგაციის სიიდან (სამიტს თითო ქვეყნიდან მხოლოდ ორი წარმომადგენელი შეიძლება დაესწროს). ევროპულმა საბჭომ უარით უპასუხა ფინელების ინიციატივას, გამონაკლისის სახით, ფინეთიდან მესამე დელეგატად დაეშვათ სტუბიც, რომელსაც ამავედროულად ეუთოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა და კონფლიქტის მოგვარების საკითხებში აქტიურად იყო ჩართული.

ამ სამიტზე წასვლასთან დაკავშირებით დავა წარმოიშვა პოლონეთშიც. პოლონეთის პრეზიდენტი **ლეხ კაჩინსკი** ამტკიცებდა, რომ პოლონური დელეგაციისათვის მხოლოდ მას უნდა ეხელმძღვანელა და არა პრემიერ მინისტრ **დონალდ ტუსკს**. გარდა ამისა მათ ქართულ-რუსულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციებიც ჰქონდათ.

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრება ჰქონდა ჩეხეთის პრეზიდენტს **ვაცლავ კლაუსს** და პრემიერ მინისტრს **მირეკ ტოპოლანეკსაც**. პრეზიდენტი ომის დაწყებაში საქართველოს ადანაშაულებდა, პრემიერ მინისტრი კი - რუსეთს. ჩეხეთის პრეზიდენტი პრემიერთან ერთად არ წასულა სამიტზე და ადგილი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს დაუთმო. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა რუმინეთშიც პრეზიდენტ **ტრაიან ბესესკუსა** და პრემიერ-მინისტრ **ველინ პოპესკუ-ტერიკიანუს** შორის 2007-2008 წლებში და სხვ.

8. ევროკავშირის საბჭო (მინისტრთა საბჭო) – Council of the European Union



ევროპის კავშირის საბჭო (Council of European Union), შემოკლებით - ევროკავშირის საბჭო, არაფორმალურად - მინისტრების საბჭო, მას მესამენაირი სახელიც აქვს – ლათინური **Consilium**-ი (საბჭო, რჩევა).

ევროკავშირის საბჭო მესამეა ევროკავშირის 7 ინსტიტუტიდან და ნაწილია ევროკავშირის არსებითად ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოსი (მეორე საკანონმდებლო ორგანოა ევროპარლამენტი), იგი **წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების აღმასრულებელ ხელისუფლებას**.

ევროკავშირის საბჭო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი ინსტიტუტია. იგი აერთიანებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მინისტრებს, რომლებიც იკრიბებიან კანონების მიღების და პოლიტიკის კოორდინაციის მიზნით. იგი არის ორგანო, სადაც წარმოდგენილია ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო. საბჭოში ყოველი წევრი აგზავნის თავის ერთ ან მეტ სრულუფლებიან წარმომადგენელს, რომლებიც, შეირჩევა იმ სამინისტროებიდან და დეპარტამენტებიდან, რომელთა შესაბამის სფეროში მყოფი საკითხიც არის მოცემულ მომენტში განხილვის საგანი. ამითაა განსაზღვრული შეკ-

რების კოფიგურაცია ანუ შესაბამისად იცვლება საბჭოს შემადგენლობა და სახელწოდება.

აგრეთვე ხმის უფლების გარეშე საბჭოს სხდომებში მონაწილეობს შესაბამისი ევროკომისარი, მაგალითად, შრომის დაცვის საკითხებით დაკავებულია წევრი ქვეყნების შესაბამისი მინისტრი, რომლებიც შრომის დაცვას განაგებენ – შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრები. აგრეთვე კომისრები დასაქმების, სოციალური და თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის საკითხებზე. საბჭო შეიძლება ერთდროულად შეიკრიბოს სხვადასხვა შემადგენლობითაც.

საბჭოს თავმჯდომარეობა 6 თვანია. ევროკავშირის წევრი თავმჯდომარე ქვეყნების მთავრობების შესაბამისი მინისტრებით მონაცვლეობენ. თავმჯდომარე დროის ნებისმიერ მომენტში უზრუნველყოფს ყოველდღიური დღის წესრიგის შედგენას.

ევროკავშირის საბჭოს ფუნქციები

- იღებს ევროკავშირის კანონებს;
- კოორდინაციას უწევს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფართო ეკონომიკურ პოლიტიკას;
- ხელს აწერს შეთანხმებებს ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის;
- ამტკიცებს ევროკავშირის ყოველწლიურ ბიუჯეტს;
- შეიმუშავებს ევროკავშირის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას;
- კოორდინაციას უწევს წევრი ქვეყნების სასამართლოებისა და პოლიციის თანამშრომლობას.

საკანონმდებლო ფუნქცია

ევროკავშირის იღებს ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებს (რეგლამენტებს, დირექტივებსა და გადაწყვეტილებებს). ევროკავშირი საკანონმდებლო ორგანოა, თუმცა ევროპარლამენტთან ინაწილებს ამ ფუნქციას.

ევროკავშირი და ევროპარლამენტი ერთად იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კომისიის მიერ შემოთავაზებულ კანონპროექტებზე.

ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება

წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ ყოვლისმომცველ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რასაც კოორდინირებას წევრი ქვეყნის ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრები გაუწევენ. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი საკუთარ პოლიტიკაზეა პასუხისმგებელი, მათ შეუძლიათ საერთო მიზნების დასახვა და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება.

საერთაშორისო შეთანხმებების ხელმოწერა

საბჭო ევროკავშირის სახელით სხვა ქვეყნებთან აფორმებს ხელშეკრულებებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა:

- გარემოს დაცვა;
- ვაჭრობა;
- მეთევზეობა;
- მეცნიერება;
- ტექნოლოგია;
- ტრანსპორტი.

საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა

ეს ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხია, სადაც წევრ ქვეყნებს არ სურთ სუვერენიტეტის დათმობა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წევრი ქვეყნები დამოუკიდებლად ახორციელებენ კონტროლს ამ სფეროებზე, ისინი მუშაობენ ე.წ. „ერთიანი საგარეო და უშიშროების პოლიტიკის“ შემუშავებაზე (ცნობილი, ასევე, როგორც „საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა“).

ევროკავშირის საბჭო წარმოადგენს მთავარ ფორუმს ამგვარი განხილვებისათვის.

ევროკავშირის არ გააჩნია არმია, თუმცა ბუნებრივ კატაკლიზმებსა და საერთაშორისო კონფლიქტებზე სწრაფი რეაგირების მიზნით, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა უზრუნველყოფს სპეციალური ჯგუფების გაგზავნას, რომელთა მიზანს ჰუმანიტარული, სამაშველო და სამშვიდობო მისიები წარმოადგენს.

თანამშრომლობა წევრი ქვეყნების სასამართლოებთან

საბჭოში იუსტიციის მინისტრების მუშაობის მთავარი მიზანი იმის უზრუნველყოფაა, რომ ერთი წევრი ქვეყნის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება აღიარებული იქნას ევროკავშირის ყველა სხვა წევრ ქვეყანაში.

იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები კოორდინაციას უწევენ ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვას, ტერორიზმთან და საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას.

ევროკავშირის საბჭოს შემადგენლობა და მუშაობის პრინციპი

ევროკავშირის საბჭოს არ ჰყავს წევრთა ფიქსირებული რაოდენობა, რადგან თითოეულ შეხვედრაზე განსახილველი საკითხების მიხედვით წევრი ქვეყნებიდან იგზავნებიან შესაბამისი სფეროს მინისტრები.

საბჭოში შექმნილია 10 თემატური საბჭო ე.წ. კონფიგურაცია, შემდეგი მიმართულებებით:

- საერთო საქმეები;
- საგარეო საქმეები;
- ეკონომიკური და ფინანსური საქმეები;
- იუსტიცია და საშინაო საქმეები;
- დასაქმება, სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- კონკურენტუნარიანობა (შიგა ბაზარი, ინდუსტრია, კვლევა და კოსმოსური სივრცე);
- ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაცია და ენერგეტიკა;
- სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა;
- გარემოს დაცვა;
- განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა და სპორტი.

განსახილველი თემატიკიდან გამომდინარე, იკრიბებიან შესაბამისი სფეროს მინისტრები. მაგ., თუ განიხილება განათლების საკითხები, შესაბამის კონფიგურაციაში იკრიბებიან წევრი ქვეყნების განათლების მინისტრები.

ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ევროკავშირის საბჭოს შეხვედრების რაოდენობა, რადგან ეს თემატიკაზე დამოკიდებული; მაგ., საგარეო საქმეთა, ისევე, როგორც

ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრთა საბჭოს სხდომა (ე.წ. the Ecofin Council) დაახლოებით თვეში ერთხელ იმართება.

საბჭოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანოს წარმოადგენს მუდმივი წარმომადგენლების კომიტეტი (Permanent Representatives Committee (COREPER)), რომელიც შედგება პირითადად ელჩებისაგან და საჯარო მოხელეებისაგან. კომიტეტის წარმომადგენლები ორ ჯგუფში არიან განაწილებულნი: Coreper II და Coreper I (Coreper II-ის წარმომადგენლების მოადგილეები). ევროკავშირის საბჭოს მიერ განსახილველი საკითხები მზადდება მუდმივი წარმომადგენლების კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების მიერ.

ის საკითხები, რაც ვერ წყდება სამუშაო ჯგუფების დონეზე, განსახილველად გადაეცემა კომიტეტებს. ხოლო ის საკითხები, რომელზეც კონსენსუსი კომიტეტებშიც (Coreper II და Coreper I) ვერ იქნა მიღწეული, განიხილება მინისტრების დონეზე (სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებს სპეციალური კომიტეტი წყვეტს).

საბჭოს საქმიანობის ადმინისტრაციულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი გენერალური სამდივნოა (ბრიუსელში).

ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა

ევროკავშირის საბჭო როტაციის პრინციპით, ყოველ 6 თვეში ერთხელ, წევრ სახელმწიფოებს შორის ირჩევს პრეზიდენტ ქვეყანას. იგი ამ პერიოდის მანძილზე უძღვება საბჭოს შეხვედრებს და პასუხისმგებელია მის კონსოლიდირებულ მუშაობაზე, მათ შორის, კომპრომისის მიღწევაზე ევროპარ-

ლამენტთან და ევროკომისიასთან ერთად გადაწყვეტილების მიღებისას.

იმისათვის, რომ დაწყებული მუშაობა არ შეწყდეს, მოქმედი საპრეზიდენტო ქვეყანა მჭიდროდ თანამშრომლობს წინა და მომდევნო საპრეზიდენტო ქვეყნებთან. ისინი ერთობლივად ადგენენ საბჭოს სამუშაო პროგრამას 18-თვიანი პერიოდისათვის.

ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი ქვეყნების სია 2014-2020 წლებში:

იტალია - ივლისი-დეკემბერი, 2014, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი იყო *მატეო რენცი* (Matteo Renzi)

ლატვია - იანვარი-ივნისი, 2015

ლუქსემბურგი - ივლისი-დეკემბერი, 2015

ნიდერლანდები - იანვარი-ივნისი, 2016

სლოვაკეთი - ივლისი-დეკემბერი, 2016

მალტა - იანვარი-ივნისი, 2017

გაერთიანებული სამეფო - ივლისი-დეკემბერი, 2017

ესტონეთი - იანვარი-ივნისი, 2018

ბულგარეთი - ივლისი-დეკემბერი, 2018

ავსტრია - იანვარი-ივნისი, 2019

რუმინეთი - ივლისი-დეკემბერი, 2019

ფინეთი - იანვარი-ივნისი, 2020.

საგარეო საქმეთა საკითხების გარდა, ყველა სხვა საკითხის განხილვის დროს, საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს ევროკავშირის საპრეზიდენტო ქვეყნის შესაბამისი სფეროს მინისტრი.

საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან (2009 წლის 1 დეკემბერი) მუდმივად თავმჯდომარეობს საგარეო საქმეთა და უშიშროების სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი (*ფედერიკა მოგერინი*).

გარდა ამისა, ლისაბონის ხელშეკრულებით, პოლიტიკური და უშიშროების კომიტეტის (Political and Security Committee (PSC)) და, ასევე, საბჭოში საგარეო, უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის, ისევე, როგორც კრიზისული სიტუაციების მართვის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა კომიტეტების (ორგანოების) თავმჯდომარეობა დაევალა უმაღლესი წარმომადგენლის წარმომადგენლებს.

ფედერიკა მოგერინი ნიშნავს PSC-ის მუდმივ თავმჯდომარეს, ასევე აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური



მატეორენცი

Matteo Renzi
ევროკავშირის საბჭოს
მოქმედი პრეზიდენტი,
იტალიის 56-ე
პრემიერ-მინისტრი,
დემოკრატიული
პარტიის მდივანი

23

აზიის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის COEST-ის (Eastern Europe and Central Asia (COEST) და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის CONOP-ის თავმჯდომარეებს.

ხმის მიცემის პროცედურები

ლისაბონის ხელშეკრულებით (ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს) 2014 წლის 1 ნოემბრიდან შეიცვალა ევროკავშირის საბჭოში კენჭისყრის სქემა. ამოქმედდა „ხმის მიცემა ორმაგი უმრავლესობის წესით“.

გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ორი სახის უმრავლესობა:

მხარდამჭერი წევრი ქვეყნების 55% ანუ სულ მცირე 15 წევრი (ზოგ შემთხვევაში 72% კი);

ევროკავშირის მთლიანი მოსახლეობის უმრავლესობა ანუ მხარდამჭერი ქვეყნების რაოდენობა უნდა შეადგენდეს ევროკავშირის მთლიანი მოსახლეობის 65%-ს.

საკითხის დაბლოკვა შეუძლია ევროკავშირის საბჭოს არანაკლებ 4 წევრს.

თუმცა, 2014 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 1 ნოემბრამდე წევრ ქვეყნებს ექნებათ ამჟამინდელი სისტემით ხმის მიცემის საშუალება.

9. ევროპული კომისია – European Commission



ევროკომისიის ისტორია იწყება 1951 წლიდან, როცა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების (ეეფგ) შექმნასთან ერთად ჩამოყალიბდა უმაღლესი მმართველობა. თუმცა, პირველი კომისია ევროგაერთიანების შიგნით ჩამოყალიბდა 1967 წელს. ევროკომისია მოიაზრება როგორც ევროკავშირის საჯარო სამსახური, თუმცა წლების განმავლობაში გაირკვა, რომ მისი როლი ევროკავშირის განვითარებაში ძალიან დიდა და სცდება მხოლოდ საჯარო სამსახურის ფუნქციებს. ევროკომისიას ხშირად უწოდებენ ევროკავშირის „საზოგადოებრივი სულის“ მატარებელ ინსტიტუტს.

ევროპული კომისია ევროკავშირის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა, თუმცა ითავსებს საკანონმდებლო ფუნქციასაც. იგი ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტია და წარმოადგენს მთლიანად ევროკავშირის ინტერესებს.

ევროკომისია ამზადებს ევროკავშირის კანონპროექტებს და ყოველდღიურ კოორდინაციას უწევს ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელებისა და ფინანსური რესურსების გადანაწილების პროცესს.

ევროკომისიის შემადგენლობა, პრეზიდენტი

ევროკომისია შედგება კომისრებისაგან - ერთი წარმომადგენელი ყველა წევრი ქვეყნიდან.

გარდა ამისა, კომისიის შემადგენლობაში შედის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, რომელიც ასევე ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტია.

ევროკომისიის წევრებს, ე.წ. კომისრებს, ხუთი წლის ვადით ირჩევენ. ევროკომისიის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით თითოეულ კომისარს პასუხისმგებლობა ეკისრება კონკრეტულ პოლიტიკურ სფეროზე. ევროკომისიის წევრები, ისევე, როგორც პრეზიდენტი, წარმოადგენენ ევროკავშირის ინტერესებს და, შესაბამისად, წევრმა ქვეყნებმა არ უნდა მოახდინონ გავლენა კომისრებზე.

2014 წლის 1 ნოემბრიდან კომისიის ამჟამინდელი პრეზიდენტია ლუქსემბურგისა და ევროპის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე *ჟან-კლოდ იუნკერი* (Jean-Claude Juncker), მან შეცვალა *ხოსე მანუელ ბაროზო*. ევროკომისიის პრეზიდენტის კანდიდატურას ასახელებს ევროპული საბჭო.

ევროკავშირის არსებობის მანძილზე თანდათან გაიზარდა ევროპარლამენტის როლი კომისიასთან მიმართებით. ლისაბონის ხელშეკრულებით, ევროპარლამენტის არჩევის შემდეგ ევროპული საბჭოს მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას ირჩევს ევროპარლამენტი. არჩეულ პრეზიდენტთან ერთად საბჭო წარადგენს კომისიის დანარჩენ წევრებსაც.

ევროპარლამენტის თანხმობაა აუცილებელი როგორც კომისიის პრეზიდენტის, ისე კომისრებისა და უმაღლესი წარმომადგენლის კანდიდატებთან დაკავშირებით. მხოლოდ ევროპარლამენტის თანხმობის შემდეგ შეუძლია ევროპულ

საბჭოს კომისიის, როგორც ერთი მთლიანი ორგანოს არჩევა (კვალიფიციური უმრავლესობით).

გარდა ამისა, კომისრები თავიანთი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტის წინაშე, რომელსაც აქვს ექსკლუზიური უფლება, დაითხოვოს კომისია სრული შემადგენლობით. ცალკეული წევრების დათხოვნა, ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე, შეუძლია ევროკომისიის პრეზიდენტს.

ევროკომისია მოქმედებს კოლეგიალურობის პრინციპით: მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია არა ინდივიდუალური კომისარი, არამედ კომისია სრული შემადგენლობით.

ევროკომისიას ზურგს უმაგრებს სამოქალაქო სამსახური, რომელიც ბრიუსელსა და ლუქსემბურგში მდებარეობს.



ჟან-კლოდ იუნკერი
Jean-Claude Juncker

ევროკომისიის
მე-12 პრეზიდენტი.
ლუქსემბურგისა და
ევროპის სახელმწიფო და
პოლიტიკური მოღვაწე.

კომისიის ყოველდღიურ საქმიანობას კურირებენ თანამშრომლები - ადმინისტრატორები, იურისტები, ეკონომისტები, თარჯიმნები, სამდივნოს თანამშრომლები და სხვები, რომლებიც განაწილებულენ არიან შესაბამის დეპარტამენტებში, ე.წ. გენერალურ დირექტორატებში (Directorates-General (DGs)).

ევროკომისიის ფუნქციები

კომისიის საქმიანობა განისაზღვრება შემდეგი მიმართულებებით:

- ევროკომისია სთავაზობს ევროპარლამენტს და ევროკავშირის საბჭოს ახალ კანონპროექტებს;
- მართავს ბიუჯეტს და კოორდინირებს უწყვეს ფულად სახსრებს;
- იცავს ევროკავშირის კანონმდებლობას (სასამართლოსთან ერთად);
- საერთაშორისო არენაზე წარმოადგენს ევროკავშირს.

საკუთარ მოვალეობათა შესრულებისას ევროკომისია დიდი დამოუკიდებლობით სარგებლობს. იგი გამოხატავს თანამეგობრობის ინტერესებს და არ იღებს ინსტრუქციებს ცალკეული წევრი სახელმწიფოებისაგან. ევროკომისია მეთვალყურეობას უწყევს ხელშეკრულებათა შესრულებას და უზრუნველყოფს საბჭოს მიერ მიღებული ინსტრუქციებისა და დირექტივების სათანადო ხორცშესხმას.

თანამეგობრობის კანონის გატარების უზრუნველსაყოფად, მას შეუძლია რაიმე კონკრეტული შემთხვევის გადაცემა მართლმსაჯულების სასამართლოსათვის.

ევროკომისიას აქვს ინიციატივის გამოჩენის განსაკუთრებული უფლება, მას შეუძლია ნებისმიერ ეტაპზე ჩაერიოს საკანონმდებლო პროცესში, რათა ხელი შეუწყოს შეთანხმების მიღწევას საბჭოში ან საბჭოსა და პარლამენტს შორის. ევროკომისიას საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა აღმასრულებელი ფუნქციაც აკისრია.

კომისია წარმოადგენს ევროკავშირის საერთო ინტერესების გამტარებელს. კომისიონერებს აქვთ რეკომენდაციების, მოსაზრებების, განცხადებებისა და პროგრამების შექმნის ფუნქცია.

ევროკომისია აღჭურვილია უფლებით, ხელი შეუწყოს ისეთ პროგრამებს, როგორცაა: რეგიონული და სტრუქტურული პოლიტიკა, სამეცნიერო კვლევები და განათლება.

თითოეული კომისიის დეპარტმენტს აქვს თავისი მენეჯმენტის გეგმა, რომელიც მოიცავს გრძელვადიან მიზნებს ზოგად და კონკრეტულ საკითხებზე, მაგალითად: ევროკომისიის მთავარი პოლიტიკის პრიორიტეტები, განსაკუთრებით „ევროპა 2020-ის სტრატეგია“ და კომისიის სამუშაო პროგრამა; ბიუჯეტის პროგრამის შემუშავება

კომისიის დონეზე წყდება ისეთი საკითხები, როგორცაა: ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და სამუშაო ადგილების ზრდა; ევროპის მოქალაქეების უფლებებისა და უშიშროების დაცვა; კლიმატის ცვლილებები; ევროპის როლის ზრდა მსოფლიოში;

ევროკომისიას აქვს საკმაოდ ძლიერი აღმასრულებელი ფუნქცია, რასაც საკმაოდ ეფექტურად იყენებს. ის კანონმდებლობა, რომელიც მინისტრთა საბჭოს მიერ მიიღება,

სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მოვალენი არიან, განსაზღვრულ ვადებში გადაიტანონ ახალი ევროპული კანონები ეროვნულ კანონმდებლობაში.

იმის გამო, რომ ბევრი კანონი ძალიან რთული და უაღრესად ტექნიკურია, მათ შესასრულებლად აუცილებელია კომისიის ექსპერტიზისა და გამოცდილების გამოყენება. სწორედ ამიტომ, კომისიას უფლება აქვს ჩაერიოს ევროპული კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

კომისიას აქვს წესების შემქმნელი ძალაუფლება, რაც მას უფლებას აძლევს, მიიღოს ისეთი კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც აუცილებელია საბჭოს მიერ მიღებული კანონების შესასრულებლად. წესების შემქმნელი ძალაუფლების ინსტრუმენტებია რეგულაციები და დირექტივები.

საკანონმდებლო ფუნქცია

ევროკომისიას აქვს „ინიციატივის უფლება“, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია, პარლამენტსა და საბჭოს შესთავაზოს ახალი კანონპროექტები. თუმცა, ევროკომისია ამ უფლებას იყენებს მხოლოდ მაშინ, როცა გარკვეული საკითხების გადაწყვეტა ვერ ხერხდება ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე (რაც მოიაზრებს სუბსიდირების პრინციპს).

ევროკომისიის დეპარტამენტები კომისრებს წარუდგენენ ახალ კანონპროექტს. მოიწონების შემთხვევაში, ის გადაეგზავნება საბჭოს და პარლამენტს. დებატების, განხილვებისა და პროექტში ცვლილებების შეტანის შემდეგ საბჭო და

პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას მოცემული კანონ-პროექტის დამტკიცების შესახებ.

საბიუჯეტო ფუნქცია

საბჭოსთან და პარლამენტთან ერთად კომისია განსაზღვრავს ევროკავშირის ფინანსების ხარჯვის გრძელვადიან პერიორიტეტებს. ის ასევე ადგენს ევროკავშირის ყოველწლიურ ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტსა და საბჭოს.

გარდა ამისა, ევროკომისია კოორდინირებას უწევს ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკის (სოფლის მეურნეობა და განვითარება) და პროგრამების (მაგ., სტრუქტურული გაცვლითი პროგრამა „ერასმუსი“) დაფინანსების საკითხებს.

ევროკავშირის კანონმდებლობის დამცველი

როგორც „ხელშეკრულებების მცველი“ („Guardian of Treaties“), ევროკომისია ამოწმებს იმას, თუ რამდენად სწორად ახორციელებენ წევრი ქვეყნები ევროკავშირის კანონმდებლობას. იმ შემთხვევაში, თუ ირღვევა კანონი, კომისია წევრ ქვეყანას უგზავნის ოფიციალურ წერილს და სთხოვს პრობლემის მოგვარებას.

უკიდურესი ზომის სახით კომისია მიმართავს სასამართლოს. ხოლო სასამართლოს შეუძლია, დამრღვევ მხარეს დააკისროს ჯარიმა. სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ინსტიტუტებისათვის.

ევროკომისია, როგორც ევროკავშირის წარმომადგენელი

ევროკომისია წარმოადგენს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს საერთაშორისო ასპარეზზე, თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და წარმართავს მოლაპარაკებებს საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

ლისაბონის ხელშეკრულების ერთ-ერთ სიახლეს ევროპული საგარეო ქმედებათა სამსახური (EEAS) წარმოადგენს.

სამსახური შეიქმნა 2010 წლის 1 დეკემბერს, სადაც გაერთიანდა ევროკავშირის უკვე არსებული საბჭოს საგარეო საქმეთა დეპარტამენტი და ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორატი (DG RELEX).

ის წარმოადგენს დიპლომატიურ კორპუსს, რომელსაც ევალება ევროკავშირის საგარეო და უშიშროების პოლიტიკის წარმართვა და წევრი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან თანამშრომლობა მსოფლიო მასშტაბით. შესაბამისად, მასში შედიან საბჭოს და ევროკომისიის გენერალური სამდივნოს შესაბამისი დეპარტამენტებისა და ეროვნული დიპლომატიური მისიით წარგზავნილი ოფიციალური პირები.

EEAS თანამშრომლობს ევროკომისიასთან ისეთ საკითხებშიც, სადაც მათი კომპეტენციები ერთმანეთს ემთხვევა. სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე, მას ასევე ევალება ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საქმიანობის კოორდინირება და ხელშეწყობა.

ხელშეკრულების მიხედვით, ამ სამსახურის ფუნქციობა განისაზღვრება საბჭოს გადაწყვეტილებით. საბჭო კი მოქმედებს უმაღლესი წარმომადგენლის შეთავაზების საფუძველზე, ევროპარლამენტთან კონსულტაციისა და ევროკომისიის თანხმობის შემდეგ.

როგორც დავინახეთ, ევროკომისიის როლი ევროკავშირის პოლიტიკის წარმართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურაში საკმაოდ მნიშვნელოვანია, კერძოდ, ევროკომისია, როგორც აღმასრულებელი ორგანო და კანონის ინიცირების ექსკლუზიური უფლების მქონე განსაზღვრავს ევროკავშირის ზოგადი პოლიტიკის მიმართულებებს. მას აქვს ერთ-ერთი წამყვანი როლი საგარეო ურთიერთობების წარმართვის პროცესში, ის წარმოადგენს მედიატორს ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებთან. გადამწვეტ როლს თამაშობს გაფართოების პოლიტიკაში. ის არის ბიუჯეტის წარმდგენი და პასუხს აგებს მის ხარჯვით ნაწილზე, განაგებს ევროკავშირის ფინანსურ მენეჯმენტს.

10. ევროპის სასამართლო ხელისუფლება

I. ევროპული სასამართლო – European Court of Justice
(ევროპის კავშირი)

II. ევროპის აუდიტორთა სასამართლო – European
Court of Auditors (ევროპის კავშირი)

III. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო –
European Court of Human Rights (ევროპის საბჭო)

I. ევროპული სასამართლო (European Court of Justice)



ევროპული სასამართლო

არის ევროკავშირის სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ინსტანცია, რომლის გადაწყვეტილებაც არ ექვემდებარება გასაჩივრებას. ის შედგება თითოეული წევრი ქვეყნიდან წარმოდგენილი თითო მოსამართლისაგან და 11 გენერალური

ადვოკატისაგან. მათ ირჩევს მინისტრთა საბჭო 6 წლიანი განახლებადი ვადით. მისი ამოცანაა, ევროკავშირში მიღებული კანონები თანაბრად სრულდებოდეს მის ყველა წევრ ქვეყანაში. ის ასევე იხილავს დავას ევროკავშირის მთავრობასა და მის ინსტიტუციებს შორის. ფიზიკურ პირებს, კომპანიებს ან ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიმართონ ევროკავშირის სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავს რომე-

ლიმე ევროპული ორგანიზაციისაგან დისკრიმინირებულად მიიჩნევენ.

ევროკავშირის სასამართლო ხელისუფლების ეს ინსტიტუტი შეიქმნა 1952 წელს სახელწოდებით „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების სასამართლო“. 1958–2009 წლებში ერქვა „ევროპული თანამეგობრობის სასამართლო“, ხოლო ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, 2009 წლიდან ეწოდება „ევროპული სასამართლო“ და აკონტროლებს წევრი ქვეყნებისა და ინსტიტუტების კანონთან შესაბამისობას. ტერმინი „ევროული სასამართლო“ აღნიშნავს ერთობლიობაში ევროკავშირის მთელ სასამართლო სისტემას, რომელშიც მოიაზრება:

1. მართლმსაჯულების სასამართლო;
2. გენერალური სასამართლო;
3. სამოქალაქო საქმეთა ტრიბუნალი.

სასამართლოს შიგა ორგანიზაცია მოიცავს 3 ძირითად ელემენტს:

1. თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა თვითონ მოსამართლეების მიერ ფარული კენჭისყრის გზით. თავმჯდომარე ახორციელებს სასამართლოს საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას, კერძოდ, იწვევს პლენარულ სხდომებს; თავმჯდომარეობს ამ სხდომებზე, საქმეებს ანაწილებს სასამართლოს პალატებს შორის, საჭიროებისამებრ აჩერებს საქმის წარმოებას და სხვ.

2. გამოყოფს 11 გენერალურ ადვოკატს (მათგან 5 წარმოადგენს დიდ ბრიტანეთს, გფრ, ესპანეთს, იტალიას, საფრანგეთს; დანარჩენი – როტაციის წესით მონაცვლეობენ და,

რომელიც მიმდინარეობს ალფაბეტის მიხედვით). მათ ევა-
ლებათ სასამართლოში განსახილველ საკითხებთან დაკავ-
შირებით საკუთარი ხედვის წარმოდგენა. პროცესი გამ-
ჭვირვალედ მიმდინარეობს და იგი ადვილად ხელმისაწ-
ვდომია ნებისმიერი პირისათვის. პირველი გენერალური
ადვოკატის უფლებამოსილების ვადაა – 1 წელი. მისი ძირი-
თადი ამოცანაა შემოსული საქმეების ცალკეულ წევრებზე
განაწილება. მისი ფუნქციაა განსახილველ საქმესთან დაკავ-
შირებით მოსაზრების წამოყენება, ასევე მას უფლება აქვს,
დაკითხოს მხარეები. გენერალური ადვოკატის მოსაზრება
ფორმალურად სავალდებულოა არაა მოსამართლისათვის,
თუმცა მას მოსამართლეები დიდ ანგარიშს უწყვენ.

3. პლენუმი და პალატები. შემოსული საქმეების გადაწ-
ყვეტის ოპერატიულობის გაზრდის მიზნით სასამართლოს
ჩარჩოში იქმნება პალატები. მნიშვნელოვანი საქმეები წყდება
სასამართლოს პლენარულ სხდომებზე.

სასამართლოს შეკრების სამი ფორმა: სრული სასამარ-
თლო - განიხილავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკით-
ხებს; დიდი პალატა (13 მოსამართლე) - იკრიბება წევრი სახე-
ლმწიფოს ან ინსტიტუტების მოთხოვნის საფუძველზე, ან
განიხილავს მნიშვნელოვან და რთულ საკითხებს; 3 ან 5
მოსამართლისგან შემდგარი პალატა - დანარჩენ საკითხებს.
(5 მოსამართლიანი პალატის პრეზიდენტს ირჩევენ 3 წლის
ვადით, ხოლო 3 მოსამართლიანი პალატის პრეზიდენტს - 1
წლის ვადით).

იურისდიქცია: დავა წევრ ქვეყნებს შორის; დავა ევრო-
კავშირსა და წევრ ქვეყნებს შორის; დავა ინსტიტუტებს შო-

რის; დავა ფიზიკურ პირებს ან კომპანიებსა და ევროკავშირს შორის; მოსაზრებები საერთაშორისო შეთანხმებებზე.

სასამართლოს მიერ განხილულ დავას შორის შეიძლება გამოიყოს ხუთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევა: 1. წინასწარი განხილვის მოთხოვნა, როცა ეროვნული სასამართლოები სთხოვენ ევროკავშირის სასამართლოს კანონის განმარტებას; 2. საჩივარი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების წინააღმდეგ ევროკავშირის კანონების გამოყენებლობის გამო; 3. საჩივარი ევროკავშირის იმ კანონების გასაუქმებლად, რომლებიც ივარაუდება, რომ არღვევენ ევროკავშირის ხელშეკრულებებსა და ფუნდამენტურ უფლებებს; 4. საჩივარი ევროკავშირის ინსტიტუტების წინააღმდეგ მათზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო; 5. ინდივიდების, კომპანიებისა და ორგანიზაციების საჩივრები ევროკავშირის გადაწყვეტილებებისა თუ ქმედებების წინააღმდეგ.

სასამართლოში საჩივრების განხილვა მიმდინარეობს ორ ეტაპად: ესაა წერილობითი და ზეპირი ეტაპები. პირველ რიგში, დავის მონაწილე მხარეებს პროცესზე პასუხისმგებელ მოსამართლესთან შეაქვთ წერილობითი განაცხადი. მოსამართლე აჯამებს ამ განაცხადს და წერს დასკვნას. მეორე ეტაპზე იწყება საქმის ზეპირი მოსმენა. საქმის სიმძიმიდან გამომდინარე, პროცესი შეიძლება გაიმართოს 3, 5, 13 ან ყველა მოსამართლის მონაწილეობით. მოსმენაში მონაწილეობენ გენერალური ადვოკატები, რომლებიც სვამენ კითხვებს და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას საქმესთან

დაკავშირებით. განაჩენის გამოტანა ხდება ხმათა უმრავლესობით და იკითხება საჯაროდ.

სასამართლოსა ოფიციალური სამუშაო ენაა ფრანგული, თუმცა სასამართლო პროცედურის დროს გამოიყენება სხვა ენებიც. ევროკავშირის სასამართლოს ასევე აქვს საკუთარი მდივანი და აპარატი. სასამართლოს დღევანდელი ფორმა 2009 წლიდან ლისაბონის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არსებობს. მისი შტაბ-ბინა ლუქსემბურგშია.

II. ევროპის აუდიტორთა სასამართლო (European Court of Auditors)

ევროპის აუდიტორთა სასამართლო ამოწმებს ევროკავშირის ფინანსებს. მისი მთავარი მიზანია, სრულყოს ევროკავშირის ფინანსური მართვა და მოამზადოს ანგარიში სახელმწიფო ფონდებიდან თანხების ხარჯვის პროცესზე. იგი შეიქმნა 1975 წელს და მდებარეობს ლუქსემბურგში.



როკავშირის ფინანსური მართვა და მოამზადოს ანგარიში სახელმწიფო ფონდებიდან თანხების ხარჯვის პროცესზე. იგი შეიქმნა 1975 წელს და მდებარეობს ლუქსემბურგში.

აუდიტორთა სასამართლოს ჰყავს დაახლოებით 800 თანამშრომელი, მათ შორის აუდიტორები, თარჯიმნები და ადმინისტრატორები. აუდიტორები დაყოფილნი არიან აუდიტორულ ჯგუფებად. ისინი ამზადებენ ანგარიშებს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სასამართლოს ჰყავს თითო წევრი ევროკავშირის ყველა ქვეყნიდან. მათი დანიშვნა ხდება საბჭოს მიერ ექვსი წლის ვადით. სასამართლოს წევრები თავიანთი შემადგენლობიდან სამი წლის ვადით ირჩევენ პრეზიდენტს.

აუდიტორთა სასამართლოს უფლება აქვს, შეამოწმოს ნებისმიერი პიროვნება თუ ორგანიზაცია, რომელიც დაფინანსებას იღებს ევროკავშირისაგან. სასამართლო ხშირად ახორციელებს ადგილზე შემოწმებას. შემოწმების შედეგად მომზადებულ დასკვნებს აუდიტორები წარუდგენენ კომისიას და ევროკავშირის ეროვნულ მთავრობებს.

აღსანიშნავია, რომ აუდიტორთა სასამართლოს არა აქვს იურიდიული უფლებამოსილება და რაიმე სახის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მან ევროპის თაღლითობასთან ბრძოლის ოფისს (the European Anti-Fraud Office – OLAF) უნდა აცნობოს.

სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ევროპის პარლამენტისა და საბჭოსათვის გასული ფინანსური წლის შესახებ ანგარიშის („წლიური ხარჯის“) წარდგენა.

აუდიტორთა სასამართლო ასევე ვალდებულია, გამოთქვას თავისი მოსაზრება ევროკავშირის ფინანსურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით და თაღლითობასთან ბრძოლის მიმართულებით.

იმისათვის, რომ სასამართლომ თავისი მოვალეობა ჯეროვნად შეასრულოს, აუცილებელია ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებისაგან სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ამავე დროს, მუდმივი კავშირი მათთან.

III. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (European Court of Human Rights)



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის 1950 წლის ადამიანის უფლებათა შესახებ

ევროპული კონვენციით (ძალაში შევიდა 1953 წელს) დაფუძნებული საერთაშორისო სასამართლო ორგანო.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ქვემოთ იხილე, დანართი) მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ მასში განსაზღვრული ძირითადი უფლებების მასშტაბებით, არამედ, აგრეთვე, ამ უფლებათა დაცვის სისტემით, რომელიც შეიქმნა სტრასბურგში, სავარაუდო დარღვევათა განხილვის და სახელმწიფოთა მიერ კონვენციის თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმიანობას შეუდგა 1959 წლიდან. თავდაპირველად, სახელმწიფოთა ვალდებულებების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ნაწილდებოდა სამ ინსტიტუტს - ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შორის. 1998 წლიდან ზემოხსენებულ პირველ ორ ინსტიტუტს ჩაენაცვლა ერთიანი, მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც არის სრულ განაკვეთზე მომუშავე სასამართლო და ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, პირდაპირ მას მიმართონ საჩივრით.

1960 წლიდან 2008 წლამდე დღემდე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა ათასობით გადაწყვეტილება (მაგალითად, 1960 – 2008 წლებში გამოიტანა – 10 000). მათი აღსრულება სავალდებულოა მოპასუხე სახელმწიფოებისათვის და შესაბამისად, აიძულებს მთავრობებს, შეიტანონ შესწორებები ეროვნულ კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში. სასამართლოს პრეცედენ-



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შენობა სტრასბურგში
არქიტექტორი ბრიტანელი ლორდ რიჩარდ როჯერსი

31

ტული სამართლის მეშვეობით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იქცა დინამიურ და მძლავრ ინსტრუმენტად ევროპაში ახალი გამოწვევებისა თუ კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის განმტკიცების მიმდინარე პროცესში.

საქართველოს ევროპულ სასამართლოში მიღებისას ხელშეკრულებით დაეკისრა ვალდებულებათა მთელი რიგის, შესრულება, რომლის რეალიზაციის შემოწმება მონიტორი-

ნგის მექანიზმით ხორციელდება. ეს ჯგუფი სისტემატურად ჩამოდის საქართველოში და ადგილზე სწავლობს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას.

სასამართლო სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში მდებარეობს, რომელიც ბრიტანელი არქიტექტორის, მრავალი მოდერნისტული და ფუნქციონალისტური პროექტის ავტორის, ლორდ **რიჩარდ როჯერსის** (Richard Rogers) მიერ 1994 წელს იქნა დაპროექტებული. სწორედ ამ, მთელს მსოფლიოში ცნობილი, შენობიდან ხდება მრავალი მილიონი ევროპელის უფლებების პატივისცემაზე ზედამხედველობა სასამართლოს მიერ, რომლებიც ევროპის საბჭოს იმ 47 წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

მნიშვნელოვანი თარიღები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ისტორიაში:

- 1949 წლის 5 მაისი - ევროპის საბჭოს შექმნა;
- 1950 წლის 4 ნოემბერი - ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მიღება;
- 1953 წლის 3 სექტემბერი - კონვენციის ძალაში შესვლა;
- 1959 წლის 21 იანვარი - ევროპის საბჭოს მრჩეველთა ასამბლეის მიერ სასამართლოს პირველი წევრების არჩევა;
- 1959 წლის 23-28 თებერვალი - სასამართლოს პირველი სხდომა;
- 1959 წლის 18 სექტემბერი - სასამართლომ მიიღო სასამართლოს რეგლამენტი;

- 1960 წლის 14 ნოემბერი - სასამართლოს გამოაქვს პირველი განაჩენი საქმეზე **ჯერარდ რიჩარდ ლოულესი** (Gerard Richard Lawless v Ireland, 1957–61) ირლანდიის წინააღმდეგ;
- 1998 წლის 1 ნოემბერი - ძალაში შედის კონვენციის მე-11 ოქმი, რომელიც აყალიბებს „ახალ სასამართლოს“;
- 2008 წლის 18 სექტემბერი - სასამართლოს გამოაქვს მე-10 000 გადაწყვეტილება;
- 2010 წლის 1 ივნისი - ძალაში შედის მე-14 ოქმი, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოს გრძელვადიანი ეფექტურობის უზრუნველყოფას.

დანართი: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები პირობას დებენ დაიცვან არა მარტო მათი მოქალაქეების, არამედ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იცავს შემდეგ უფლებებს:

- სიცოცხლის უფლება,
- საქმის სამართლიანი განხილვის უფლება,
- პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის
- უფლება,
- გამოხატვის თავისუფლება,
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება და
- საკუთრების დაცვა.

ადამიანის ფლებათა კონვენცია აწესებს შემდეგ აკრძალვებს:

- წამება და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი,
- მონობა და იძულებითი შრომა,
- სიკვდილით დასჯა,
- თვითნებური და უკანონო დაკავება და
- დისკრიმინაცია კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას.

11. ევროპის ცენტრალური ბანკი



ევროპის ცენტრალური ბანკი ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. მისი ევროპის ცენტრალური ბანკის რეზერვი 526 მილიარდ ევროს შეადგენს. ბანკის ადგილსამყოფელი გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტშია (Frankfurt am Main). ბანკი პასუხისმგებელია ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

ევროპის ცენტრალური ბანკის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს:

- ფასების სტაბილურობა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროს იყენებენ;
- ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების კონტროლის გზით შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური სისტემა.

ევროპის ცენტრალური ბანკი თანამშრომლობს ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან. ერთად ისინი ქმნიან ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას. განსაკუთრებით მჭიდროა ბანკების თანამშრომლობა ე.წ. ევროზონაში ანუ იმ 18 ქვეყანაში, სადაც ევრო ოფიციალურ ვალუტადაა გამოცხადებული. აღნიშნული ბანკების კავშირს ეწოდება „ევროსისტემა“.

ევროპის ცენტრალური ბანკი ევროზონის (ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ რიგით მეორე ეკონომიკური

ზონა) სავალუტო ეკონომიკაზე პასუხისმგებელი. ევროზონა შეიქმნა მაშინ, როდესაც 1999 წელს ევროკავშირის 11-მა წევრმა ქვეყანამ სავალუტო პასუხისმგებლობა ევროპის ცენტრალურ ბანკს გადააბარა და საერთო ვალუტად ევრო აირჩია. ევროზონას 2001 წელს საბერძნეთი შეუერთდა, 2007-ში სლოვენია, 2008-ში კვიპროსი და მალტა, 2009-ში სლოვაკეთი, ესტონეთი 2011-ში, 2014-ში ლატვია, ხოლო 2015-ში კი – ლიტვა. დღესდღეობით კიდევ ბევრი ქვეყანა ელოდება ევროზონაში შესვლას. სანამ ევროკავშირისგან იმის უფლებას მოიპოვებენ, რომ თავიანთი სავალუტო პოლიტიკა ევროპის ცენტრალურ ბანკს მიანდონ, მათ საერთო კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევთ. ევროპის ცენტრალური ბანკის უმთავრესი მიზანი არის ევროზონაში სტაბილური ბაზრისა და ინფლაციის, რაც შეიძლება დაბალი ზღვარის შენარჩუნება.

ევროპის ცენტრალური ბანკის უფლებამოსილება განისაზღვრება შემდეგი ფუნქციებით:

- ევროზონისათვის ძირითადი საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრა და ფულის მიწოდების კონტროლი;
- ევროზონის უცხოური სავალუტო რეზერვების მართვა და გაცვლითი კურსის ბალანსის შენარჩუნების მიზნით ვალუტის ყიდვა-გაყიდვა;
- ევროზონის დანარჩენი ცენტრალურ ბანკების ევროს გამოცემის უფლებით აღჭურვა;
- ფასების ტენდენციების მონიტორინგი და რისკების შეფასება;



- საგადასახადო სისტემების შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით ფინანსურ ბაზრებსა და ინსტიტუტებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობა.

ევროპის ცენტრალური ბანკის სტრუქტურა:

აღმასრულებელი საბჭო - ხელმძღვანელობს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას და შედგება 8 წლის ვადით დანიშნული 6 წევრისაგან;


მმართველი საბჭო - განსაზღვრავს ევროზონის მონეტარულ პოლიტიკასა და საპროცენტო განაკვეთებს;

გენერალური საბჭო - ხელს უწყობს საკოორდინაციო და საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებასა და ევროზონაში ახალი წევრების მიღებას.

საბჭო შედგება ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და ყველა წევრი ქვეყნის ეროვნული ცენტრალური ბანკის მმართველისაგან.

ცენტრალური ბანკი მთლიანად დამოუკიდებელია. არც მას, არც ეროვნულ ცენტრალურ ბანკებს თუ მათ მმართველ ორგანოებს არა აქვთ უფლება, მოითხოვონ ან მიიღონ რეკომენდაციები ევროკავშირის ნებისმიერი სხვა ორგა-

მარიო დრაგი

 Mario Draghi

ევროპის
ცენტრალური ბანკის
პრეზიდენტი 2011
წლის 1 ნოემბრიდან.
ვადა გაუდის 2019
წელს.



ნოსაგან. ევროკავშირის ინსტიტუტები და მთავრობები ვალდებული არიან, პატივი სცენ ამ პრინციპს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ოფიციალური ვალუტა არის ევრო (euro) – პირობითი სიმბოლო €, ან EUR. ის არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა და პროდუქციასა და მომსახურებაზე ანგარიშსწორების ოპერაციების მოცულობების მიხედვით დგას მეორე ადგილზე აშშ დოლარის

შემდეგ. ბევრმა მსხვილმა ფინანსურმა ჯგუფმა, ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელებისათვის უარი თქვა აშშ დოლარის გამოყენებაზე და გადავიდნენ ევროს გამოყენებაზე. მსოფლიო მასშტაბის ანგარიშსწორების წილი შეადგენს დაახლოებით 27 %.

ევროს შემოღების შემდეგ, იგი იქცა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სარეზერვო ვალუტად და ამჟამად ფართოდ გამოიყენება ნაციონალური ბანკების მიერ, სავალუტო რეზერვების შევსებისათვის. ბოლო მონაცემებით სარეზერვო მოცულობების თვალსაზრისით ევრო ავიწროვებს აშშ დოლარს და მისი წილი, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სავალუტო რეზერვებში დაახლოებით 26 %-ია.

ნაღდ ფულად მიმოქცევაში თითქმის 1 ტრილიონი ევროა, რაც პრაქტიკულად ნაღდ მიმოქცევაში არსებული აშშ დოლარის რაოდენობას დიდად არ ჩამოუვარდება.

არანაკლებ პოპულარობით სარგებლობს ევრო ფორექსის⁶ ბაზარზეც. სავაჭრო ოპერაციებში მისი წილი სხვადასხვა მონაცემებით 19%-დან 30 %-მდე მერყეობს. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს სავალუტო წყვილი EUR/USD, სწორედ ამ წყვილზე მოდის, ევროს მონაწილეობით განხორციელებული, ყველაზე მეტი სავაჭრო ოპერაციები. ეს გარემოება მიუთითებს მძაფრ კონკურენციაზე ამ ორ ვალუტას შორის. ევროზე განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების ძირითადი პროცენტი მოდის ფორექსის ევრო-

⁶ ფორექსი (FOREX - Foreign Exchange Market) – ბანკთაშორისი, გარე-საბირჟო ბაზარი, რომელიც ჩამოყალიბდა 1971 წელს.

პული სესიის პერიოდში. კოტირებების მიხედვით, სწორედ ამ დროს არის ბაზრის ყველაზე მეტი ვოლატილობა.⁷

ევროს ბეჭდვასა და სტაბილურობას ახორციელებს ევროპის ცენტრალური ბანკი. მის სისტემაში შედის ევროზონის ქვეყნების ყველა ნაციონალური ბანკი. როგორც აღინიშნა, ევროპის ცენტრალური ბანკი ახორციელებს რეგულაციურ ფუნქციებს და აკონტროლებს მიმოქცევაში არსებული ნაღდი ვალუტის რაოდენობას.

ევროს ისტორია. ევრო არის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ვალუტა. იგი მიეკუთვნება ე.წ. კოლექტიური ვალუტების სახეობას. მისი შემოღების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 1992 წლის 7 თებერვალს. ეს თარიღი ითვლება ევროს დაბადების დღედ.

ევროს შემოღება განაპირობა აშშ დოლარის, როგორც მსოფლიო ძირითადი ვალუტის მიმართ, ერთგვარმა უნდობლობამ. ფაქტობრივად ევრო უნდა ქცეულიყო აშშ დოლარის ალტერნატივად, რაც განხორციელდა კიდევ.

ევრო მიმოქცევაში შემოვიდა 1999 წლის 1 იანვარს. პირველ პერიოდში იგი გამოიყენებოდა უნაღდო ანგარიშსწორებისთვის, ხოლო 2002 წლის 1 იანვრიდან ევრო გახდა ნაღდი ანგარიშსწორების საშუალება. ევროზე სრული გადასვლა მოხდა 2002 წლის 1 ივნისიდან.

უნდა აღინიშნოს, 2015 წელს ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ევროზონის ფარგლებს გარეთ მომხმარებელთა ჯგუფის შეხვედრა პირველად საქართველოში გამართა, რომე-

⁷ ვოლატილობა – სავალუტო ბაზარზე აღნიშნავს გარკვეული პერიოდის მონაკვეთში ფასის მოძრაობის დიაპაზონს.

ლიც მიემდგნა საერთაშორისო რეზერვების პორტფელის მართვის სისტემასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ფორუმის მიზანი იყო რეზერვების მართვის საერთო სისტემის მქონე წევრ ცენტრალურ ბანკებს შორის თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაღრმავების ხელშეწყობა. ფორუმი წელიწადში ორჯერ იმართება და მისი ძირითადი წევრები არიან ევრო სისტემის ცენტრალური ბანკები, ხოლო ამ პროცესში საქართველო, რამდენიმე სხვა ქვეყანასთან ერთად დამკვირვებლის სტატუსითაა მიწვეული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საერთაშორისო რეზერვების მართვისთვის იყენებს იმავე სისტემას, რასაც ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროზონის ცენტრალური ქვეყნების უმრავლესობა. მსოფლიოს მასშტაბით სისტემას 30-ზე მეტი მომხმარებელი ცენტრალური ბანკი ჰყავს. 2011 წელს აღნიშნული სისტემა საქართველოშიც დაინერგა, რომლის განხორციელებაში საქართველოს ეროვნულ ბანკს დახმარება ევროპისა და სხვა ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა გაუწიეს.

12. ევროპის პოლიტიკური მმართველობის საგარეო პრიორიტეტები

ევროკავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა (CFSP) 1992 წელს მასტრიხტის ხელშეკრულებით (ევროპის კავშირის შექმნის შესახებ) შეიქმნა, რომლის მიზნებია:

- მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო უშიშროების გაძლიერება გაეროს ქარტიის შესაბამისად;
- საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განვითარება და კონსოლიდაცია და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა.

მასტრიხტის ხელშეკრულების გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებებისას ევროგაერთიანების ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა (სსუპ) ევროკავშირის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ყოფილიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ევროკავშირს, როგორც ერთობას უნდა შეემუშავებინა საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი. მოლაპარაკებებისას მწვავე დებატების საგანი გახდა საგარეო პოლიტიკის შემუშავების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროკავშირის ინსტიტუტების (მინისტრთა საბჭო, ევროპალამენტი, ევროკომისია) როლის განსაზღვრა.

მასტრიხტის ხელშეკრულებაში სსუპ-ს მე-11 მუხლი დაეთმო. მასტრიხტის ხელშეკრულების მე-4 მუხლი განმარტავს, რომ “საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება გაერ-

თიანების უშიშროებას, მათ შორის საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავებას, რამაც შესაძლოა, დროთა განმავლობაში, მიგვიყვანოს საერთო თავდაცვამდე”. ეს მუხლი მიუთითებდა, რომ არ გამორიცხებოდა მომავალში საერთო თავდაცვის შექმნის შესაძლებლობაც. მასტრიხის ხელშეკრულებაში ასევე განმარტებულია სსუპ-ის მიზნები და კომპეტენციის არეალი. ხელშეკრულება კავშირში შემავალ სახელმწიფოებს მოუწოდებდა სისტემური თანამშრომლობის დამყარებისაკენ ერთმანეთს შორის ნებისმიერ საკითხზე, რომელიც საერთო ინტერესების სფეროშია.

ხელშეკრულებაში გამოკვეთილი იყო ის ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი შეძლებდა საგარეო და უშიშროების პოლიტიკის ამოქმედებას: საერთო პოზიციები და ერთობლივი ქმედებები.

ხელშეკრულების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში საბჭოს უნდა შეემუშავებინა საერთო პოზიციები, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, რომელსაც ყველა წევრი სახელმწიფო უნდა დამორჩილებოდა. ასევე საბჭოს შეიძლება გადაწყვიტა, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით ის, რომ კავშირში შემავალი ქვეყნები შეიმუშავებდნენ საერთო პოზიციებს ამა თუ იმ საკითხის გარშემო და საჭიროების შემთხვევაში ამ პოზიციას გაამაგრებდნენ ერთობლივი ქმედებებით. ევროკავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის წარმოდგენის ფუნქცია მიენიჭა საბჭოს პრეზიდენტობას. პრეზიდენტობას ამ საქმიანობის წარმართვაში უნდა დახმარებოდა ე.წ. ტროიკა, რომელშიც შედიოდნენ საბჭოს უკანასკნელი, მიმდინარე და მომავალი პრეზიდენტი

ქვეყნები. 90-იან წლებში ტროიკის ინსტიტუტმა მოდიფიკაცია განიცადა. დღესდღეობით ტროიკა დაკომპლექტებულია მიმდინარე პრეზიდენტი ქვეყნით, საგარეო პოლიტიკის საკითხების ევროკომისრით და საგარეო და უშიშროების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტით.

ამსტერდამის ხელშეკრულებაში (1997 წ.) ჩაიდო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება სსუპ-სთან დაკავშირებით, რათა იგი უფრო ეფექტური და ქმედითი სფერო გახდარიყო. უპირველეს ყოვლისა, შემოღებული იქნა კიდევ ერთი ინსტრუმენტი – საერთო სტრატეგია. ამსტერდამის ხელშეკრულების თანახმად, საბჭოს აქვს უფლება განსაზღვროს, კონსენსუსით, საერთო სტრატეგია იმ სფეროებში, რომლებიც წევრი ქვეყნების საერთო ინტერესს წარმოადგენს. დღესდღეობით ევროკავშირმა შეიმუშავა სულ რამდენიმე საერთო სტრატეგია, მათ შორის საერთო სტრატეგია რუსეთის, ახლო აღმოსავლეთის და უკრაინის მიმართ. ამსტერდამის ხელშეკრულების შედეგად ევროკავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ოფისი შეიქმნა, რომლის დანიშნულებას ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინირება და გარდამავალი თავმჯდომარეობის შესაბამისად ევროკავშირის სახელით საგარეო პოლიტიკის შეთანხმებული საკითხების გახმოვანება წარმოადგენს.

როგორც აღინიშნა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის პრინციპებსა და ზოგად დირექტივებს განსაზღვრავენ. ამის საფუძველზე მინისტრთა საბჭო „ერთობლივ ქმედებებს“ ან „საერ-

თო პოზიციებს“ გამოიმუშავეს. მთავარ კომპონენტს საერთო უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა წარმოადგენს.

2009 წლის 1 დეკემბერს ლისაბონის ხელშეკრულება ამოქმედდა. ამ ხელშეკრულების შესაბამისად დაარსდა თანამდებობა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში.

ეს თანამდებობა საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკისთვის საბჭოს წარმომადგენელის, საგარეო საქმეთა საბჭოს პრეზიდენტისა და კომისიის ვიცე-პრეზიდენტის ფუნქციებს მოიცავს. როგორც აღინიშნა, **ამჟამად ეს თანამდებობა ფედერიკა მოგერინის უკავია**. ეს ინიციატივა ემსახურება საგარეო საქმეებში ევროკავშირის კონსოლიდირებულ და ერთიან ქმედებებს.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისა და ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულების შინაარსი და ხარისხი განსაზღვრავს პლანეტაზე მიმდინარე პროცესებს, რომლებიც მსოფლიოს ცვლიან და უზარმაზარი გავლენა აქვთ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ცხადია, ევროპული სახელმწიფოების საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის ჩამოყალიბება მეტად აქ-



ფედერიკა მოგერინი
(Federica Mogherini) იტალიელი ევროპოლიტიკოსი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში 2014 წლის 1 ნოემბრიდან. ეს თანამდებობა მოიცავს საგარეო საქმეთა საბჭოს პრეზიდენტისა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის ფუნქციებსაც.

ტულური პრობლემა და დიდ ყურადღებას მოითხოვს. გარკვეულწილად მასზე დამოკიდებულია მომავალი მსოფლიოს ბედიც.

ინფორმაციულ ეპოქაში დისტანცია, მანძილი წაიშალა, გაქრა, საინფორმაციო-ტექნოლოგიური, კულტურული და სხვა საშუალებები ხელმისაწვდომი გახდა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხეში, მაგრამ ამასთანავე ისინი ადვილად გამოიყენება ტერორისტების, ორგანიზებული დანაშაულის წევრების, ნარკობარონებისა და სხვა დამნაშავეების მიერ.

„ახლადჩამოყალიბებული“ მსოფლიოს საფრთხე და მუქარა აშკარაა. ეს ნათლად წარმოჩინდა ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტების შემდეგ.

ტერორისტები კარგად სარგებლობენ დასავლური საზოგადოების თავისუფლებით, ახალი შესაძლებლობებით, რომლებსაც ინფორმაციული ტექნოლოგიები გთავაზობენ, ასევე გლობალური მოძრაობის მზარდი თავისუფლებით.

საერთაშორისო საზოგადოება უნდა გაერთიანდეს ტერორიზმის წინაღმდეგ ბრძოლაში; ეს გლობალური მუქარაა, რომელიც თითოეულ ადამიანს უქმნის საფრთხეს.

ურთიერთდამოკიდებულების გააზრება კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ მშვიდობა, უშიშროება, თავისუფლება და კეთილდღეობა არ არის თვითკმარი ცნებები. ეს იდეები არ შეიძლება არსებობდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

21-ე საუკუნის უდიდესი გამოწვევა იქნება საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურირება დემოკრატიული

გზით. უკვე ითქვა, რომ დემოკრატია რეალპოლიტიკის (real-politik) ახალი ფორმაა, რადგან მხოლოდ ამ სისტემას ძალუმს გრძელვადიან პერიოდში ჩვენი ფასეულობების დაცვა.

საერთაშორისო ურთიერთობებში კანონის უზენაესობის ეპოქა დაიწყო. ევროკავშირი ევროპული საზოგადოების პოლიტიკური და ნორმატიული ლეგიტიმაციის ხელშემწყობია. ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის როლი აშკარაა საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობის დამყარების საქმეში, რადგანაც ამას მოწმობს სახელმწიფოთა გაერთიანების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ევროკავშირის საგარეო და უშიშროების პოლიტიკა (სსუპ) დახასიათება შეუძლებელია ორი მიმდინარე პროცესის აღნიშვნის გარეშე, რომელიც ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარეობს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის მომავალს:

- კონვენცია ევროპის მომავლისათვის (Convention on the Future of Europe);
- ევროგაერთიანების გაფართოება.

ევროგაერთიანება „არსებული პროექტია“, ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც რეაგირებს ყოველდღიურ საკითხებსა და საშუალო ან გრძელვადიან გამოწვევებზე, რომლებსაც საერთაშორისო დღის წესრიგი გვთავაზობს. დიდი ყურადღება ეთმობა ე.წ. კონვენციას ევროპის მომავლისათვის, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც ევროკავშირის კონსტიტუცია.

ამ დოკუმენტს, რომლის საბოლოო ვარიანტზე ჯერ კიდევ მუშაობენ, ისეთივე სტრუქტურა და შინაარსი ექნება, როგორც ტრადიციულ კონსტიტუციას, მას თან დაერთვება უფლებათა დეკლარაცია და ძირითადი წესების პაკეტი, რომელიც ნათლად განსაზღვრავს მთავარი ინსტიტუტების როლსა და ფუნქციას.

კონსტიტუციის ტექსტი ევროპელ მოქალაქეებს საშულებას მისცემს უფრო კარგად გაიგონ რა არის ევროკავშირი, როგორ მოქმედებს იგი და რა შეუძლია მას გააკეთოს მათთვის. ტექსტი ასევე განამტკიცებს უკვე არსებული კუთვნილების გრძნობას.

საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ახლო მეზობლებთან მიმართებით, ევროგაერთიანების საქმიანობის მამოძრავებელი ძალა არის ევროკავშირის გაფართოება. მისი მნიშვნელობა მომდინარეობს იმ გავლენიდან, რომელიც ევროგაერთიანების გაფართოებას ექნება ევროკავშირის ფორმაზე. ამასთანავე პრინციპიდან, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს გაფართოება.

გაფართოება პრაქტიკული ხორცშესხმაა ევროკავშირის პროექტისა, რომლის მიხედვითაც ევროკავშირი არის დემოკრატიული, თავისუფალი და კეთილდღეობის გაერთიანება. ეს ფასეულობები შეიძლება სტაბილურად განვითარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეზობელი სახელმწიფოები ჩართული იქნებიან გაფართოების მიმდინარე პროცესში.

ევროპა არ არის მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე. იგი დაფუძნებულია ისეთ ფასეულობებზე, როგორცაა: დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანთა უფლებების დაცვა,

ამასთანავე ხდება პოლიტიკისა და რელიგიის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ეს ფასეულობები არ მომდინარეობენ ცალკეული რელიგიიდან თუ კულტურიდან, არამედ კანონისა და მოქალაქეობის გაზიარებული ხედვიდან.

ყოველ შემთხვევაში, ის ვინც აცხადებს, რომ ევროკავშირის საგარეო და უშიშროების პოლიტიკის (სსუპ) დამოკიდებულებები უბრალოდ რეაქტიულია, თუნდაც პასიური, ივიწყებს, რომ ყველა წევრი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კოორდინირება და ერთობლივი განხორციელება არ არის იოლი საქმე. ისინი ასევე ივიწყებენ, რომ მიუხედავად სირთულეებისა, სსუპ-ი ნელ-ნელა, მაგრამ დამაჯერებლად ვითარდება.

უფრო მოქნილი საგარეო პოლიტიკის მისაღწევად, უნდა შეიქმნას ჰარმონიზებული სისტემები, რომლებიც განამტკიცებენ საერთო ფასეულობებს და ინტერესების დაცვის მექანიზმებს ისე, რომ თითოეული წევრი სახელმწიფო სსუპ-ს განიხილავდეს, როგორც საკუთარ საგარეო პოლიტიკას, როგორც გადაწყვეტილებებისა და ქმედებების საერთო საკუთრებას. ამ კონტექსტში კონსენსუსის ჩანაცვლება კვალიფიციური უმრავლესობით ძირითად როლს შეასრულებს.

ევროკავშირმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს ის ინსტრუმენტები, რომლებიც უკვე არსებობს და გამოყენებადია. პრეზიდენტობის არსებული სისტემა უნდა შეიცვას უფრო მოსახერხებელი და მოქნილი მექანიზმებით, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობებსა და ღია, გლობალიზებული მსოფლიოს სირთულეებს. საგარეო ურთიერთობათა კომისრისა და სსუპ-ის მაღალი წარმომად-

გენლების როლი უნდა გადაიხედოს. ამ ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, ინსტიტუციური ბალანსი შენარჩუნდება.

მეოცე საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროკავშირი მტკიცედ მისწრაფის წინ ზოგადსაკაცობრიო იდეალების დასამკვიდრებლად. საფრთხე და მუქარა შეიქვალა, მაგრამ უკეთესი მომავლისათვის თანამშრომლობის სურვილი უცვლელი დარჩა.

13. უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა ევროპის პოლიტიკური მმართველობის სისტემაში



ევროპის კავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია საერთო უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა (Common Security and Defence Policy). მისი დანიშნულებაა ევროკავშირის ოპერატიული შესაძლებლობების უზრუნველყოფა სამოქალაქო და სამხედრო საშუალებების გამოყენების გზით.

საერთო უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ამოცანებია:

- განიარაღების ერთობლივი ღონისძიებები;
- ჰუმანიტარული ხასიათის ღონისძიებები;
- სამაშველო ღონისძიებები;
- მშვიდობის შენარჩუნების ღონისძიებები;
- კრიზისული სიტუაციების მართვის ფარგლებში შეიარაღებული ძალების გამოყენება, მათ შორის, მშვიდობის დამყარების ღონისძიებები და პოსტკონფლიქტური სიტუაციების მართვა;
- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ევროკავშირის ისტორიული განვითარების გზაზე სამხედრო პოტენციალის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ცხადია, რომ მხოლოდ დიპლომატიური საქ-

მიანობა და soft power-ის (რბილი ძალის) გამოყენება არ იყო საკმარისი მსოფლიოში არსებული ახალი გამოწვევების წინააღმდეგ.

ევროკავშირის სურვილი იყო საკუთარი სამხედრო პოტენციალით დაეცვა სტაბილურობა და უშიშროება რეგიონში და არა მარტო იქ. ეს საკითხი დღემდე აქტუალურია. მაგალითად, ევროკომისიის თავჯდომარე *ჟან-კლოდ იუნკერი* 2015 წელს ევროპული არმიის შექმნის ინიციატივით გამოვიდა: „მსგავსი არმია საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის შექმნას, ამასთან მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე ევროპას პასუხისგებლობის აღებას შეუწყობს ხელს. მსგავსი არმიის მეშვეობით ევროკავშირის წევრი ქვეყნები საფრთხის შემცველ მოვლენებზე რეაგირებას მოახერხებენ. ამგვრად, ევროპა რუსეთს მიახვედრებს, რომ ჩვენ ევროკავშირის ფასეულობების განმტკიცებას სერიოზულად ვუდგებით“. უცხოური მედიის ინფორმაციით, *იუნკერის* წინადადება მ ბუნდესგალის დეპუტატებში მხარდაჭერა უკვე მოიპოვა. ბუნდესტაგის საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავჯდომარის *ნორბერტ რიოტგენის* (Norbert Röttgen) აზრით „მსგავსი არმიის შექმნის დრო დადგა“.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ (1991), აშშ და ევროპის ქვეყნები ახალი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ: ტერორიზმი, ეთნიკური კონფლიქტები, მასობრივი განადგურების იარაღი - ამ ყველაფრის წინააღმდეგ საჭირო იყო უფრო ქმედუნარიანი სამხედრო პოტენციალის ფლობა, ევროკავშირს კი არ შეეძლო დამოუკიდებლად უზრუნველყო საკუთარი უშიშროება.

ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის ჩამოყალიბების იდეა ძირითადად ორმა ფაქტორმა განაპირობა.

90-იან წლებში ევროპაში დესტაბილიზაციისა და კონფლიქტის კერებმა იფეთქა - ბოსნია-ჰერცეგოვინასა და კოსოვოში.

ევროპის თავდაცვაში შეერთებული შტატების წილის შემცირებამ საჭირო გახადა ევროპელთა ძალისხმევის ზრდა საკუთარი თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

მოგვიანებით გამოიკვეთა ნატო-ს მოქმედების შესაძლებლობათა საზღვრებიც, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი თავის თავდაცვით მოვალეობებს მხოლოდ საგარეო საფრთხის შემთხვევაში აღიარებდა.

ამასთანავე, თანდათან გაჩნდა ევროპისათვის ისეთი საერთო პოლიტიკური ერთეულის შექმნის აუცილებლობა, რომელიც ევროპის უშიშროების უზრუნველყოფაზე იქნებოდა ორიენტირებული.

1994 წელს ბრიუსელში ნატო-ს საბჭომ აღიარა ევროპული უშიშროებისა და თავდაცვის შექმნის აუცილებლობა. შესაბამისად, 1996 წელს ბერლინში ნატო-ს საბჭოზე მოწონებული იქნა შერეული ერთობლივი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების იდეა.

ალიანსის ლიდერებმა შეიმუშავეს კონცეფცია, რომლის თანახმადაც ნატო-ს სამხედრო საშუალებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ევროკავშირის წარმოებულ ოპერაციებში.

1998 წელს გამართული სენტ მალოს შეხვედრა ისტორიაში შესულია, როგორც გადამწყვეტი მომენტი ევროკავშირის საერთო თავდაცვის აღორძინების საქმეში.

ევროკავშირს ესაჭიროებოდა თავისი „ხისტი ძალის“ განვითარება და აქედან საფუძველი ჩაეყარა საერთო თავდაცვას ანუ CSDP-ის.



სუთპ–ის (CSDP) სტრუქტურა:

პოლიტიკური და უშიშროების კომიტეტი (COPS) – მდებარეობს ბრიუსელში, წარმოდგენილია ელჩებით წევრი ქვეყნებიდან და მონიტორინგს ახორციელებს კრიზისის მენეჯმენტის ოპერაციებზე.

ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი (EUMC) – სამხედრო სახის რჩევებს და რეკომენდაციებს აძლევს COPS-ს, წარმოდგენილია წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების წარმომადგენლებით.

ევროკავშირის სამხედრო შტაბი (EUMS) - მისი მოვალეობაა სტრატეგიული დაგეგმვა, სიტუაციის შეფასება, ადრეული გაფრთხილება. უწევს მეთვალყურეობას ოპერაციებს, ევროკავშირის სამხედრო მისიებს.

კრიზისების მენეჯმენტის სამოქალაქო ასპექტების კომიტეტი (CIVCOM) - წარმოდგენილია წევრი ქვეყნებით და მოიცავს ESDP-ის სამოქალაქო საკითხებს.

ევროპის თავდაცვის სააგენტო (EDA) - მდებარეობს ბრიუსელში. ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანაა მასში დანიის გარდა. მისი ფუნქციებია ევროკავშირის თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება. თავდაცვის კვლევების და ტექნოლოგიების განვითარება.

ამ ყველაფრის შემდეგ, ევროპა დადგა კონკრეტული ამოცანების წინაშე, 2003 წელს, როცა მას მოუწია რამდენიმე ოპერაციის განხორციელება.

ევროკავშირი ჩაერთო სამხედრო ოპერაციებში. ეს იყო ბოსნიაში, კონგოში, მაკედონიაში (იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა). მოგვიანებით ESDP ჩაერთო ავღანეთში (ცენტრალური აზიის სამხრეთში ისლამური სახელმწიფო), ერაყში (დასავლეთ აზია), ჩადიში (რესპუბლიკა საჰარის უდაბნოში).

ევროკავშირის სამხედრო პოტენციალის შეფასებისას გასათვალისწინებელია თავდაცვის ხარჯები. აღსანიშნავია, რომ ძირითადი ხარჯებო მოდის 3 დიდ ქვეყანაზე: საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი - მთელი ხარჯების 60%, თუ იტალიასაც დავუმატებთ - 75% ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის.

ევროკავშირი საკმაოდ სოლიდურ თანხებს ხარჯავს თავდაცვასა და სამხედრო პოტენციალის ამაღლებაზე.

2004 წელს შეიქმნა სამხედრო ოპერაციების დაფინანსების სპეციალური მექანიზმი ATHENA, რომლის მეშვეობითაც ფინანსდება ოპერაციების საერთო ხარჯები:

ტრანსპორტის;

კომუნიკაციების;

ინფრასტრუქტურის;

საცხოვრებელი ადგილის;

ადგილობრივი პერსონალის და სხვ.

ევროკავშირის საპოლიციო მისია (EUPM):

ბოსნია-ჰერცეგოვინაში

ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, ბოსნიაში დაიწყო არეულობა და სამხედრო შეტაკებები. 1995 წელს ხელი მოეწერა დეიტონის ხელშეკრულებას, რის შედეგადაც ბოსნიაზე გავრცელდა გაეროს მანდატი და იქ შევიდნენ გაეროს საერთაშორისო საპოლიციო ამოცანების ძალები, რომლის მისიაც სტაბილურობის შენარჩუნება იყო, სწორედ ეს მისია ჩაანაცვლა ევროკავშირმა 2003 წლის 1 იანვარს.

495 პოლიციის ოფიცერი და დამატებით 59 თანამშრომელი ასრულებდა ამ მისიას. ისინი რეგიონში ამყარებდნენ სტაბილურობას, მონიტორინგის გამოძიებისა და დაკვირვების საშუალებით. 495 პოლიციის ოფიცერთაგან 80% იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ, ხოლო 20% სხვა ქვეყნების მიერ წარგზავნილი.

კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად ევროკავშირის საპოლიციო მისიამ (EUPM), ასევე განახორციელა სხვა კონკრეტული პროგრამები:

THE CRIME POLICE PROGRAM - ამ პროგრამის მიზანი იყო ადგილობრივი საპოლიციო ძალების რეფორმირება და პოლიციელთა მომზადების დონის ამაღლება, რათა ჩამოყალიბებულიყო თანამედროვე, ადეკვატური და პროფესიონალური საპოლიციო ძალები.

THE CRIMINAL JUSTICE PROGRAM - მიზანი იყო ჩამოეყალიბებინა თანამედროვე სასამართლო პოლიცია, რათა იგი ყოფილიყო მედიატორი (დამაკავშირებელი) სასამართლოსა და საპოლიციო ძალებს შორის.

THE PUBLIC ORDER AND SECURITY PROGRAM- პოლიციის შესაძლებლობების გაძლიერება სოციალური უწყესრიგობის აღსაკვეთად. ეს ფინანსდებოდა ევროკავშირის საერთო ბიუჯეტიდან, ხოლო დამატებითი თანხები გადანაწილებული იყო მონაწილე ქვეყნებს შორის.

CONCORDIA - სამხედრო მისია მაკედონიაში

მაკედონიის მიწვევით, ევროკავშირმა თავის თავზე აიღო ნატოს მისია - უსაფრთხო გარემოს შექმნა. 36 სახელმწიფომ, მათ შორის ევროკავშირის თითქმის ყველა წევრმა (დანისა და ირლანდიის გამოკლებით) გააგზავნეს 350 მსუბუქად შეიარაღებული სამხედრო პირი. ეს ძალები პატრულირებდნენ მაკედონიის ალბანელებით დასახლებულ იმ ტერიტორიებში, რომლებიც ესაზღვრებოდნენ ალბანეთსა და სერბეთს.

ამ მისიას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ნატო-ს წევრი ქვეყნებისაგან (განსაკუთრებით აშშ-გან). მისია გათვალისწინებული იყო 6 თვეზე, თუმცა მაკედონიის ხელმძღვანელობის მოთხოვნის შედეგად იგი გაგრძელებულ იქნა კიდევ 5 თვით, ხოლო შემდეგ ჩანაცვლებულ იქნა ევროკავშირის საპოლიციო მისიით, სახელწოდებით - PROXIMA, რომელიც ეხმარებოდა მაკედონიის საპოლიციო ძალებს ორგანიზებულ კრიმინალთან ბრძოლაში, ევროპული სტანდარტების დამკვიდრებაში, კანონისა და წესრიგის დაცვასა და საპოლიციო ძალების რეფორმირებაში. მისია დაიწყო 2003 წლის 15 დეკემბერს და დასრულდა 2005 წლის 14 დეკემბერს.

ARTEMIS - სამხედრო მისია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

2003 წლის ივნისში საკუთარი სამხედრო შესაძლებლობების გამოცდისათვის ევროკავშირმა გაგზავნა თავისი სამშვიდობო ძალები (2000 სამხედრო პირი) კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც უკვე 2 თვე მიმდინარეობდა ადგილობრივ სამხედრო დაჯგუფებებს შორის შეტაკებები, რისი შედეგიც იყო ასობით ადამიანის სიკვდილი და ათასობით ადამიანის იძულებითი გადაადგილება.

ეს იყო პირველი მისია ევროკავშირის ისტორიაში, რომელიც ჩატარდა ნატო-ს დახმარების გარეშე. მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის არაწევრმა ქვეყნებმაც: ბრაზილია, სამხრეთ აფრიკა და კანადა. ამ პერიოდში ევროკავშირის ძალებს ევალეზობდათ სიტუაციის სტაბილიზირება, ჰუმანი-

ტარული მდგომარეობის გამოსწორება, დევნილთა და მოქალაქეთა დაცვა, აეროპორტების უსაფრთხოება. მისია დამთავრდა 2003 წლის სექტემბერში, როდესაც ევროკავშირის ძალები ჩაანაცვლა გაეროს ძალებმა.

ევროკავშირის კანონთა უზენაესობის მისია კოსოვოში – EUROPEAN UNION RULE OF LAW MISSION IN KOSOVO

არის ყველაზე დიდი სამოქალაქო მისია ESDP-ის ფარგლებში, რაც გულისხმობს კოსოვოს ხელმძღვანელობის დახმარებას ისეთი სფეროების რეფორმირებაში, როგორცაა პოლიცია, სამართალდაცვა და ა.შ. მისიაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 1900 საერთაშორისო პოლიციის ოფიცერი, მოსამართლე, პროკურორი და ა.შ. მანდატი მინიჭებული აქვს 2 წლით, მაგრამ დამთავრებულად ჩაითვლება, როდესაც კოსოვოს ხელმძღვანელობა სრული გამოცდილებასა და ცოდნას მიიღებს, რათა ქვეყანაში კანონის უზენაესობა უზრუნველყოს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია – EUUM - EUROPEAN UNION MONITORING MISSION

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია არის პროგრამა, შექმნილი ევროკავშირის მიერ 1991 წლის ივლისში. თავდაპირველად იგი ითვალისწინებდა საზღვრებისა და ეთნოსებს შორის ურთიერთობების კონტროლს, დევნილთა უშიშროებას, პოლიტიკური ვითარების სტაბილიზირებას - ყოფი-

ლი იუგოსლავიისა და ბალკანეთის ტერიტორიაზე. თუმცა, 2008 წელს მათ საქართველოც მიემატა.

2008 წლის 15 სექტემბერს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა ავტონომიური სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია საქართველოში. ეს მისია დაიწყო 2008 წლის 1 ოქტომბერს და მისი მიზანია: დაკვირვება, რათა სრულიად იქნეს შესრულებული 2008 წლის 12 აგვისტოს *ნიკოლა სარკოზისა და დიმიტრი მედვედევის* მიერ ხელმოწერილი 6-პუნქტიანი ხელშეკრულება (ცეცხლის შეწყვეტა და მანამდე საქართველოს ტერიტორიის რუსული შეიარაღებული ძალებისაგან სრული გათავისუფლება). სიტუაციის სტაბილიზაცია და დევნილების დაბრუნება საკუთარ სახლებში.

ამჟამინდელ მდგომარეობას ასახავს გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსში“ 2016 წლის 25 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატია, რუსეთის „გაყინულ ზონაში“, მცოცავი საზღვარი საქართველოსთან, რომელშიაც ნათქვამია: "ევროკავშირი, რომელსაც დაახლოებით 200 დამკვირვებელი ჰყავს საქართველოში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დამასრულებელ შეთანხმებაზე დასაკვირვებლად, ასევე აცხადებს, რომ ფაქტობრივი საზღვარი არ არსებობს, არის მხოლოდ „ადმინისტრაციული საზღვარი“.

კიასტუტის იანკაუსკასი, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ძნელია იმის გაგება, თუ ზუსტად სად გადის ადმინისტრაციული საზღვრის ეს ხაზი. იგი არასდროს ყოფილა აღიარებული ან შეთანხმებული, და მისი ადგილმდებარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი რუკები გამოიყენება. რუსე-



სერგეი პონომოროვივის მიერ „ნოუ იორკ თაიმსისთვის“ გადაღებულ ფოტოზე მოჩანს ევროკავშირის დამკვიდრებლები საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი თვითგამოცხადებული რეგიონის გამყოფი ხაზის აღმნიშვნელი ახლად დაყენებული მაგთულხლართების მახლობლად.

თი, მისი თქმით, იყენებს 1980-იან წლებში საბჭოთა სამ-

ხედრო გენერალური შტაბის მიერ შედგენილ რუკას."

როგორც აღინიშნა, ESDP-ის წარმატებით ახორციელებს სამოქალაქო, სამხედრო და სამოქალაქო-სამხედრო მისიებს. ევროკავშირს უნდა წარმოაჩინოს თავი გავლენიან ძალად საერთაშორისო სისტემაში და კონკურენცია გაუწიოს აშშ-ს მსოფლიო ლიდერობაში. ESDP-ის პროგრესს მომავალში აუცილებლად ექნება გავლენა აშშ-თან ურთიერთობებზე. ESDP-ის განვითარებით ევროკავშირის საშუალება ეძლევა, განახორციელოს ის პოლიტიკური მიზნები, რომლებსაც არ ან ვერ ხელეწიფებს ბოლომდე აშშ. მაგალითად, აშშ და ევროკავშირი ორივე ასახელებს ტერორიზმს საფრთხედ, მაგრამ გამოყოფენ მასთან ბრძოლის განსხვავებულ საშუალებებს. მაგალითად, ევროკავშირი ტერორიზმის მიზეზად ასახელებს სიღარიბეს, სტრესს და ა.შ.

ევროძალები EUFOR

ევროძალები (ინგლისურ ენაზე – EUFOR ანუ **European**

Union Force) ეწოდება ევროკავშირის სწრაფი რეაგირების ძალებს, რომელიც ნაწილია უშიშროებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკისა. ევროძალები ემორჩილება ევროკავშირის სამხედრო შტაბს და ავსებენ ევროკავშირის სხვა შეიარაღებულ ძალებს, როგორცაა ევროპული კორპუსი, ევროპული ჟანდარმერიის ძალები, ევროპის საზღვაო ძალები, ევროკავშირის საბრძოლო ჯგუფები.


როგორც აღინიშნა: ევროძალები მონაწილეობდნენ კონფლიქტებში: მაკედონიის 2003 წლის მარტი–დეკემბერი

(„თანხმობა“), ბოსნია–ჰერცეგოვინაში 2004 წლიდან („ალ-ტეი“), კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 2006 წელს, ჩადში და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2007 წლიდან...

14. ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა

ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა არის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს და მიზნად ისახავს მომავალ შესაძლებლობებს, არა წარსულის პრობლემების კომპენსაციით, არამედ გამოუყენებელი პოტენციალის მობილიზებით.

ევროპული რეგიონული განვითარების პოლიტიკა დაფუძნებულია პოლიტიკურ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც მდიდარმა ქვეყნებმა და რეგიონებმა უნდა შეინარჩუნონ სოლიდარობა შედარებით ღარიბ ქვეყნებთან და რეგიონებთან მიმართებით.



ევროპის რეგიონული ისტორია იწყება ერთიანი ევროპის ისტორიასთან ერთად. 1957 წელს **რომის ხელშეკრულების** დადების შემდეგ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იქცა ჰარმონიული ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშეწყობა.

1969 წლის **ჰააგის სამიტზე** დაისვა საკითხი, რათა მიღებულიყო ზომები მზარდი რეგიონული განსხვავებების აღმოსაფხვრელად. 1971 წელს ევროკომისიამ რეკომენდაცია მისცა საბჭოს, რომ რეგიონებისათვის გაწეული დახმარება უნდა ყოფილიყო ტრანსპარენტული ხასიათის და რომ განსხვავება უნდა ასახულიყო გაერთიანების მდიდარი და ღარიბი რეგიონებისთვის გაწეულ დახმარებებში.

თვით ტერმინი „რეგიონული პოლიტიკა“ შემოღებული იქნა 1972 წელს რეგიონების განვითარების ევროპული ფონდის შექმნასთან ერთად.

1972 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეგიონული პოლიტიკის ინიციატივა, ხოლო 1972 წლის **პარიზის სამიტზე** ახალი წევრებიც ჩაერთვნენ დისკუსიაში.

ჯორჯ ტომსონის ისტორიული მოხსენება

1972 წელს გამოქვეყნდა გაერთიანების რეგიონული პოლიტიკის ბრიტანელი კომისარის **ჯორჯ ტომსონის** (George Thomson, Baron Thomson of Monifieth, 1921 – 2008) მოხსენება. წარმოდგენილი იყო თანამეგობრობის ქვეყნების 9 რეგიონის განვითარების შედარებითი ანალიზის შედეგები. გამოკვლეული იყო რეგიონული პრობლემების ბუნება და სტრუქტურა

მოხსენებაში აღინიშნა, რომ ზოგიერთი რეგიონის ჩამორჩენილობა აფერხებდა გაერთიანების ეკონომიკურ განვითარებას და ძლიერი რეგიონების ეკონომიკურ გავლენას ამ რეგიონებზე.

მოხსენებაში ხაზგასმული იყო, რომ წევრი სახელმწიფოების ძალისხმევა შეექმნათ ერთიანი სავალუტო კავშირი, შეიძლება ფუჭი აღმოჩენილიყო, თუ არ მოხდებოდა რეგიონებს შორის უთანასწორობის აღმოფხვრა.

1967–1985 – ევროკომისიის ფარგლებში რეგიონული პოლიტიკის გენერალური დირექციის შექმნა; ევროპის სოციალური ფონდის (FSE) აქტივაცია; რეგიონული განვითარების ევროპული ფონდის შექმნა.

1985–1989 – გარდამავალი ეტაპი – ხმელთაშუა ზღვის ინტეგრირებული პროგრამების შექმნა (PIM), რომლის მიზანი იყო ესპანეთისა და პორტუგალიისათვის ევროპის ეკონომიკურ კავშირში შესვლისთვის ხელშეწყობა. ამ მიზნით, კონკრეტული რეგიონების დასახმარებლად, რამდენიმე წლით უნდა გაეერთიანებინათ სხვადასხვა ფონდი.

1989–1993 და 1994–1999 – რეგიონული პროგრამების დაფინანსება გაორმაგდა. ფინანსური სახსრების საერთო ჯამმა 1999 წელს შეადგინა 32,7 მილიარდი ეკიუ.

1999 წელს რეგიონული პოლიტიკის გამტარებელ ფონდებთან დაკავშირებით მიღებულ იქნა ახალი კანონი, რომელმაც რეგიონული პოლიტიკის მიზნების რაოდენობა 6–დან სამამდე შეამცირა:

მიზანი 1: ჩამორჩენილი რეგიონების განვითარებისათვის ხელშეწყობა;

მიზანი 2: ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების მხარდაჭერა ტერიტორიებზე, რომლებიც წააწყდნენ სტრუქტურულ პრობლემებს;

მიზანი 3. განათლების, პროფესიული მომზადებისა და დასაქმების პოლიტიკის სისტემების მოდერნიზაცია.

ამ სამ პრინციპზე იყო დაფუძნებული 2000–2006 წლების რეგიონული პოლიტიკის ბიუჯეტი. 15 სახელმწიფომ ერთსულოვნების პოლიტიკის ფარგლებში მიიღო 2013 მილიარდი ევრო.

2004 წელს მოხდა ევროკავშირის ყველაზე დიდი გაფართოება მთელი ისტორიის მანძილზე. ახალ ქვეყნებს 2004–2006 წლებში დამატებით გამოუყვეს 22 მილიარდი ევრო. 2007–2013 წლების ბიუჯეტში რეგიონულ პოლიტიკისათვის ჩაიდო 347 მილიარდი ევრო.

2006 წელს ერთსულოვნების პოლიტიკის პრინციპები კვლავ გადაიხედა და ასეთი სახე მიიღო:

მიზანი 1 – დაახლოვება: დახმარების გაწევა იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთა მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 75%-ზე ნაკლებს ევროკავშირის საშუალო დონესთან შედარებით.

მიზანი 2 – რეგიონული კონკურენტუნარიანობა და დასაქმება: გამოიყენება ყველა სხვა ევროპული რეგიონისათვის.

მიზანი 3 – ევროპული ტერიტორიული თანამშრომლობა: საზღვრებშორისი და რეგიონთაშორისი თანამშრომლობისთვის მხარდაჭერა.

2007–2013 წლებში ერთსულოვნების პოლიტიკისაგან ყველაზე მეტი მიიღეს: პოლონეთმა (67,3 მილიარდი ევრო), ესპანეთმა (35,2), იტალიამ (28,8), ჩეხეთმა (26,7), გერმანიამ (26,3), უნგრეთმა (25,3).

2014–2020 წლების ბიუჯეტის მიხედვით ერთსულოვნების პოლიტიკა მიიღებს 325 მილიარდ ევროს 2011 წლის ფასებში (366,8 მილიარდი მიმდინარე ფასებით). ამ ბიუჯეტით გათვალისწინებულია ეკონომიკური ზრდის ამაღლება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კლიმატის ცვლილებებთან, ენერგეტიკულ დამოკიდებულებასა და სოციალურ პრობლემებთან ბრძოლა.

რეგიონალური განვითარების ფონდის საქმიანობა მიმართულია 4 პრიორიტეტისაკენ: ინოვაციები და გამოკვლევები, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, მცირე და საშუალო წარმოებისა და ნაკლებ ნახშირბადიანი ეკონომიკისათვის მხარდაჭერა.

ინვესტიციები ჩაიდება ევროკავშირის ყველა რეგიონში, მაგრამ მათი განვითარების დონის გათვალისწინებით. ქვეყნები დაყოფილია სამ ჯგუფად:

- ნაკლებად განვითარებული ქვეყნები (მშპ 75%–ზე ნაკლები საშუალოსთან).
- გარდამავალი ქვეყნები (მშპ 75% და 90% საშუალოსთან კავშირში).
- განვითარებული ქვეყნები (მშპ 90%–ზე მეტი).

როგორც დავინახეთ, ევროპული ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპზე, ძირითადად, პროექტების დაფინანსება ხდებოდა ეროვნული სახელმწიფოების ფარგლებში და რე-

გიონული პრობლემები არ იყო პოლიტიკურად მთლიანობაში გააზრებული. შესაბამისად, საზოგადოებრივი რეგიონული პოლიტიკა ამ თვალსაზრისით არც არსებობდა.

ყოველი მომდევნო გაფართოების შედეგად, წევრ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის უთანაბრობა სულ უფრო თვალშისაცემი ხდებოდა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკა უფრო მრავლისმომცველი უნდა გამხდარიყო, რათა შედარებით სუსტ რეგიონებში ხელი შეწყობოდა დამოუკიდებელი ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილების წარმოქმნას.

ინფრასტრუქტურის საკითხი კვლავაც მნიშვნელოვანი რჩებოდა, მაგრამ ასევე იყო საჭიროება ინვესტიციები ჩადებულიყო კვლევაში, ინოვაციებში, ტრენინგებში, მარკეტინგულ განვითარებაში და სხვ. ბევრი ინოვაციური პროგრამა წარმოიშვა ამ წლების განმავლობაში.

ასევე ევროკავშირმა აიღო ვალდებულება, ჩადოს ფინანსები ხალხის სწავლებაში და ტექნოლოგიური განვითარების ჭრილში, გაიაზროს შრომის ბაზარზე ცვალებადი მოთხოვნების არსებობა.

1990-იან წლებში თანდათან იქნა გაცნობიერებული, რომ საჭირო იყო ყურადღება მიქცეოდა ეკონომიკური ზრდის ეკოლოგიურ შედეგებსაც. ინტეგრაციის პოლიტიკას ასევე უნდა დაეახლოვებინა დღევანდელი და მომავალი თაობა. რეგიონულ პოლიტიკას შესაბამისობაში უნდა მოეყვანა გამომუშავების მოცულობასა და სამუშაო ადგილთა რაოდენობის ზრდა ეკოლოგიის დაცვასთან და რომ ბიზნესი და სხვა ეკონომიკურ სფეროში მოღვაწე ერთეულები უნდა ყოფილიყვნენ უშუალო პასუხისმგებელი მიყენებული

ზიანისათვის. ამგვარად, პრინციპი „დამზინძურებელი იხდის“ კანონმდებლობაშიც ჩაიდო, ისევე როგორც იმ პირობათა ჩამონათვალში, რომელიც ევროპული რეგიონული პროგრამების ფარგლებში გაცემულ ფინანსურ მხარდასაჭერ გრანტებს მართავს.

1990-იანი წლები იყო პერიოდი, როდესაც ეკონომიკური რესტრუქტურისაზიის გახანგრძლივებული დრო ნიშნავდა იმას, რომ სოციალური უთანაბრობა მოსახლეობის ჯგუფებს შორის თვალსაჩინო გახდებოდა და ამას კონკრეტულად მარგინალური ჯგუფებისათვის ნეგატიური ეფექტი ექნებოდა.

ინტეგრირებული რეგიონალური განვითარების ამჟამინდელი მოდელი

ევროპის რეგიონალურ პოლიტიკის სამი ძირითადი მიმართულება:

პირველი – ეკონომიკური კონვერგენციის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს წარმატებულ ქვეყნებთან მიმართებით განსხვავების შესამცირებლად დახმარება აღმოუჩინონ ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს, რომლებიც ძირითადად ახალ წევრ ქვეყნებს მოიცავს.

მეორე – რეგიონული კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების ხელშესაწყობის მიზნით ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გატარება.

მესამე – რეგიონებსა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობისათვის ხელშეწყობა, რათა შეამციროს ნაციონალური საზღვრების ეკონომიკური მნიშვნელობა.

ევროკავშირის ჩამოყალიბების პროცესში შეიქმნა ფინანსების სამი ძირითადი წყარო:

ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი (ERDF). იგი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ისეთ ინიციატივებზე, რომლებიც ეკონომიკურ ზრდასთან, დასაქმებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთანაა დაკავშირებული, მათ შორის, ინფრასტრუქტურის ინვესტირებაზე.

ინტეგრაციის ფონდი. მისი ყურადღების ცენტრშია სატრანსპორტო და გარემოს დაცვის ინფრასტრუქტურა, მათ შორის ენერჯის აღდგენის წყაროები.

ევროპული სოციალური ფონდი. მისი დაფინანსება, მიმართულია ინვესტიციებზე ადამიანური კაპიტალის გასავითარებლად საგანმანათლებლო და სასწავლო სფეროში.

**რეგიონული პოლიტიკის მიზნები და ამოცანები
კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და
უპირატესობის მოპოვება**

ბრძოლა ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილებისათვის. სტრატეგიაში ჩადებულია ის, რომ ევროკავშირის ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიკური გახდება.

ევროკავშირის დღევანდელი რეგიონული პოლიტიკა არის ის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს და მიზნად ისახავს მომავლის შესაძლებლობების განჭვრეტას გამოუყენებელი პოტენციის მობილიზებით და არა წარსული პრობლემების კომპენსაციით.

პოლიტიკის პროცესის რეფორმა რეგიონებისათვის.
ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა განხილვისა და შეთანხმების მუდმივ პროცესშია. რეფორმები მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას:

ცოდნის ეკონომიკის განვითარება;

მენეჯმენტისათვის მეტი პასუხიმგებლობის მინიჭება, ხოლო წევრი ქვეყნებისა და რეგიონებისათვის ფინანსური კონტროლის დეცენტრალიზება;

პროცედურების გამარტივება და დაჩქარება;

რესურსების მიმართვა ყველაზე სუსტი წერტილებისაკენ, რათა მოხდეს ევროპის ყოველი რეგიონის პოტენციალის განვითარება და სხვ.

კლიმატური ცვლილებებისა და მდგრადი განვითარების გამოწვევის მიღება. ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკის წამყვანი პრინციპი და დამახასიათებელი თვისებაა მუდმივი განვითარება, ანუ ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და სოციალური პრიორიტეტებს შორის ბალანსის მიღწევა.

რეგიონული პოლიტიკა, გარემოს დაცვის კურსს ოთხი ძირითადი გზით განიხილავს: გარემოს დაცვის ისეთ ინფრასტრუქტურაში პირდაპირი ინვესტირებით, მაგალითად, როგორცაა წყლის გამფილტრავი ქარხნები; ეკოლოგიის სტრატეგიული ექსპერტიზის მიერ ყველა რელევანტური პროგრამის შემოწმების უზრუნველყოფა; ყველა ძირითადი პროექტის მომზადების დროს, ეკოლოგიური ზემოქმედების შემოწმების ჩატარების უზრუნველყოფა; ეკოლოგიური დატვირთვის მქონე ობიექტებისა და სააგენტოების წარმომად-

გენლების მონაწილეობის განსაკუთრებული წახალისება და პირდაპირი მხარდაჭერა პროგრამების მომზადებისა და თვალყურის დევნების საკითხში.

კლიმატური ცვლილებები ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა. წევრ ქვეყნებში ლანდშაფტებისა და კლიმატური თავისებურებების მრავალფეროვნებაა. მოსახლეობის 7% ცხოვრობს ისეთ რეგიონებში, რომლებიც წყალდიდობის მუდმივი რისკის ქვეშ იმყოფება, 9% კი ცხოვრობს ისეთ ადგილებში, სადაც გვალვა დიდ საშიშროებას წარმოადგენს. რეგიონული პროგრამები მიზნად ისახავენ ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში დაბალანსებული მიდგომის პოვნას, განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის ისეთი წყაროს გამოყენების საშუალებით, როგორცაა ქარისა და მზის ენერჯია და ბიომასა.

რეგიონული და ადგილობრივი წყაროებისა და შესაძლებლობების ათვისება

სიახლე ხშირად შედარებით მცირე ბიზნესიდან მოდის, რომელსაც ადგილობრივი მასშტაბით კარგი ცოდნა აქვს, მაგრამ გაცილებით მეტის მიღება შეიძლება უფრო ფართო თანამშრომლობითა და საქმიანი კონტაქტების დამყარებით. ინიციატივა „რეგიონები ეკონომიკური ცვლილებისათვის“ (RfEC) საჯარო და კერძო სექტორებში მხარს უჭერს ადგილობრივ და რეგიონალურ ქსელს, იმისათვის რომ გამოცდილებისა და პრაქტიკის გაცვლა მოხდეს და ამით ახალი რამ შეისწავლოს, დაინერგოს, შეიცვალოს.

ინტეგრაცია

წევრი ქვეყნები ყველა დონეზე ერთად მუშაობენ. ევროპული ქვეყნების ერთმანეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით დაახლოება ევროკავშირის წევრობის არსია. მრავალფეროვნების აღიარებასთან ერთად, ევროკავშირი მიიღწვის ახალი შესაძლებლობები დაამუშაოს, საზოგადოებების ერთმანეთთან დაახლოების გზით.

მრავალი გამოწვევა სტანდარტული ადმინისტრაციული ჩარჩოებით ვერ შეიზღუდება, არ აქვს მნიშვნელობა საკითხი ეროვნულ დონეზე დგას თუ რეგიონულზე და, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე რეგიონისა თუ ქვეყნისაგან მოითხოვს კოორდინირებულ, ერთობლივ პასუხს, რითაც თანამშრომლობის ახალი ფორმების საჭიროება ჩანს.

დოკუმენტებში არგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული, რომ ევროკავშირის ტერიტორიული მრავალფეროვნება არის ძალა, რომელიც შესაძლებელია მივმართოთ სრულიად ევროკავშირის მუდმივი განვითარებისაკენ.

წევრი ქვეყნების დაახლოება სატრანსპორტო კომუნიკაციების გზით. ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი განსაზღვრულია სატრანსპორტო პროექტებში ინვესტირებისათვის.

პროგრამები ითვალისწინებს საავტომობილო გზის, რკინიგზის და საზღვაო მარშრუტების მშენებლობის სფეროში ახალ ინვესტიციების ჩადებას. მათი მიზანია ურბანულ უბნებში მდგრადი საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება, რომლის შედეგადაც ადგილობრივი

მოსახლეობას უკეთესი დამაკავშირებელი საშუალებები გაუჩნდებათ.

თუ ქვეყანა შემოსაზღვრულია მხოლოდ სახმელეთო ხაზით, ევროპულ რეგიონულ პროგრამებს უნიკალური შესაძლებლობა აქვს, სიტუაციას ინდივიდუალურად, ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით შეხედოს და ხელი შეუწყოს სატრანსპორტო ქსელში ინვესტირებას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით გონივრული გადაწყვეტილებაა.

საქალაქო და სასოფლო განვითარების დაბალანსება და ყველა რეგიონის მართვა, განურჩევლად გეოგრაფიული მდებარეობისა. ევროპის რეგიონული განვითარების პროგრამები სპეციფიკური გამოწვევის წინაშე დგანან, რომლებიც ეხება ქალაქებისა და სოფლებს და, ამასთან, ისინი განსხვავებულ, მაგრამ ამავე დროს დამატებით გადაწყვეტილებებს გვთავაზობს. მაგალითად, სპეციფიკურ ევროპულ პროგრამაში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ურბანული საზოგადოების ინიციატივა“, ყურადღება მახვილდება ურბანულ ადგილებში ძლიერ ადგილობრივ თანამშრომლობაზე, იზრდება ადგილობრივი პასუხისმგებლობა და განხილვობდა ისეთი გამოწვევები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა ქალაქური ცხოვრების დონეზე.

ტერიტორიული ინტეგრაციის გასაუმჯობესებლად პოლიტიკა მიმართულია ადმინისტრაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობების არსებობის სათანადო დონეზე უზრუნველსაყოფად, იმ დონეებისა და მასშტაბების შესაბამისად, რომელზეც გამოწვევები უნდა იყოს განხილული.

სოლიდარობის გამოჩენა ბუნებრივი კატასტროფების დროს. კომისიის მიერ გატარებული ინიციატივის საფუძველზე წარმოქმნილი ევროკავშირის სოლიდარობის ფონდი დახმარებას გამოყოფს წვერი და კანდიდატი ქვეყნებისათვის, ძლიერი ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების აღდგენის მიზნით. ეს არის სოლიდარობის ერთ-ერთი ყველაზე კონკრეტული დემონსტრირება წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე საჭირო მომენტში.

ახალი წვერი ქვეყნების ინტეგრაცია, ინტეგრაცია ფინანსური სოლიდარობის გზით

იმ ქვეყნებმა, რომლებიც ევროკავშირის წევრობისაკენ მიმავალ მოლაპარაკების გზას ადგანან, შესაძლებელია წინამოსამზადებელი დახმარება მიიღონ, რომელიც დამოკიდებულია მათ ეკონომიკურ პირობებზე. მსგავსი დახმარება შეესატყვისება ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის მოდელს, რომელიც მხარს უჭერს ეკონომიკურ განვითარებასა და ინფრასტრუქტურისა და ადმინისტრაციული დაწესებულებების გაუმჯობესებას.

ახალმა წევრმა ქვეყნებმა ძალიან უნდა მოინდომონ, რომ თავიანთი შესაძლებლობები განავითარონ, რათა ეს რესურსები ეფექტურად დახარჯონ. ამ სამუშაოს სქემა უზარმაზარია, თუმცა საწყისი შედეგები იმედის მომცემია.

ძლიერი ადმინისტრაციის/ინსტიტუტების შექმნა. ეკონომიკური ზრდა არამხოლოდ ინვესტიციებზეა დამოკიდებული, არამედ აგრეთვე განვითარების პროგრამების ეფექ-

ტურ ადმინისტრირებაზეც და საჭიროებს საზოგადოებრივი რესურსების მტკიცე მენეჯმენტს.

შედეგად, ეს ყველაფერი კომპეტენტურ და სანდო ადმინისტრაციულ სისტემასა და გამჭვირვალე ნორმატიულ ბაზას მოითხოვს. მაგალითად, ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის გაცნობის სისტემა სპეციალური პროგრამების მხარდაჭერას მოიცავს და არ გააჩნია სხვა მიზანი, გარდა იმ პირობების შექმნისა, რომლებიც ადმინისტრაციული რეფორმებისთვისა და მენეჯმენტის თანამდროვე წარმოების საკითხში თანამდებობის პირების ტრენინგისათვისაა საჭირო.

ტექნიკურ დახმარებასთან კომბინირებული ფინანსები (JASPERS). ახალი წევრი ქვეყნების შემდგომი დახმარებისთვის არსებობს საიმედო პროგრამების შესაქმნელი დამხმარე სისტემა, რომელიც მათ დამტკიცებამდე გასავლელ ფინანსური და ტექნიკური დეტალების გარკვევაში დაეხმარება.

JASPERS (ევროპის რეგიონში დამხმარე პროექტებისათვის ერთობლივი მოქმედება) არის საშუალება, რომელიც ფონდების სახით ევროპული კომისიისგან წამოსულ კონტრიბუციებს აერთიანებს, რათა ექსპერტების დაქირავება განხორციელდეს და რომელიც ევროპული საინვესტიციო ბანკისა (EIB) და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) მიერ დანიშნული პერსონალის მხრიდან გაწეულ დახმარებას აერთიანებს.

ინვესტირება ეკონომიკური აღდგენის სფეროში

ევროპის რეგიონული პოლიტიკა, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, სასიცოცხლო ინვესტიციებს უზრუნვე-

ლყოფს. ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებას წარმოადგენს მისი მოქნილობა ცვალებად პირობებზე მოსარგებად.

დღევანდელი გლობალური ეკონომიკური რეცესიის პირობებში, ისე როგორც არასოდეს, ნათელი გახდა ეკონომიკური განვითარების მდგრადობისა და ადაპტირებადი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკის საჭიროება. ევროპის რეგიონული პოლიტიკა სტაბილურ, უსაფრთხო, ფინანსირების გამიზნულ წყაროს უზრუნველყოფს, რომლის გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკის აღდგენის სტიმულირებისათვის.

დაფინანსების მოქნილი და ინოვაციური ფორმების გამოყენება

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად ევროპაში რეგიონული განვითარების პროგრამა სარგებელს იღებს დაფინანსების სხვადასხვა სახის ფართო სპექტრიდან.

ფონდების მთავარ წყაროს ევროპული რეგიონული განვითარების ფონდი, ინტეგრაციის ფონდი და ევროპის სოციალური ფონდი წარმოადგენს, მაგრამ არსებობს აგრეთვე კაპიტალის გაზრდისა და სხვადასხვა ტიპის დაფინანსების სხვა დამატებითი საშუალებები.

პროექტები, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც შემოსავლის შექმნა შეუძლია, მუდმივად ფინანსდება გრანტებისა და კრედიტების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების კომბინაციით, მაგალითად, როგორცაა საქმიანი თანამონაწილეობა.

დაკვირვებები ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით

ეკონომიკური ჩარჩო პირობების მნიშვნელობა კრიტიკულია. ევროპული გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ, ერთი მხრივ, კონკურენციის თანაბარი პირობები ბიზნესისათვის და სხვა ეკონომიკური სექტორებისათვის, რომელიც მოწოდებულია ევროპის დონეზე ერთიანი ბაზრის მიერ, არის ფუნდამენტური პირობა ევროპული ეკონომიკის წარმატებისათვის.

მეორე დაკვირვება არის ის, რომ ზრდადი პოლიტიკის წარმატება ძლიერ არის დამოკიდებული მათ ურთიერთქმედებაზე რამდენიმე ნაციონალურ პოლიტიკასთან (სექტორული პოლიტიკა, გადასახადები, შრომითი ბაზრის პოლიტიკა). მტკიცე მაკროეკონომიკური პირობები და ხელსაყრელი მიკროეკონომიკური ჩარჩო (ნორმატიული ბაზა, ბიზნეს კლიმატი) ეფექტური პოლიტიკის წინაპირობას წარმოადგენს, რომელიც ჩამორჩენილი რეგიონებისადმი არის მიმართული. თუ ეროვნული პოლიტიკა მხარს დაუჭერს, რეგიონებს შეინარჩუნონ სტაბილურობა, განვითარებისაკენ წინსვლა გაძლიერდება.

არსებობს საჭიროება, ჩამოყალიბდეს მორგებული

სტრატეგიები შესაბამისი პოლიტიკის შერევით

ევროკავშირის მასშტაბით მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ რეგიონული და ადგილობრივი ცოდნა მთავარი იმის გასააზრებლად, თუ როგორ შეიძლება მდგრად განვითარებას მივაღწიოთ. პროგრამები საგულდაგულოდ უნდა

მოერგოს კონკრეტულ რეგიონს, მის საჭიროებებსა და მისწრაფებებზე დაფუძნებით.

არსებობს პოტენციურ ქმედებათა მრავალფეროვანი არჩევანი, რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ; შესაბამისად, მნიშვნელოვანია თავიდანვე სწორი კომბინაცია ვიპოვნოთ და გავაერთიანოთ. სანამ პრესტიჟულ საინვესტიციო პროექტებს თავისი ადგილი აქვთ და შესაძლებელია განიხილებოდეს, როგორც მნიშვნელოვანი საწყისი წერტილი, ან თუნდაც მომავალი მოგებების კატალიზატორი, ევროკავშირის გამოცდილება მიმართულია მხარი დაუჭიროს თვალთახედვას, რომლის მიხედვით ეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა არის მცირე და საშუალო ბიზნესში ინვესტირება და სიახლეების დანერგვა.

სტაბილური ბიუჯეტისა და ინტეგრირებული პროგრამების მნიშვნელობა

ევროკავშირის საბიუჯეტო პერსპექტივის მნიშვნელობა რეგიონულ პოლიტიკაში წარმატების მიღწევის საკითხში ძალზე დიდია. ის გრძელვადიან პროექტებში ინვესტიციების ხელშემწყობ სტაბილურობას უზრუნველყოფს სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, რომელიც პოლიტიკური გარემოებების ცვლილებებთან მიმართებით შედარებით მდგრადია.

საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროება

ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი მახასიათებელი თავიდანვე საერთაშორისო, ერებსა და

რეგიონებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა იყო, რამაც საგრძნობი მოგება მოიტანა.

ერთი მხრივ, შესაძლებლობა მხარი დაეუჭიროთ ევროკავშირის მოსაზღვრე რეგიონებს შორის კონსტრუქციულ კონტაქტებს, ბევრ კანდიდატ ქვეყანას დაეხმარა, მომზადებულიყო ევროკავშირის წევრობის პასუხისმგებლობისათვის და ასევე დაეხმარა მოსახლეობას, დარწმუნებულიყო ევროკავშირის წევრობისაგან მიღებულ კონკრეტულ სარგებელში.

მეორე მხრივ, ევროკავშირში შემავალ რეგიონებს შორის თანამშრომლობა უფრო გამყარდა, რომელთაგანაც ზოგიერთი შედარებით გამოყოფილ და იზოლირებულ საზოგადოებას წარმოადგენდა.

ასევე იზრდება საერთო პრობლემების მქონე სხვადასხვა ქვეყნის დაახლოვების შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს პრაქტიკულ, კონსტრუქციულ მიდგომას საერთო ხედვის მხრივ. ეფექტური სატრანსპორტო ქსელის უზრუნველყოფა არის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი, სადაც ნაციონალიზმის აღმატებული ხედვა მნიშვნელოვანია და ეროვნულ საზღვრებს სცდება.

ეკონომიკის აგლომერაცია და ურბანიზაცია

ევროპაში, ისევე როგორც სხვაგან, ურბანული აგლომერაცია ან ფართო მეტროპოლიტური არეალი ეკონომიკური ზრდა ძირითად მამოძრავებელ ძალას გულისხმობს.

ევროპული გამოცდილება ეკონომიკური კონცენტრაციის შერეულ სივრცულ ზემოქმედებას გვიჩვენებს. ევროპა, თავისი შედარებით მჭიდრო დასახლების მაგალითითა და

მიწის მაღალი ფასებით, აწყდება ისეთ პრობლემებს, როგორცაა დასახლების სიმჭიდროვე, დაბინძურება და მაღალი კრიმინალური დონე. განსაკუთრებით ზრდასრულ ეკონომიკაში, ურბანიზაციის ეკონომიკური სარგებელი მსგავსი პრობლემების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.

მცირე და საშუალო ზომის ქალაქებისა და ადგილობრივი ცენტრების როლი

არ არის ძნელი მისახვედრი, რომ ზრდის მამოძრავებელ ძალას ევროპაში მხოლოდ დიდი ქალაქები წარმოადგენენ. რეგიონული პოლიტიკის გამოცდილება ესპანეთსა და სხვაგან მცირე და საშუალო ზომის ქალაქების კონტექსტში, კავშირის არსებობის მნიშვნელობას გვიჩვენებს (პოლიცენტრული განვითარება), ისევე როგორც ადგილობრივი ცენტრის როლი სოფლებისათვის.

საშუალო ზომის ქალაქები ურბანული ცენტრების, მცირე ქალაქებისა და სასოფლო რეგიონების დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. მათ აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინტეგრაციის, კავშირისა და ფართომასშტაბიანი ეკონომიის ხელშეწყობის საკითხში. ისინი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სოფლის დეპოპულაციის შესაჩერებლად.

ადგილობრივი დასაქმება და შესაძლებლობების შექმნის ინიციატივები

ადგილობრივ განვითარებას მთავარი როლი აკისრია ჩამორჩენილ რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში. სიღარიბის შემცირება ძალზე მნიშვნელოვანია,

რისთვისაც ყურადღების ცენტრში ექცევა დასაქმება, რაც სიღარიბის რისკს ამცირებს.

უფრო მეტიც, ევროპა, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ხასიათდება შედარებით დაბალი შრომითი მობილურობით. შესაბამისად, შეიქმნა სიტუაცია, სადაც ადილობრივი დასაქმების ხელშეწყობისა და პოტენციალის გაზრდის ინიციატივების საჭიროებაში შედარებით მტკიცე კონსენსუსი იქნა მიღწეული, რათა მიეცეთ ჩამორჩენილ რეგიონებს საშუალება, შესაძლებლობები გამოიყენონ და ძირითად ეკონომიკაში ჩაერთონ.

ძლიერი ინსტიტუციური დახმარება

ევროპის გაფართოებისაკენ გადადგმულ თითოეულ წარმატებულ ნაბიჯთან ერთად, ძლიერი ინსტიტუტების არსებობის საჭიროება გაცილებით შესამჩნევი გახდა. ეკონომიკური სიძლიერის, სოციალური ტენდენციებისა და კეთილდღეობის, გარემო ვითარების, კულტურული მემკვიდრეობის, ეთიკური წარსულის დიდი მრავალფეროვნება, გეოგრაფიული თვალსაზრისით, უნიკალურ მრავალფეროვან კავშირს ემატება.

ევროკავშირის რეგიონულმა განვითარებამ ყველა დონეზე ძლიერი ინსტიტუციური ხელმძღვანელობის საჭიროება გამოააშკარავა, რომელიც საზოგადოების ყველა ნაწილში იწვევს პატივისცემას. ევროკავშირის დონეზე, აუცილებელია მტკიცე პოლიტიკური სამართალი, საღი ეკონომიკური ანალიზი და პოლიტიკის დაგეგმარება არსებობდეს, ისევე როგორც ტექნიკური ექსპერტიზა, პროექტის მენეჯე-

რების „ტერიტორიაზე“ სამართავად. ეროვნულ დონეზე, ინსტიტუტები კარგად უნდა იყოს კოორდინირებული.

მრავალდონიანი მართვა

განვითარების წარმატებული სტრატეგიები ყველა დონეზე უნდა „იმართებოდეს“. ევროკავშირის რეგიონულ პოლიტიკას ადებული აქვს ისეთი გეზი, რომელიც ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის გზების მაქსიმალურად გამოყენებას ეძებს.

ვერტიკალური მხარდაჭერით სარგებლობს ევროპის, ნაციონალური, რეგიონული და ადგილობრივი მართვის სხვადასხვა დონის ორგანოები, დაგეგმარებისა და პროგრამული სისტემების მეშვეობით, რაც იქმნებოდა წლების განმავლობაში კომუნიკაციის დამყარების მიზნითა და იმ მიმართულებით სამომხრად, სადაც მიზნების მიღწევაა შესაძლებელი.

ჰორიზონტალურ პროცესში აქტიურადაა ჩართული ბიზნესი, სოციალური ჯგუფები და სამოქალაქო ორგანიზაციები და ისინი მონაწილეობენ მმართველი ორგანოების სამუშაოებში. ეს ნიშნავს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა საკუთარ სექტორებსა და არეალებში გავლენა მოახდინონ და განვითარების სტრატეგია ჩამოაყალიბონ.

გამოცდილება მაგალითია ევროპის გარეთ არსებული ქვეყნებისათვის

არ არის მარტივი ევროპული გამოცდილების საფუძველზე ისეთი დასკვნის გამოტანა, რომლის პირდაპირ გამოყე-

ნება შესაძლებელი იქნება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. თუმცა, ამ გამოცდილების ზოგიერთი ასპექტი შესაძლებელია, რომ შთაგონების წყარო გახდეს. ზოგიერთ ახლადწარმოშობილ ეკონომიკაში უთანაბრობა გაცილებით დიდია, ვიდრე ეს ევროპაში აღინიშნება. ასევე, მსოფლიოს სხვა ნაწილების განუვითარებელ რეგიონებთან შედარებით, ევროპის ჩამორჩენილი რეგიონები, ერთიანი ბაზრის წყალობით, უფრო ინტეგრირებულია გლობალურ ეკონომიკაში.

რეგიონული პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის გამოცდილების მიღების ერთ-ერთი გზა არის შევეცადოთ, გამოვეყოთ ამ გამოცდილებიდან ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკის მართვასა და კონცეფციას. ქვემოთ მოცემულია ათი ასეთი განსახილველი საკითხი:

პირველი: რეგიონული პოლიტიკა მოითხოვს გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას, თუ რისი მიღწევაა საჭირო. ეს შესაძლებელია იყოს ძირითადი სექტორების განვითარება, როგორცაა ტრანსპორტი ან გეოგრაფიული არეალის განვითარება, მაგალითად, ევროკავშირის პოლიტიკის სფეროში არსებული ნაკლებად განვითარებული არეალი, რომლებსაც პრიორიტეტი აქვთ მიანიჭებული.

ევროკავშირის პროგრამებში გათვალისწინებულია სექტორული, ასევე გეოგრაფიული ფაქტორები. ტრანსპორტის შემთხვევაში, საჭიროა აღნიშნოს, რომ პრიორიტეტები მიენიჭა იმ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს ტრანსევროპული ქსელების განხორციელებას, წევრი ქვეყნების მიერ განისაზღვრება სატრანსპორტო სტრატეგია კავშირის ტერიტორიების დასაკავშირებლად.

მეორე: უნდა არსებობდეს რესურსების მოძიებისა და გადანაწილების ობიექტური ან „არაპოლიტიკური“ მეთოდი. უნდა განისაზღვროს, თუ როგორ უნდა იქნას მოძიებული და განაწილებული თანხები პროგრამებსა და რეგიონებზე. ამ გამოცდილებას სტატისტიკური მაჩვენებლები უნდა ამყარებდეს და, შესაბამისად, რეგიონული პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს მსგავსი სტატისტიკური მომსახურების არსებობასა და ამ დარგში ინვესტირებას.

ევროპაში პოლიტიკის გარშემო დებატების ერთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მივიღოთ თუ არა ექსკლუზიური ან ინკლუზიური მიდგომა ბენეფიციარებისადმი. ევროკავშირის პოლიტიკა ამ მომენტისათვის იყენებს განსაკუთრებულ მიდგომას ბენეფიციარების მიმართ, ყველა იმ რეგიონების ჩათვლით, რომლებიც შეესაბამება დახმარების ზოგიერთ კრიტერიუმს. ამასთან, არსებობს ნაკლებად განვითარებულ რეგიონებზე რესურსების კონცენტრაციის ძალიან მაღალი პროცენტი.

მესამე: შესაძინევა რომ სისტემა, რომელიც აერთიანებს თანადაფინანსებასა და პარტნიორობას, აძლიერებს საკუთრების უფლებას. მმართველმა ორგანოებმა, რომლებიც თავს უყრიან ინტერესების ფართო სპექტრს, აგრეთვე უნდა მოიძიონ კონკრეტული პროექტების ხარჯების 15-50%, ადგილობრივი (საჯარო თუ კერძო) წყაროებიდან. არ აქვს მნიშვნელობა, მმართველი ორგანოების მიერ რომელ პროექტებში ჩაიდება რესურსები, მთავარია პროექტი რეალურად ეკუთვნოდეს საზოგადოებას, რათა მისგან სარგებელი მიიღოს.

მეოთხე: მნიშვნელოვანია, გამოიყოს ნორმატიული ბაზა, რომელიც ჩამოაყალიბებს ზოგად წესებს, რომლითაც იმართება პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესი, ინდივიდუალური პროექტების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ევროკავშირში ამ შედეგს ინსტიტუციური არქიტექტურიდან იღებენ, რითაც პოლიტიკური დონე, წევრი ქვეყნები და ევროპარლამენტი, დაამტკიცებს იურიდიულ საფუძველს, მაშინ როდესაც პროექტების ამორჩევა მმართველ ორგანოებს ნაციონალურ და რეგიონულ დონეზე გადაეცემა, ევროპული ინსტიტუციური დონისაგან გამოყოფილად და განცალკევებულად.

მეხუთე: გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული, აირჩეს თუ არა ინტეგრირებული პროგრამების მხარდაჭერა (დახმარება გაეწიოს დამატებით სამუშაოებს ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსებისა და ბიზნესგანვითარების სფეროში), თუ ხელი შეეწყოს ინდივიდუალური პროექტებს. ევროკავშირი დღესდღეობით, სხვადასხვა ფონდების მეშვეობით, ორივეს ახორციელებს. შეიძლება ითქვას, რომ ინტეგრირებული პროგრამები უფრო მეტ საშუალებას მოითხოვს, ინსტიტუციური შესაძლებლობების მხრივ, რეგიონებში. შესაბამისად, თუ უკანასკნელი სუსტ რგოლად ჩაითვლება, შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაცია ყველაფერი დაიწყოს პროექტისადმი მიდგომით.

მეექვსე: არსებობს გრანტების გამოყენებასთან, ასევე გრანტების კომბინაციასა და დახმარების ანაზღაურებად ფორმებთან დაკავშირებული საკითხი. ევროკავშირის პოლიტიკა უფრო მეტად მოძრაობს დახმარების მეტი ანაზღაურება-

დი ფორმების ჩართვის მიმართულებით, იმისათვის რომ ხელმისაწვდომი რესურსების დონე გაიზარდოს და ამით პროდუქტიულობის მისაღწევად დამატებითი სტიმული შეიქმნას ბენეფიციარების მხრიდან და დამატებითი ექსპერტიზა შემოვიდეს, რომელიც საბანკო და საფინანსო მომსახურების სექტორიდან წამოვა.

მეშვიდე: ქმედებათა მონიტორინგი და შეფასება აუცილებელია დამატებითი მოგების სადემონსტრაციოდ ბენეფიციარებისათვის, ისევე როგორც გადასახადის გადამხდელთათვის. ეს მოითხოვს პროგრამების ადმინისტრაციაში ტექნიკური შესაძლებლობების ჩართვას, თუმცა ზოგიერთი სპეციალისტის ამოცანა, როგორცაა, მაგალითად, მაკროეკონომიკური მოდელირება, შესაძლებელია კვლევით ინსტიტუტებსა თუ უნივერსიტეტებში მოიძიოს.

მერვე: დღეს ევროკავშირში აღიარებულია, რომ ადეკვატური ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციური შესაძლებლობების ქონა, პროგრამების წარმატებული მართვის სფეროში, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია. ეს მოიცავს პოტენციალს ისეთ არეალში, როგორცაა ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლი, ეკონომიკური განვითარების დაგეგმარება და, ასევე, შესაფერისი პარტნიორების იდენტიფიცირება და მოტივირება.

ინსტიტუციური შესაძლებლობების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროგრამების წარმატებული იმპლემენტაციისათვის, რომელიც ისეთ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს გააერთიანებს, რომლებსაც


ერთობლივი მოქმედების საკითხში შეზღუდული გამოცდილება აქვს.

მეცხრე: პირობითობა, რომელიც დაკავშირებულია პროგრამებთან, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. ევროკავშირის დახმარების მისაღებად საჭირო ძირითადი პირობები მოიცავს: კავშირის მასშტაბით არსებული ღია ბაზრების წესების გათვალისწინებას (სახელმწიფო დახმარების საკონკურენციო წესები, ღია საბიუჯეტო შენაძენის წესები); ეკოლოგიური პოლიტიკისა და წესების დაცვის საჭიროებას; თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვას; პარტნიორულ და დემოკრატიულ მონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომას. წესების დაუცველობა ევროკავშირში ხშირად ფინანსური ჯარიმების დაკისრებას იწვევს.

მეათე: პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციისას გამჭვირვალობა ოცდამეერთე საუკუნეში კარგი მმართველობის მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლება. შესაბამისად ეფექტური საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემები პროგრამების მართვაში უნდა იყო გამოყენებული.

მაგალითად, უნდა გამოჩნდეს ის პროექტები, რომლებსაც გაეწია მხარდაჭერა, ნაჩვენები უნდა იყოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები და უნდა აიხსნას, თუ როგორ უნდა მოიპოვონ საჯარო დახმარება პერსპექტიულმა ბენეფიციარებმა.

15. საქართველო და ევროკავშირი



საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 1991-1992 წლებში დაიწყო, მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

1995 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა⁸ განზოგადებული სისტემით (GSP).

1992 წელს, ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

1995 წლიდან, საქართველო, ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (Generalized Scheme of Preferences, (GSP)) სარგებლობს.

1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA). აღნიშნული შეთანხმებით, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების სამართლებრივი ჩარჩო განისაზღვრა. ხელშეკრულებას ხელი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა მოაწერეს. ხელშეკრულება ძალაში 1999 წელს შევიდა.

⁸ პრეფერენცია – ორ ან მეტ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულებით ერთმანეთისათვის მინიჭებული უპირატესობა, შეღავათი (მაგ., ვაჭრობის გაფართოების მიზნით).

1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველომ დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

2003 წლის 7 ივლისს, ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სპეციალური წარმომადგენელი (EU Special Representative for the South Caucasus) დანიშნა.

2004 წლის 17 თებერვალს საქართველოს მთავრობაში შეიქმნა ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა.

2004 წელს ევროპული უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) ფარგლებში, საქართველოში განხორციელდა ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია (EUJUST THEMIS).

2004 წლის 14 ივნისს, ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ, მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ.

2005 წელს, საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობის წახალისებისათვის მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათები.

2006 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმების პროცესი, რომელიც ურთიერთანამშრომლობის სტრატეგიულ პრიორიტეტებს ადგენს.

2008 წელს, ევროკავშირმა (ამერიკელ პარტნიორებთან ერთად) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით, ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე.წ. ექვსპუნქტიან შეთანხმებას. 2008 წლის 1 სექტემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის ინიციატივით მოწვეულ ევროკავშირის საგანგებო სამიტზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავების შესახებ. ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას.

2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნის თაობაზე, რომლის ძირითად ამოცანას ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესზე დაკვირვება წარმოადგენს. მისიამ საკუთარი მანდატის განხორციელება 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო.

2008 წლის 25 სექტემბერს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა.

2008 წლის 15 ოქტომბერს, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში, მოლაპარაკებების პირველი რაუნდი (ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები არის ნეიტრალური სტატუსის მქონე ფორმატი, სადაც მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით არიან წარმოდგენილ-

ნი) გაიმართა. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და ჟენევის მოლაპარაკებების სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორი პარალელური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. პირველი სამუშაო ჯგუფი უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს, ხოლო მეორე სამუშაო ჯგუფის ძირითად განსახილველ თემას დევნილებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს. მოლაპარაკებებს თანათავმჯდომარეობენ ევროკავშირის, გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლები და ესწრებიან მონაწილეები საქართველოდან, რუსეთის ფედერაციიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მოლაპარაკებებში, ასევე, მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ისევე როგორც სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები).

2008 წლის 22 ოქტომბერს (ომის შედეგებთან გასამკლავებლად საქართველოს დახმარების მიზნით), ქ. ბრიუსელში, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის, 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2008 წელს, ევროკავშირმა საქართველოს პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემის მოქმედება სამი წლის

ვადით (2009-2011) გაუხანგრძლივა (ეფექტური მმართველობისა და მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (GSP+)).

2008 წლის 3 დეკემბერს, გამოქვეყნდა ევროკომისიის კომუნიკე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ. „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ (Eastern Partnership) ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) ურთიერთთანამშრომლობის თვისობრივად ახალ მექანიზმს წარმოადგენს.

2009 წლის 7 მაისს, ქ. პრაღაში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველი სამიტი გაიმართა.

2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ერთობლივ დეკლარაციას (დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. „აღმოსავლეთ პარტნიორობა“). „პარტნიორობა მობილურობისათვის“ მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლას და ლეგალური მიგრაციის მოწესრიგებას (მათ შორის „ცირკულარული მიგრაციის“ შესაძლებლობების გამოყენებით).

2010 წლის 10 მაისს, ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ (General Affairs Council) დაამტკიცა, ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი ასოცირების შეთანხმების თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.

2010 წლის 17 ივნისს, ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ შეთანხმებას, ხოლო 2010 წლის 22 ნოემბერს, „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებარ-

თვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმებები 2011 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში.

2010 წლის 15 ივლისს, დაიწყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები (რომელიც მოიცავს "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას" (DCFTA)).

2010 წლის 2 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის" შესახებ შეთანხმებას.

2011 წლის 3 მაისს, ქ. ბრიუსელში გამართულ საგანგებო სხდომაზე, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში, ოფიციალურად დაფუძნდა თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა „ევრონესტი".

2011 წლის 14 ივლისს, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული დასახელების ურთიერთდაცვისა და აღიარების შესახებ" ხელშეკრულებას, რომელიც 2012 წლის 1 აპრილიდან შევიდა ძალაში.

2011 წლის 25 აგვისტოს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, გაერთიანდა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლების თანამდებობები და მათ ნაცვლად, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავ-

ვშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა.

2011 წლის 29-30 სექტემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეორე სამიტი.

2012 წლის 28 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები, საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) დადების თაობაზე.

2012 წლის 4 ივნისს, საქართველოსა და ევროკავშირის შორის უფიზო მიმოსვლის შესახებ დიალოგი გაიხსნა.

2013 წლის 22 ნოემბერს, ევროკომისიამ და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა აღიარეს საქართველოს მეზღვაურების ტრენინგებისა და კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები (შედეგად, ქართველ მეზღვაურებს, ევროკავშირის ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე დასაქმების უფლება მიეცათ).

2013 წლის 28-29 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი გაიმართა, რომლის ფარგლებში, ასოცირების შეთანხმებისა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა და ასევე, საქართველოს ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.

2014 წლის 26 ივნისს, ევროკავშირმა და საქართველომ დაამტკიცეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე 2014-2016 წლებში რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრა-

ვს. ასოცირების დღის წესრიგმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) ჩაანაცვლა.

2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებას.

2014 წლის 18 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას მხარი ერთხმად დაუჭირა.

2014 წლის 29 ივლისს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (29-ე) სხდომაზე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

2014 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ დაამტკიცა.

2014 წლის 1 სექტემბერიდან, ასოცირების შესახებ შეთანხმების დადგენილი ვალდებულებების დაახლოებით 80% (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით) ამოქმედდა დროებით რეჟიმში. ასოცირების შესახებ შეთანხმება ძალაში შევა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ რატიფიცირების შემდეგ.

2014 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (51-ე) სხდომამ მოიწონა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა“. სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის 26 იანვრის №59 განკარგულებით დამტკიცდა.

2015 წლის 22 მაისს, ქ.რიგაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მეოთხე სამიტი გაიმართა. სამიტზე განიხილეს ვილნიუსის სამიტის შემდეგ პარტნიორი ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესი ასოცირების დღის წესრიგი განხორციელების მიმართულებით და ურთიერთანამშრომლობის სამომავლო გეგმები დაისახა.

2015 წლის 18 დეკემბერს, ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა. ევროკომისიის შეფასებით, საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის

მეორე ფაზის ოთხივე ბლოკით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა შეასრულა და ვიზა ლიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი წარმატებით დაასრულა.

2015 წლის დეკემბერში, დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი.

2016 წლის 1 ივლისს, საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში, რითაც საქართველოსა და ევრო გაერთიანებას შორის ურთიერთობები ხარისხობრივად სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა. ხელშეკრულება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) ერთად, საფუძველს უყრის საქართველოს ევროკავშირთან შორსმიმავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

2017 წლის თებერვლის ბოლოს ევროკავშირის საბჭომ საბოლოოდ დაამტკიცა უვიზო რეჟიმი საქართველოსთვის, რაც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირში და შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის უფლების მინიჭებას 2017 წლის აპრილიდან.

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას:

წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბე-

რძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია.

უვიზო მიმოსვლის პირობებში, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ ბიომეტრიული პასპორტი, შეეძლება შენგენის ზონაში უვიზოდ შესვლა 90 დღით ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში, საქმიანი, ტურისტული ან ოჯახის მონახულების მიზნით, ოღონდ არა სამუშაოდ.

16. ევროპის საბჭო



ევროპის საბჭოს დროშა
იგივე ევროკავშირის დროშა



ევროპის საბჭოს ემბლემა

შეიქმნა	1949 წლის 5 მაისი (ლონდონის ხელშეკრულება)
შტაბ-ბინა	სტრასბურგი, საფრანგეთი 
ოფიციალური ენები	ინგლისური და ფრანგული
საიტი	www.coe.int
ევროპის საბჭოს წევრები	<ul style="list-style-type: none"> *47 წევრი სახელმწიფო (საქართველო 41-ე წევრია, გაწევრიანდა 1999 წელს). *5 დამკვირვებელი მინისტრთა კომიტეტიდან. *3 დამკვირვებელი საპარლამენტო ასამბლეა. *1 კანდიდატი
გენერალური მდივანი	ტურბიორნ იაგლანდი (Thorbjørn Jagland)
საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი	ანა ბრასერი (Anne Brasseur)
მინისტრთა კომიტეტის პრეზიდენტი	ედმონდ პანარიტი (Edmond Panariti)
კონგრესის პრეზიდენტი	ჰერვიგ ვან სტაა (Herwig van Staa)
ადამიანი უფლებათა რწმუნებული	ნილს მუიჟნიეკს (Nils Muižnieks)

7

ევროსაბჭოს შექმნის სათავეებთან

ევროპის საბჭო შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ერთობისა და თავისებურად „ევროპის შეერთებული შტატების“ ჩამოყალიბებისათვის მოწოდებების ტალღაზე. ამ იდეის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მომხრედ ითვლებოდა *უინსტონ ჩერჩილი*. მან ჯერ კიდევ 1943 წელს მიმართა რადიოთი ბრიტანელებს ევროპის საბჭოს შექმნის იდეით. ხოლო თავისი ცნობილი მიმართვა ევროპის გაერთიანების აუცილებლობის შესახებ გააკეთა ციურიხის უნივერსიტეტში 1946 წლის 19 სექტემბერს.

შემდგომ ევროპის საბჭოს სტრუქტურა დიდხანს განიხილებოდა მოწინავე პოლიტიკური ლიდერების მიერ. იყო ორი ძირითადი სკოლა, რომლებიც ორგანიზაციის განსხვავებულ სტრუქტურებს ლობირებდნენ: პირველის მიხედვით, უნდა აშენებულიყო კლასიკური საერთაშორისო ორგანიზაცია წევრი-ქვეყნების წარმომადგენლობით, ხოლო მეორე კი ითვალისწინებდა პოლიტიკური ფორუმის ჩამოყალიბებას პარლამენტარებით.

ჯამში, მინისტრთა კომიტეტის და საპარლამენტო ასამბლიის დაფუძნებისას საფუძვლად ორივე პრინციპი იქნა გაზიარებული. შემდგომში ანალოგიური ორმაგი სტრუქტურა გამოიყენეს ევროპის თანამეგობრობამ, ნატომ და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო, OSCE, OEBCE).

ოფიციალურად, როგორც აღინიშნა, ევროპის საბჭო შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს. ლონდონში წესდების ხელმომწერთა შორის იყო ათი სახელმწიფო: ბელგიის სამეფო, დანიის

სამეფო, ირლანდიის რესპუბლიკა, იტალიის რესპუბლიკა, ლუქსემბურგის დიდი საჰერცეგო, ნიდერლანდების სამეფო, ნორვეგიის სამეფო, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთის რესპუბლიკა და შვედეთის სამეფო. ევროპის საბჭოს შტაბბინა განთავსდა საფრანგეთისა და გერმანიის საზღვარზე, ამ ორი ქვეყნის შერიგების სიმბოლოდ.



ტურბიორნ იაგლანდი

Thorbjørn Jagland

ნორვეგიელი. ევროსაბჭოს გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა 2009 წლის 30 სექტემბერს. 2014 წლის 24 ივნისს ხელმეორედ აირჩიეს. 1 ოქტომბრიდან ახალი ხუთწლიანი ვადით კვლავ შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

1949 წლის 5 მაისს ათი სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას მიუერთდნენ: საბერძნეთი და თურქეთი (1949 წლის აგვისტო), ისლანდია და გერმანია (1950), ავსტრია (1956), კვიპროსი (1961), შვეიცარია (1963), მალტა (1965), პორტუგალია (1976), ესპანეთი (1977), ლიხტენშტეინი (1978), სან მარინო (1988), ფინეთი (1989), უნგრეთი (1990), პოლონეთი (1991), ბულგარეთი (1992), ესტონეთი, ლიტვა,

სლოვენია, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი, რუმინეთი (1993), ანდორა (1994), ლატვია, ალბანეთი, მოლდოვა, უკრაინა, „იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია“ (1995), რუსეთის ფედერაცია და ხორვატია (1996), **საქართველო** (1999), სომხეთი, აზერბაიჯანი (2001), ბოსნია და ჰერცეგოვინა (2002), სერბეთი (2003), მონაკო (2004) და მონტენეგრო (2007).

სურათზე:
სხედან
ჩერჩილი
(მარცხნიდან
პირველი),
რუზველტი,
სტალინი.
1945 წ. იალტის
სამიტი.



უინსტონ ჩერჩილი

(Sir Winston Leonard Spencer-Churchill; 1874-1965)

ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი და მწერალი, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1940—1945 და 1951—1955 წლებში. ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში (1953). იგი გაერთიანებული სამეფოს ისტორიაში შევიდა როგორც XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკოსი, რომელიც ხელისუფლებაში 6 მონარქის მმართველობის პერიოდში მოღვაწეობდა დაწყებული დედოფალ ვიქტორია დან დამთავრებული ელისაბედ მეორეთი.

ევროპის საბჭო დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი მიზნებია:

ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვა;

ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება, ევროპული კულტურის განვითარება;

ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიება (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა, კლონირება, შიდსი, ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული და სხვ.).

ევროსაბჭო ხელს უწყობს ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობას სამართლის სტანდარტების, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული განვითარების, კანონიერებისა და კულტურული თანამოქმედების სფეროში.

ევროკავშირისგან განსხვავებით ევროსაბჭოს არ შეუძლია გამოსცეს სავალდებულო კანონები, თუმცა ამ ორ საერთაშორისო ორგანიზაციას აქვს საერთო სიმბოლური ატრიბუტები, მაგალითად, ჰიმნი და დროშა.

ევროსაბჭოს ორგანოებიდან ყველაზე ცნობილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც მოქმედებს ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის შესაბამისად.

ევროსაბჭოს ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის შემუშავება და მიღება. ევროსაბჭოს წესდების თანახმად, ამ ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო, რომელიც ცნობს კანონის უზენაესობას, სადაც დაცული და გარანტირებულია ადამიანის უფლებები.

ევროსაბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონკრეტული ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკულ ცხოვრებაში ადამიანის უფლებების დაცვის ექსპერტიზას და

ამ სფეროში სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის უნიფიცირებას.



ევროპის სასახლე, სტრასბურგი

17

ევროსაბჭოს სტრუქტურა:

1. მინისტრთა კომიტეტი;
2. საპარლამენტო ასამბლეა;
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო;
4. ევროსაბჭოს სამდივნო;
5. საკონსულტაციო ორგანოები:
 - 1) ვენეციის კომისია
 - 2) ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი.

მინისტრთა კომიტეტი. ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შედგება ამ ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს

საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან (ან მუდმივი წარმომადგენლებისაგან) ევროპის საბჭოში.

კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ბიუჯეტს, გამოაქვს გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღების შესახებ, განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. **მინისტრთა კომიტეტში წარმოდგენილნი არიან: მინისტრები** (ევროპის საბჭოს თითოეული წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი); **მინისტრთა მოადგილეები**.

ორგანიზაციასთან მუდმივი კავშირის უზრუნველსაყოფად, 1951 წლის მაისში მინისტრთა კომიტეტმა ურჩია წევრ სახელმწიფოებს, დაენიშნათ თავიანთი მუდმივი წარმომადგენლები. მუდმივი წარმომადგენლები სტრასბურგში ბინადრობენ. ისინი, ჩვეულებრივ, ელჩის, ცალკეულ შემთხვევებში კი საქმეთა რწმუნებულის (chargés d'affaires) რანგის მქონე მაღალჩინოსანი დიპლომატები არიან.

1952 წელს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, თითოეულ მინისტრს მიეცა უფლება, დაენიშნა მოადგილე. მოადგილეებს აქვთ გადაწყვეტილების მიღების იგივე უფლებამოსილება, რაც მინისტრებს. ჩვეულებრივ, მოადგილე იმავდროულად არის წევრი სახელმწიფოს მუდმივი წარმომადგენელიც.

მინისტრთა კომიტეტის სამუშაო შეხვედრები

მინისტრები. მინისტრთა კომიტეტის მუშაობის განრიგით გათვალისწინებულია მინისტერიალის ჩატარება წელიწადში ერთხელ, სიმბოლურად, 5 მაისს. საგანგებო გარე-

მოებების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მეორე შეხვედრის ჩატარება იმავე წლის განმავლობაში. მინისტრიალის თარიღსა და ადგილს ადგენს მინისტრთა კომიტეტი. სხდომები ორ ნაწილად იყოფა: ოფიციალური სესია და არაოფიციალური დისკუსიები.

მინისტრთა მოადგილეები. მინისტრთა მოადგილეების დონეზე კვირაში ერთი შეხვედრა იმართება. მინისტრთა მოადგილეების შეხვედრები, ჩვეულებრივ, მინისტრთა კომიტეტის სხდომათა დარბაზში ეწყობა. მოადგილეები კვირის განმავლობაში რამდენჯერმე ხვდებიან ერთმანეთს ასევე დამხმარე ჯგუფების ფარგლებშიც.

მინისტრთა კომიტეტი ასრულებს სამმაგ როლს:

- როგორც მთავრობების წარმომადგენელი, რაც საშუალებას აძლევს მათ, თანასწორ საფუძველზე წარმოადგინონ ეროვნული მიდგომები ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების მიმართ;
- როგორც კოლექტიური ფორუმი, სადაც მუშავდება საერთო-ევროპული პასუხები მსგავს გამოწვევებზე;
- როგორც ფასეულობების მცველი (საპარლამენტო ასამბლეასთან ერთად), რისთვისაც არსებობს ევროპის საბჭო.

საპარლამენტო ასამბლეა

ევროპული პარლამენტების წევრთა ფორუმი, რომელიც იხილავს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო საკითხებს.

ევროსაბჭოს წევრ ყველა სახელმწიფოს საპარლამენტო ასამბლეაში ჰყავს ეროვნულ პარლამენტში მყოფი ძირითადი

პოლიტიკური პარტიებისა და მეგობრობათა წარმომადგენლები. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა იკრიბება პლენარულ სხდომებზე წელიწადში ოთხჯერ.

საპარლამენტო ასამბლეა ევროპის საბჭოს ხალხების წარმომადგენელია. იგი დაყოფილია დიდ პოლიტიკურ ჯგუფებად. მას უძღვება ბიურო, ხოლო მის მუშაობას ახორციელებს კომიტეტები. სტრასბურგის სესიებისას იმართება ბიუროს, კომიტეტებისა და პოლიტიკური ჯგუფების შეხვედრები. ამ სესიების დღის წესრიგის მიღმა იმართება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და დასავლეთ ევროპის კავშირის (Western European Union – WEU) კომიტეტების შეხვედრები.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტები მოიცავს მამაკაცებსა და ქალებს შორის თანსწორუფლებიანობის, კულტურისა და განათლების, აგრეთვე იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტებს.

საპარლამენტო ასამბლეაში მონიტორინგის კომიტეტი ყურადღებას აქცევს წევრი სახელმწიფოების მიერ მათი ვალდებულებების პატივისცემას.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტი პასუხს აგებს ადამიანის უფლებათა დაცვასა და განვითარებასთან დაკავშირებულ ქმედებებზე. მას შეუძლია საპარლამენტო ასამბლეის მრჩევლის როლის შესრულება. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა აღმოსავლეთი ევროპის კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ. კომიტეტი ყურადღებას აქცევს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას.

რეობას იმ ტერიტორიებზე, რომლებიც შემოუერთდნენ საბჭოს.



ევროსაბჭოს სტრუქტურა:

კონგრესი. ადამიანევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი პანევროპული პოლიტიკური კრებაა, რომელიც 200 000-ზე მეტი ხელისუფლების 636 წარმომადგენელს აერთიანებს 47 ევროპული ქვეყნიდან.

კონგრესის დანიშნულებაა დემოკრატიის მხარდაჭერა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ხელისუფლების თვითმმართველობების გაძლიერება. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს ქარტიის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის დადგენილი პრინციპების შესრულება. ის ხელს უწყობს

დელეგირებისა და რეგიონალიზაციის პროცესებს და ქალაქებსა და რეგიონებს შორის თანამშრომლობას.

კონგრესის ფუნქციები

მეთვალყურის როლი. კონგრესი რეგულარულად ახორციელებს მონიტორინგის ვიზიტებს, რათა შეაფასოს, რამდენად სრულდება საბჭოს წევრ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მოთხოვნები.

არჩევნებზე დაკვირვება. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი 1990 წლიდან არის ჩართული ადგილობრივი არჩევნების სადამკვირვებლო მისიებში ევროპის საბჭოს 47 წევრ ქვეყანაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (European Court of Human Rights Public Relations)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესახებ იხილე, მე-10 თავის მე-3 პარაგრაფი.

ადამიანის უფლებათა კომისარი

ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისი ევროპის საბჭოს დამოუკიდებელი სტრუქტურაა, რომლის მოვალეობაა ადამიანის უფლებათა დაცვა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში.

ამ ინსტიტუტის დაფუძნება ევროპის საბჭოს სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების მეორე სამიტზე გადაწყდა, რომელიც სტრასბურგში, 1997 წლის 10-11 სექტემბერს გაიმართა. 1999 წლის 7 მაისს მინისტრთა კომიტეტმა

მიიღო რეზოლუცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კომისრის სამსახურს და განსაზღვრა მისი მოვალეობები. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ამჟამად ბატონი ნილს მუიჟნიეკსია. მისი წინამორბედები *თომას ჰამარბერგი* (2006-2012) და *ალვარო ხილ-რობლესი* (1999-2006) იყვნენ.

საკონსულტაციო ორგანოები:

1. ვენეციის კომისია

ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად, ცნობილი როგორც ვენეციის კომისია (Venice Commission). დაარსდა 1990 წელს და არის ევროპის საბჭოს დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანო კონსტიტუციურ საკითხებში. კომისია შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან,

კომისიის გადასინჯული წესდება მიღებულ იქნა 2002 წლის 21 თებერვალს. წესდების თანახმად, კომისია ემსახურება შემდეგ მიზნებს:

1. მონაწილე ქვეყნების სამართლებრივი სისტემის გაგების გაძლიერებას ამ სისტემათა დაახლოების მიზნით;

2. დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობით წარმოშობილი პრობლემების განხილვას, მათ გამყარებასა და განვითარებას.

ვენეციის კომისია პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ საქმიანობას, რომელიც შეეხება: კონსტიტუციურ, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ პრინციპებსა და ტექნიკას, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტუ-

რობასა და მათ გაძლიერებას; ძირითად ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

კერძოდ კი მათ, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ადგილობრივ და რეგიონულ მთვრობათა ხელშეწყობას დემოკრატიის განვითარების მიზნით.

დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლის (კანონის) უზენაესობის პრინციპების დაცვა ვენეციის კომისიის მიერ ხორციელდება ოთხი მიმართულებით:

1. კონსტიტუციური სამართლის სფეროს ხელშეწყობა;
2. არჩევნები და რეფერენდუმები;
3. საკონსტიტუციო სასამართლოებთან თანამშრომლობა;
4. კვლევებისა და სემინარების ჩატარება.

2. ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი

ევროსაბჭოს საკონსულტაციო ორგანო, დაფუძნებულია 1994 წელს. კონგრესის შემადგენლობაში შედის ორი პალატა: ადგილობრივი ხელისუფლების პალატა და რეგიონების პალატა. ორივე პალატაში წარმოდგენილია 301 წევრი და 301 მათი მოადგილე. კონგრესის თავმჯდომარე აირჩევა ორ წელიწადში ერთხელ, რიგრიგობით თითოეული პალატის შემადგენლობიდან.

კონგრესი პრაქტიკულად ეხმარება ახალ წევრ სახელმწიფოებს ეფექტიანი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ჩამოყალიბებაში. მისი მიზანია: ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ქმედით ორგანოთა შექმნის

მხარდაჭერა; იმ ინიციატივების განვითარება, რომელთა მიზანია მოქალაქეთა მისწრაფების მხარდაჭერა მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი და რეგიონულ დემოკრატიაში; რეგიონული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის თანამშრომლობის მხარდაჭერა, მშვიდობის, შემწყნარებლობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სასიკეთოდ; ადგილობრივი და რეგიონული არჩევნების მონიტორინგი.



ევროსაბჭოს პლენარული სხდომების დარბაზი, სტრასბურგი

41

ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი:

გამოხატავს ევროპის რეგიონებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესებს; წარმოადგენს ფორუმს, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეუძლიათ განიხილონ პრობლემები, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები მთავრო-

ბებთან მიმართებით; გამოთქვამს რეკომენდაციებს მინისტრთა კომიტეტისა და საპარლამენტო ასამბლეის მისამართით, ადგილობრივი და რეგიონალური პოლიტიკის ნებისმიერ ასპექტთან დაკავშირებით; მჭიდროდ თანამშრომლობს ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას; აწყობს მოსმენებს და კონფერენციებს, საზოგადოების წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობით; ამზადებს რეგულარულ მოხსენებებს ქვეყნების მიხედვით, სადაც აღწერილია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის მდგომარეობა ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში და ამ ორგანიზაციაში შესვლის მსურველ სახელმწიფოებში; ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის განხორციელების მონიტორინგს ადგილობრივ დონეზე.

17. ეუთო

ე უ თ ო

OSCE

ზოგადი ინფორმაცია. ეუთო არის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. კავშირი აერთიანებს მსოფლიოს 57 ქვეყანას და ამ ქვეყნების განვითარებაში აქტიური წვლილი შეაქვს. იგი შეიქმნა გაეროს წესდების VIII თავის შესაბამისად ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით ისეთ სფეროებში, როგორცაა: შეიარაღების კონტროლი, გაეროს პრევენციული დიპლომატია, ნდობისა და უშიშროების მიღწევის ზომები, ადამიანის უფლებები, არჩევნების მონიტორინგი, ეკონომიკური და გარემოს უსაფრთხოება.

ჰელსინკის თათბირის დასკვნას, რომლითაც ეუთო შეიქმნა, ხელი თავიდან 35 ქვეყანამ მოაწერა, თუმცა ამ აქტს არ მიუღია საერთაშორისო კანონის სახე. ეს მხოლოდ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური შეთანხმება იყო, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა, შეესუსტებინა „ცივი ომით“ გამოწვეული დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

დროთა განმავლობაში კი, ეუთო-ს ნელ-ნელა ემატებოდა ფუნქციები: პარიზის 1990 წლის უმაღლესი დონის შეხვედრაზე იგი ახალ კურსს დაადგა. „პარიზის ქარტიაში ახალი ევროპისათვის“ ეუთოს ძირითად ამოცანებად მიჩნეულ იქნა ევროპაში მიმდინარე ისტორიული გარდაქმნის

წარმართვისა და „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის ახალ მოთხოვნებზე რეაგირებისათვის ხელის შეწყობა.

რაც შეეხება 1999 წლის შეთანხმებას, აქ მსოფლიოს 30-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებაში ეუთო-ს უფრო აქტიურად და ეფექტიანად ჩარევის აუცილებლობას. ეუთო-ს მისიების მნიშვნელობა მართლაც უდიდესია. მის უკან ხომ ის ათობით სახელმწიფო დგას, ვინც მხარი მშვიდობას დაუჭირა და ეუთოს დასკვნა სწორედ მათ მხარდაჭერას ნიშნავს.

ეუთოს წევრ ქვეყნებს შორის საქართველოც არის. მისი მისია დაარსდა 1992 წელს და დახმარებას უწევდა საქართველოს მთავრობას კონფლიქტების მოგვარებაში, დემოკრატიზაციის პროცესში, ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობის განმტკიცებაში. მისიის მანდატის გაგრძელების შესახებ რუსეთთან კონსესუსის მიღწევა შეუძლებელი გახდა 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდგომ და მისია დაიხურა, თუმცაღა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მასთან თანამშრომლობა ბოლომდე არ შეწყვეტილა. სხვათა შორის, 2016 წელს ეუთო-ს ყოველწლიური საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში გაიმართა.

ეუთო-ს მონაწილე ყველა ქვეყანას თანაბარი სტატუსი აქვს. გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. გადაწყვეტილებები არ ატარებენ იურიდიულად სავალდებულო ხასიათს, მაგრამ აქვთ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ორგანიზაციის ოფიციალური ენებია: ინგლისური, ესპანური, იტალიური, გერმანული, რუსული, ფრანგული.



OSCE Permanent Council site at the Hofburg, Vienna

მონაწილე ქვეყნები:

Albania ალბანეთი, **Austria** ავსტრალია, **Belgium** ბელგია, **Canada** კანადა, **Czech Republic** ჩეხეთის რესპუბლიკა, **Finland** ფინეთი, **Germany** გერმანია, **Hungary** უნგრეთი, **Italy** იტალია, **Latvia** ლატვია, **Luxembourg** ლუქსემბურგი, **Monaco** მონაკო, **Norway** ნორვეგია, **Romania** რუმინეთი, **Serbia** სერბეთი, **Spain** ესპანეთი, **Tajikistan** ტაჯიკეთი, **Turkmenistan** თურქმენეთი, **United States** შეერთებული შტატები, **Andorra** ანდორა, **Azerbaijan** აზერბაიჯანი, **Bosnia and Herzegovina** ბოსნია-ჰერცეგოვინა, **Croatia** ხორვატია, **Denmark** დანია, **France** საფრანგეთი, **Greece** საბერძნეთი, **Iceland** ისლანდია, **Kazakhstan** ყაზახეთი, **Liechtenstein** ლიხტენშტეინი, **Malta** მალტა, **Montenegro** მონტენეგრო, **Poland** პოლონეთი, **Russian Federation** რუსეთის ფედერაცია, **Slovakia** სლოვაკეთი, **Sweden** შვედეთი, **the former Yugoslav**

Republic of Macedonia იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია, **Ukraine** უკრაინა, **Uzbekistan** უზბეკეთი, **Armenia** სომხეთი, **Belarus** ბელორუსია, **Bulgaria** ბულგარეთი, **Cyprus** კვიპროსი, **Estonia** ესტონეთი, **Georgia** საქართველო, **Holy See** ვატიკანი, **Ireland** ირლანდია, **Kyrgyzstan** ყირგიზეთი, **Lithuania** ლიტვა, **Moldova** მოლდოვა, **Netherlands** ნიდერლანდები, **Portugal** პორტუგალია, **San Marino** სანმარინო, **Slovenia** სლოვენია, **Switzerland** შვეიცარია, **Turkey** თურქეთი, **United Kingdom** გაერთიანებული სამეფო.

ეუთო-ს სათავეებთან

თავდაპირველად მისი სახელწოდება იყო „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი“ (ეუთო). მისი შექმნას საფუძველი ჩაეყარა მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. 1990 წლამდე იგი ფუნქციონირებდა როგორც შეხვედრებისა და კონფერენციების ფორუმი, რომელიც ადგენდა სახელმწიფოთა და მოქალაქეთა მოქმედების წესებს და პერიოდულად მიმოიხილავდა მათ შესრულებას.

ეუთო-ს შექმნის ქრონოლოგია: ევროპაში სამხედრო დამაბულობის შემცირებისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ზომების შესამუშავებლად, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სახელმწიფოების ინიციატივით მოიწვიეს ევროპის 33 სახელმწიფოს, აგრეთვე აშშ-სა და კანადის წარმომადგენლობის მუდმივმოქმედი საერთაშორისო ფორუმი – „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი“ (ეუთო). თათბირი სამ ეტაპად ჩატარდა:

1973 წლის 3-5 ივლისს **ჰელსინკიში** – საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი,

1973 წლის 3-7 სექტემბერსა და 1975 წლის 21 ივლისს **ჟენევაში** – წინადადებების, შესწორებების შეტანა და დასკვნითი აქტის ტექსტის შეთანხმება,

1975 წლის 30 ივლისი – 1 აგვისტოს **ჰელსინკიში** – 35 სახელმწიფოს მეთაურის მიერ „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის“ ხელმოწერა (ჰელსინკის შეთანხმება).

შემდეგ შედგა შეხვედრები: 1977-1978 – **ბელგრადში**, 1980-1983 – **მადრიდში**, 1984 – **სტოკჰოლმში**, 1986 – **ვენაში**.

1990 წელს **პარიზში** ეუთო-ს მონაწილე სახელმწიფოების (მთავრობების) მეთაურთა თათბირზე ხელი მოეწერა „პარიზის ქარტიას ახალი ევროპისათვის“ (გამოაცხადა ცივი ომის დასრულება), დაიდო ხელშეკრულება „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ და სხვ.

1991 წელს **მოსკოვის** დასკვნით კონერენციაზე ადამიანური განზომილების შესახებ, მიღებულ იქნა დოკუმენტი, რომელშიაც პირველად არის ნაჩვენები, რომ საკითხები, რომლებიც ეხება ადამიანი უფლებებს, ძირითად თავისუფლებებს, დემოკრატიისა და კანონი უზენაესობას, ატარებენ საერთაშორისო ხასიათს, ხოლო ვალდებულება ადამიანური განზომილების სფეროში არ განეკუთვნება ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების გამორჩეულად შინაგან საქმეებს.

1992 წელს **ჰელსინკიში** უმაღლეს დონის შეხვედრაზე მიიღეს დოკუმენტი „ცვლილებათა დროის გამოწვევები“.

1992 წელს სტოკჰოლმის შეხვედრაზე შემოღებულ იქნა ეუთო-ს გენერალური მდივნის პოსტი.

1993 წელს რომის შეხვედრაზე მიიღეს „დეკლარაცია აგრესიული ნაციონალიზმის შესახებ“. შეიქმნა ეუთო-ს მუდმივი კომიტეტი.

1994 წელს ბუდაპეშტის შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება და 1995 წლის 1 იანვრიდან ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის (ეუთო) სახელწოდების მაგივრად ეწოდა „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია“ (ეუთო)

ეუთო-ს მიზნები

ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა, აგრეთვე ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნა;

საერთაშორისო დამაბულობის განმუხტვისათვის ზრუნვა;

ევროპული უშიშროების განუყოფლობის აღიარება, ასევე წევრ-სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარების სტიმულირება;

მშვიდობისა და უშიშროების მჭიდრო ურთიერთკავშირის აღიარება როგორც ევროპის, ისე მსოფლიო მასშტაბით;

საკუთარი წვლილის შეტანა ადამიანის უფლებათა დაცვაში, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესსა და ყველა ერის კეთილდღეობაში.

ორგანიზაცია მოწოდებულია თავიდან აიცილოს რეგიონში კონფლიქტის წარმოშობა, კრიზისული სიტუაციების დარეგულირება, კონფლიქტის შედეგების ლიკვიდაცია.

ორგანიზაციის უშიშროების უზრუნველყოფისა და ძირითადი ამოცანების გადაჭრის ძირითადი საშუალებები:

„პირველი კალათა“ ანუ სამხედრო-პოლიტიკური განზომილება:

შეიარაღების გავრცელებაზე კონტროლი;

დიპლომატიური ძალისხმევა კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად;

ზომების მიღება უშიშროებისა და ნდობითი ურთიერთობების დასამყარებლად;

საზღვრების მართვა (მონიტორინგი, კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად);

ტერორიზმთან ბრძოლა;

სამხედრო რეფორმა;

პოლიცია.

„მეორე კალათა“ ანუ ეკონომიკური და ეკოლოგიური განზომილებები:

ეკონომიკური და ეკოლოგიური უშიშროება;

სამეურნეო საქმიანობა;

გარემოსდაცვითი ღონისძიებები


„მესამე კალათა“ ანუ ადამიანური განზომილება:

ადამიანით ვაჭრობა;

ადამიანის უფლებები;

დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება;

გენდერული თანასწორობა;
უმცირესობათა უფლებები;
მასმედიის თავისუფლება;
არჩევნების მონიტორინგი.



ე უ თ ო

■ ეუთო-ს წევრი სახელმწიფოები
■ ეუთო-ს პარტნიორი ქვეყნები

16

ეუთო-ს სტრუქტურა

ეუთო-ს ძირითადი ორგანოებია:

ეუთოს მთავარი ორგანოა სათათბირო – **სამიტი** (შეხვედრა უმაღლეს დონეზე), რომელსაც პერიოდულად ატარებენ ეუთო-ს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო – ეუთო-ს წევრ სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ყოველწლიური შეხვედრა (იმ წლის გარდა, როდესაც იკრიბებიან სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები).

მუდმივმოქმედი საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს მოქმედი თავმჯდომარე (*Chairperson-in-Office*, CiO) და უკავია ეს პოსტი ერთი წლის განმავლობაში. ყოველკვირეულად იკრიბება ქ. ვენაში და რეგულარულად ატარებს პოლიტიკურ კონსულტაციებს.

უშიშროების სფეროში თანამშრომლობის ფორუმი – ყოველკვირეულად იკრიბება ქ. ვენაში და რეგულარულად იხილება შეიარაღებაზე კონტროლის საკითხები.

ეუთო–ს ძირითადი ორგანოებია, აგრეთვე:

ეროვნულ უმცირესობათა საქმეების უმაღლესი კომისარი – შვედი ასტრიდ ტურსი (*Astrid Thors*)

ეუთო–ს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ბიურო – გერმანელი გეორგ ლინკი (*Michael Georg Link*)

წარმომადგენელი მასმედიის თავისუფლების საკითხებზე – დუნია მიატოვიჩი (*Dunja Mijatović*) ბოსნია და ჰერცეგოვინიდან.

ეუთო–ს საპარლამენტო ასამბლეა

ხელმძღვანელობა

მოქმედი თავმჯდომარე (*Chairperson-in-Office*, CiO). მოქმედი თავმჯდომარე ხდება ეუთო–ს თავმჯდომარე-ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი. კორდინაციას უწევს ეუთო–ს დაწესებულებებს/ინსტიტუტებს. წარმომადგენს ეუთო–ს, აკვირდება და ხელს უწყობს კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გადაჭრას.

2013 წლის დეკემბერში, კიევში ეუთო–ს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე 2014 წლის ეუთო–ს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა შვეიცარია მოქმედი პრეზიდენტის **დიდიე ბურკჰალტერის** (Didier Burkhalter) მეთაურობით.

გენერალური მდივანი. გენერალური მდივანი უძღვება სამდივნოს. ინიშნება მინისტრთა საბჭოს მიერ 3 წლის ვადით.

ვილჰელმ ჰოინკი (Wilhelm Hoynck) – 1993–1996

ჯანკარლო არაგონა (Giancarlo Aragona) – 1996–1999

იან კუბიში (Ján Kubiš) – 1999–2005

მარკ პერენ დე ბრიშამბო (Marc Perrin de Brichambaut) – 2005–2011

ლამბერტო ზანერი (Lamberto Zannier) – 2011



ეთო–ს მიერ მიღებული ოფიციალური დოკუმენტები:

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი – 1975

პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის – 1990

ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ – 1990

დეკლარაცია აგრასიული ნაციონალიზმის შესახებ – 1993

ევროპის უშიშროების ქარტია 1999.

საკუთარ სახელთა საძიებელი

1. ალასანია გიორგი 2, 237
2. არაგონა ჯანკარლო 2, 232
3. ბარდაველიძე ნუგზარ 2
4. ბაროზო ხოსე მანუელ 123
5. ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან 72, 73
6. ბენტამი ჯერემი 46
7. ბესესკუ ტრაიან 112
8. ბრასერი ანა 208
9. ბროზ ტიტო იოსიპ 29
10. ბურკჰალტერი დიდიე 232
11. ბუში კლაუს 2, 237
12. გაბისონია ირაკლი 2, 237
13. გოგიაშვილი ომარ 2, 237
14. გრილი ენცო 53
15. დე ბეთუნი მაქსიმილიან 46
16. დე ბრიშამბო მარკ პერენ 232
17. დე გოლი შარლ 102, 103
18. დეკანოზიშვილი მარიამ 2, 237
19. დემკე ქრისტოფი 2, 237
20. დესტენი ვალერი ჟისკარ 103
21. დრაგი მარიო 145
22. დუბოისი პიერი 46
23. დუშუაშვილი დიმიტრი 238
24. ვაირა-ვიკე ფრეიბერგა 2, 238
25. ვებერი მანფრედ 85
26. ზანერი ლამბერტო 232
27. თადიაშვილი თამარ 238
28. იაგლანდი ტურბიორნ 208, 210

29. იანკაუსკასი კიასტუტის 167
30. იუნკერი ჟან-კლოდ 123, 124
31. კამერონი დევიდ 55
32. კაპანაძე სერგი 2, 238
33. კარაიანი ჰერბერტ ფონ 72, 73
34. კაჩინსკი ლეხ 112
35. კლაუსი ვაცლავ 112
36. კუბიში იან 232
37. კუპრაშვილი ჰენრი 76, 238
38. ლინკი გეორგი 231
39. ლოულესი ჯერარდ რიჩარდ 140
40. მედვედევი დიმიტრი 167
41. მეი ტერეზა 55
42. მილი ჯონ სტიუარტ 238
43. მიატოვიჩი დუნია 231
44. მოგერინი ფედერიკა 82, 120, 152
45. მონე ჟან 57, 58, 83
46. მორავსკიკი ენდრიუ 53
47. მუიჟნიეკსი ნილს 208, 219
48. პალასიო ანა 238
49. პანარიტი ედმონდ 208
50. პაპაშვილი მურმან 2
51. პინოჩეტი აუგუსტო 18
52. პიტელო ჯანი 85
53. პონომორიოვი სერგეი 168, 240
54. პოპესკუ-ტერიკიანუ კელინ 112
55. რენცი მატეო 119, 120
56. რიოტგენი ნორბერტ 159
57. რომპუი ჰერმან ვან 104
58. როჯერსი რიჩარდ 138, 139

59. რუსო ჟან-ჟაკ 46
60. სარკოზი ნიკოლა 167
61. სენ-სიმონი ანრი 47
62. სტუბი ალექსანდერ 112
63. სტაა ჰერვინგ ვან 208
64. სუკარნო აჰმედ 29
65. ტომსონი ჯორჯ 172
66. ტოპოლანეკსი მირეკ 112
67. ტურსი ასტრიდ 231
68. ტუსკი დონალდ 104, 105, 112
69. ფონტენი ნიკოლ 68
70. ფრანკო ფრანსისკო 18
71. შილერი ფრიდრიხ 72, 73
72. შულცი მარტინ 85
73. შუმანი რობერ 48, 49, 56, 57, 60, 69
74. ჩაფიჩაძე ხათუნა 2
75. ჩერჩილი უინსტონ 209, 211
76. ხილ-რობლესი ალვარო 219
77. ჯიშკარიანი ალექსანდრე 238
78. ჰამარბერგი თომას 219
79. ჰიუგო ვიქტორ 42
80. ჰოინკი ვილჰელმ 232

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გიორგი ალასანია.** ევროკავშირის მმართველობის კონსტიტუციური პრინციპები. თბილისი, „სეზანი“, 2013. http://works.bepress.com/cgi/viewcontent.cgi?article=1009&context=giorgi_alasania
2. **კლაუს ბუში.** ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური მოდელი. <https://giorgibenashvili.files.wordpress.com/2011/10/ევროკავშირის-ეკონომიკური-და-სოციალური-მოდელი.pdf> (ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
3. **ირაკლი გაბისონია.** პოლიტიკურ იდეათა და იდეოლოგიათა კლასიფიკაცია. თემიდა, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. სტუ. თბ., 2008. ISSN: 1512-1305. #1(3). გვ. 69-77
4. **ომარ გოგიაშვილი.** პოლიტიკური იდეოლოგიები. *პოლიტოლოგია*. რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის. /პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქციით. თბ.: თსუ გამომცემლობა. 2004. თავი X, გვ. 328-351. ISBN 99928-33-53-X. გვ. 143-146
5. **მარიამ დეკანოზიშვილი.** ევროპის უსაფრთხოება: ტერიტორიული თავდაცვის დასასრული. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1---0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.9&d=HASH01be256ec3cb7ad4b2770475.5> (ბოლო გადამოწმება 12.06.2016)
6. **ქრისტოფი დემკე.** ევროპული საჯარო სამსახურები ტრადიციასა და რეფორმას შორის. ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი (CTC). თბ., სახ. მართვის ევროპული ინ-ტი, 2005, 264 გვ. მთარგმნელი: ლადო ლეკიაშვილი რედაქტორი: მარინა ივანიშვილი გამომცემელი: ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი (CTC). <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000->

00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..4---4---0-0l--11-ru-00---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.27.2&d=HASH553d552d47a73339efeb23

7. **დიმიტრი დუშუაშვილი.** პოლიტიკური პარტიები ევროკავშირში. ორნატი, საზოგადოებრივ-სამეცნიერო ჟურნალი / საერო უნივერსიტეტი. თბ., 2009. ISSN: 1987-6467. №3. გვ. 33-38
8. **ფრეიბერგა ვაირა-ვიკე.** ევროპა და ძალაუფლება. <http://european.ge/ევროპა-და-ძალაუფლება/> (ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
9. თამარ თადიაშვილი. ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. <https://polittheory.wordpress.com/2011/28/ევროპის-საგარეო-და-უსაფთ/> (ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
10. **სერგი კაპანაძე.** ევროკავშირის პოლიტიკა. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბ., 2006.
11. **სერგი კაპანაძე.** ევროპარლამენტი. ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბ., 2006, გვ. 82-94.
12. **ჰენრი კუპრაშვილი.** პოლიტიკური პარტიების სოციალურ-იდეოლოგიური მეტამორფოზები თანამედროვე ევროპაში. საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „II მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია“. თბილისი, 3-4.06.2015
13. **ჰენრი კუპრაშვილი.** ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობები თანამედროვე ევროპაში. ლექციების კურსი. გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016, 224 გვ.
14. **ჯონ სტიუარტ მილი.** თავისუფლების შესახებ. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება. ქრესტომათია. ნაკვეთი I. გვ. 138-145. <http://giorgibenashvili.files.wordpress.com/2011/10/> (ბოლო გადამოწმება 10.02.2015)
15. **ანა პალასიო.** ევროპის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: ზიარი ფასეულობების პროექტირება.

- თარგმანი ალექსანდრე ჯიშკარიანისა. <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1---0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.9&d=HASH01be256ec3cb7ad4b2770475.6> (ბოლო გადამოწმება 12.06.2016)
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. <http://www.supremecourt.ge/human-rights-centre/european-court-of-human-rights/> (ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. <http://www.coe.int/ka/web/tbilisi/europeancourtofhumanrights> (ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
18. ევროკავშირის მოღვაწეობა. ევროკავშირის ინსტიტუტების მუშაობის მექანიზმი საინფორმაციო ხასიათის ბროშურა მოქალაქეებისთვის. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/vi-rtual_library/08_euro_ka.pdf (ბოლო გადამოწმება 19.04.2012)
19. ევროკავშირის ინსტიტუტები. <http://infocenter.gov.ge/euinfo-institutions/#1> (ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
20. ევროკავშირი რეგიონული პოლიტიკა. ევროკომისია, გენერალური დირექტორატი რეგიონალური პოლიტიკის საკითხებზე http://www//ec.europa.eu/regional_policy/international/pdf/external_ka.pdf (ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
21. ევროკავშირის რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა: მოდელი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების რეგიონებისთვის. თბ., 2014.
22. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში <https://eeas.europa.eu/delegations/georgia/7580/evrokavshiris->

- carmomadgenloba-sakartveloshi.ka (ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
23. ევროკომისია ევროპის ჯარის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. <http://frontnews.ge/ge/news/73424>
<http://armada.ge/?p=89586#more-89586> (ბოლო გადამოწმება 11.03.2017)
24. საქართველოს საელჩო ბელგიის სამეფოში და საქართველოს წარმომადგენლობა ევროკავშირში http://belgium.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=846
(ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
25. საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები სამართლებრივი კუთხით <http://www.lari.ge/147-politika/550-saqartvelosa-da-evrokavshiris-urtiertobebi-samartlebrivi-kutxit.html>
(ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
26. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation> (ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
27. მოკლედ სასამართლოს შესახებ. http://www.echr.coe.int/Documents/Court_in_brief_KAT.pdf
(ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
28. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ევროპის ცენტრალური ბანკის ფორუმს უმასპინძლა. საქართველოს ეროვნულმა ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=339&n&newsid=2715>
(ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
29. EUR - ევრო, ევროპული ვალუტა. GeoForex.info. <https://www.geoforex.info/valutebi/505-euro-daxasiateba> (ბოლო გადამოწმება 10.03.2017)
30. რუსეთის "გაყინულ ზონაში", მცოცავი საზღვარი საქართველოსთან - ნიუ იორკ თაიმსი https://www.eumm.eu/ge/press_and_public_information/features/5650/
ბოლო ნახვა 12.03.2017.

რედაქტორი ბ. ცხადაძე

გადაეცა წარმოება 22.02.2017. ხელმოწერილია დასაბეჭდად
17.03.2017. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15.

საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”,
თბილისი. აოსტავას 77



Verba volant,
scripta manent